

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

ქალაქი ბათუმი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მეორე სტადია

ინიციატორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N10.

მიმწოდებელი: შპს „ბლექ სი თაუერ“, ს/ნ 445597284, მისამართი: ქალაქი ბათუმი, ეგ. ნინოშვილის ქ. N2, ბ. 1708;

შპს „ცენტრალ სითი ლაინი“, ს/ნ 445686687, მისამართი: ქალაქი ბათუმი, პარმენ რურუას ქუჩა N18, სართული 10, ბინა N49.

დაინტერესებული პირები:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

საფუძველი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 06 აპრილის N ბ14. 142309613 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N 113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები - N05.24.05.126; N05.24.05.132; N 05.24.05.234; N05.24.05.017 წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15.152329710 განკარგულება „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“.

ქალაქი ბათუმი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

დოკუმენტის შემდგენელი პირები:

გიორგი გაბაშვილი - არქიტექტორი

გიორგი შავაძე - არქიტექტორი

გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი

ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, ნაეთობისა და
გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო
განხრით სპეციალისტი

სერგო ჭყონია - ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა
დიპლომირებული სპეციალისტი, გოსაინფორმაციო სისტემის,
წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი
მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის
სპეციალისტი

ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო
მეურნეობის ინჟინერი

ლამა მიქელაძე - სოციოლოგი

სანასარ მელქონიანი - გეოლოგი

ვაჟა წიკლაური - ტოპოგრაფი

ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ელექტრიკოსი

მანია მოწყობილი - მთარგმნელ-რეფერენდი, პედაგოგი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

1. გრაფიკული ნაწილი.....	5
1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა.....	6
2. ტექსტური ნაწილი	7
2.1. შემოკლებათა ახსნა.....	8
2.2. ტერმინთა განმარტება.....	8
2.3. შესავალი.....	10
2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება	11
2.5. განაშენიანების მართვის რეგლამენტი.....	57
2.6 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანების ესკიზი	59
2.7. ინიციატივის გადაწყვეტილება, საკადასტრო მონაცემები და მიმწოდებლის რეკვიზიტები.....	68
2.8. სამართლებრივი საფუძვლები	78
2.9. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია.....	78
2.10. გამოყენებული დოკუმენტები.....	80
3. დანართები	81

1. გრაფიკული ნაწილი

2. ტექსტური ნაწილი

2.1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

- 1) ბათუმი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
- 2) განაშენიანების მართვის რეგლამენტი – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
- 3) გდგ – განაშენიანების დეტალური გეგმა, კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად;
- 4) გეგმარებითი ერთეული – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- 5) გეგმების შემუშავების წესი – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- 6) გის – გეოინფორმაციული სისტემა;
- 7) დაგეგმარება – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
- 8) დაგეგმვა – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
- 9) დსს – კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- 10) დღე – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
- 11) კვლევა – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- 12) კოდექსი – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ.);
- 13) მერია – ბათუმის მერია;
- 14) მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
- 15) საკრებულო – ბათუმის საკრებულო;
- 16) სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- 17) სამსახური – მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური;
- 18) სანაპირო ზოლი – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ბათუმის გასწვრივ;
- 19) საპროექტო მომსახურება – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
- 20) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; 21) სგშ – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- 22) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
- 23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

2.2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

- (1) აეროფოტო – საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (2) განაშენიანების ესკიზი – ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გდგ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს სამომავლო სურათს;
- (3) დენდროლოგია – მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
- (4) დრონი – ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
- (5) ესთეტიკური პარამეტრები – შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;
- (6) კომპიუტერული გრაფიკა – კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;

- (7) ვიზუალიზაცია — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
- (8) ზედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;
- (9) ინტერეს-წერტილი — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;
- (10) კომიუტერი — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათმორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;
- (11) კოსმოფოტო — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (12) ლიდარი — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;
- (13) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
- (14) მაკომპენსირებელი ღონისძიება — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას.
- (15) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;
- (16) ორთოფოტოგადაღება — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (17) საბაზისო რუკა — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბექედური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;
- (18) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;
- (19) საკვლევი არელი — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;
- (20) საკოორდინატო ბადე — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;
- (21) სამშენებლო პოტენციალი — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
- (22) საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე საბალანსო ერთეულისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ან შენობაში (სფ/შ), დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;
- (23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს ინტერესებში;
- (24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (25) უფლებრივი გარემო — საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების ერთობლიობა, მათ შორის გამოხატული რეგლამენტებში, რეჟიმებში, ვალდებულებებში, საჯარო თუ კერძო ინტერესებში;
- (26) ფიზიკური გარემო — ბუნებრივი გარემოსა და კულტურული (ანთროპოგენური) გარემოს ერთობლიობა;
- (27) ფოტოგრამმეტრია — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;
- (28) ფოტოფიქსაცია — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;
- (29) ქვედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე.

ყველა სხვა ტერმინი, რაც არაა განმარტებული ამ მუხლში, გამოიყენება კოდექსის, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი სფეროს მოქმედ კანონმდებლობაში გამოყენებული მნიშვნელობითა და/ან მიზნებით.

2.3. შესავალი

წინამდებარე დაგეგმვის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ტაქსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმშენებლობის გეგმებს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი წარმოადგენილია გრაფიკული და ტექსტური ფორმით. გდგ-ს, როგორც ქვედა ტაქსონომიური დონის გეგმისათვის, გრაფიკული ნაწილი არის ძირითადი და ტექსტური ნაწილი – მისი დამხმარე.

განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულია „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები - N05.24.05.126; N05.24.05.132; N 05.24.05.234; N05.24.05.017 წარმოადგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 06 აპრილის N ბ14.142309613 ბრძანების და „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15.152329710 განკარგულების საფუძველზე.

განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოადგენს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტს. განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მშენებლობა ნებადართულია ამ გეგმის შესაბამისად. განაშენიანების დეტალური გეგმა არის მშენებლობის ნებართვის გაცემის ძირითადი საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ გდგ-ს სისტემური რევიზიისას დღის წესრიგში დადგა განვითარების ხედვის ცვლილების საკითხი, აუცილებელია ახალი გდგ-ს შემუშავება. განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება აქვს შესაბამის ინიციატორს, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან სხვა ნებისმიერ პირს, შესაბამისი დასაბუთების წარდგენის საფუძველზე. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

განაშენიანების დეტალური გეგმა შედგენილია შემდეგი ასპექტების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა.

2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება

I. დაგეგმვის ობიექტი და გდგ-ს შემუშავების წინაპირობები

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ბათუმში, ზ, გორგილადის ქ. №113-ში მდებარე მიწის ნაკვეთის, ს/კ. 05.24.05.126 და ფიროსმანის ქუჩა №10-ში, ზურაბ გორგილადის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა №8-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების, ს/კ-ბით 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მრავალბინიანი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (მათ შორის ერთი აპარტამენტებით), მათში გასართობი სივრცეების საზოგადოებრივი და კვების დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე ავტოსადგომების მოწყობა.

გდგ-ს შემუშავების წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, მათ შორის ფიზიკური გარემოს - სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა, ასევე უფლებრივი გარემოს, დოკუმენტური მონაცემების შესწავლა და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებებისა და ინტერესების განხილვა/შეწონვა (იხ.დანართი).

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 06 აპრილის N ბ14. 142309613 ბრძანების საფუძველზე შემუშავდა და „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილადის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილადის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილადის ქ. N111-ში და გორგილადის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15.152329710 განკარგულებით დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა გდგ-ს პროექტი.

2. დაგეგმვის საჭიროება, ინიციატივა, მიზნები და პრინციპები

გეგმარებით ერთეულში მოქცეული საპროექტო მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია დადგენილი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების, მათ შორის განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებლის ცვლილება, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მიხედვით დადგენილია ამ მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, შესაბამისად სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება და კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2023 წლის 06 აპრილს გამოცემულ იქნა N ბ14. 142309613 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილადის ქუჩა N113, ზ. გორგილადის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები - N05.24.05.126; N05.24.05.132; N05.24.05.234; N05.24.05.017 წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

საპროექტო მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ სამშენებლო მიწის ნაკვეთებს, რომელთაგან ერთზე ს.კ. 05.24.05.126, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელშიც განთავსებული იქნება აპარტამენტები, გასართობი სივრცე, კომერციული, კვების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები და აუზი, საკონფერენციო დარბაზი, მოეწყობა პარკინგი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე. სამ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდებით 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, ასევე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება, რომელშიც ასევე მოწყობილი იქნება კომერციული დანიშნულების ობიექტი, პარკინგი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე. სამი ნაკვეთიდან ერთზე, ს.კ. 05.24.05.017, განთავსებულია ე.წ. „ხრუშოვის ტიპის“ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ასევე დაგეგმილია გამწვანების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის განხორციელების მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმით დაგეგმილია მიწის ნაკვეთებზე, ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 4,6-დან 17,0-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიზანია გეგმარებითი ერთეულის სამშენებლოდ განვითარებისათვის ქალაქგეგმარებითი ასპექტებისა და პრინციპების დაცვით, მასში მოქცეული ტერიტორიის გამოყენების დადგენილისაგან განსხვავებული პირობების განსაზღვრა, მოიცავს როგორც დასაბუთებას, ეფექტიანობის შეფასებას, ასევე გრაფიკულ ნაწილს, განაშენიანების ესკიზის ჩათვლით. გდგ-ს რუკაში გეგმარებითი ერთეულის მიმართ განსაზღვრულია როგორც განაშენიანების პარამეტრები, ასევე ესთეტიკური პარამეტრები, გამწვანების და სხვა პირობები.

დაგეგმვის მიზნებია:

- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- ტერიტორიის განახლება და განვითარება;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება.

ქალაქმშენებლობითი გეგმის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას. ეს პრინციპებია:


- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- ადამიანისათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება;

- ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისათვის შესაბამისი წინაპირობების შექმნა;
- მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- მიწის რაციონალური გამოყენების პრინციპი;
- განაშენიანებული მიწის ნაკვეთების განახლება და ზომიერი ინტენსიფიკაცია;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- მომსახურებისა და სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი ტერიტორიული წინაპირობების შექმნით ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება,


3. გეგმარებითი ერთეულის აღწერა

3.1. გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი და საზღვრები

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 დანართის - გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის (სარეკომენდაციო) მე-9 პუნქტის გათვალისწინებით გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 10500 კვ.მ.-ს (მათ შორის მიწის ნაკვეთების ფართობი 8003 კვ.მ.), პერიმეტრი - 420 მ. გეგმარებითი ერთეული განთავსებულია ქალაქ ბათუმის საზღვრებში. ქალაქ ბათუმის: ფართობი - 64,9 კვ.კმ.



3.2. ორთოფოტოფიქსაცია



გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ზურაბ გორგილაძისა და ნიკო ფიროსმანის ქუჩებს შორის, მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდებით: 05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211.

3.3. გეომორფოლოგია


გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი მდებარეობს კახაბრის სახელწოდებით ცნობილი აჭარის ზღვისპირა დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და პრაქტიკულად სწორი რელიეფით, ტერიტორია ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. დაახლოებით 2000-2500 წლის წინ აქ გადიოდა ზღვის სანაპირო ზოლი რომელამდეც აღწევდა მდ. ჭოროხის ფართო და ძლიერ დატოტვილი დელტა და სწორედ ამით აიხსნება მისი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილზე (ზედაპირიდან 7-9 მ-ის სიღრმეებამდე ზღვიურ-ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი, ხრეში) მასალის განლაგება, რომელსაც ქვეშ ედება წმინდა ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი, ალევრიტული და თიხოვანი წარმონაქმნები.

სამშენებლო მოედნის ბუნებრივი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილი, ზედაპირიდან დაახლოებით 7-9 მ-ის სიღრმეებამდე, აგებულია მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მქონე მეოთხეული ასაკის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტებით და მათ ქვეშ ედება ისევ მეოთხეული ასაკის წვრილმარცვლოვანი ქვიშები რბილპლასტიური თიხების იშვიათი და თხელი ლინზებით. ზედაპირიდან 20-22 მ-ის ქვევით ჭრილს აგრძელებს სარმატული ზღვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის მტვეროვანი ქვიშების, ქვიშნარ-მტვეროვანი ალევრიტებისა და ძნელადპლასტიური თიხების ფენების ურთიერთმონაცვლეობა, რომელთა სიმკვრივე 26-27 მ-ის სიღრმეებს ქვევით კიდევ უფრო მატულობს და მისაღები საფუძველია მაღალი მშენებლობისათვის.

ადგილის ჰიდროგეოლოგიური პირობების განსახილველად უნდა აღინიშნოს, რომ გრუნტის წყლები უმეტესწილად განლაგებულია ზედაპირიდან 2,3-2,5მ-ის სიღრმეებზე, მათი დონე რამდენადმე ცვალებადია წლის განმავლობაში და შეიძლება მერყეობდეს 0,2-0,3 მ-ის სიღრმით (მატების ან კლების თვალსაზრისით). გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო ლითონის (არმატურა) მიმართ ამჟღავნებს სუსტად აგრესიულობას და თან მასთან მხოლოდ ეპიზოდურად კონტაქტში ყოფნისას.

სამშენებლო მოედანი, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით თანახმად CHИП 1.02.07-87-ის მე-10-ე აუცილებელი დანართისა მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის), პირობები მთლიანობაში ხელსაყრელია პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის თვალსაზრისით.


ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.



3.4. სეისმოლოგია

საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მდებარეობს 7 ბალიან ზონაში (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. სამშენებლო ნორმების და წესების - "სეისმომდეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ).

საკვლევი არეალი, გეოტექტონიკური დარაიონების მიხედვით, მოქცეულია მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა (ნაოჭა შევოცებითი) სისტემის აჭარა-თრიალეთის (ნაოჭა-ანტიკლონორული) ზონის ცენტრალურ ღერძულ ქვეზონაში. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონის, ჩრდილო ქვეზონა, ხოლო სამხრეთით მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ზონის სამხრეთი ქვეზონის აჭარისწყლის სექტორი, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამკვეთი ტექტონიკური რღვევებით.



სეისმური საშიშროების რუკის დანართის ამონარიდი

	დასახლებული პუნქტი	მხარე	მუნიციპალიტეტი	საკრებულო	A-სეისმურობის განზომილებო კოეფიციენტი	ბალი (MSK64 სკალა)
519	ქ. ბათუმი	აჭარა	ქ. ბათუმი		0.09	7

შენობაზე სეისმური ზემოქმედების საანგარიშო ინტენსიურობა, ბალი	საანგარიშო მნიშვნელობა β
7	0,80
8	0,65
9	0,50
10	0,35

3.5. კლიმატი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1-1/1743 ბრძანებით დამტკიცებული `სამშენებლო კლიმატოლოგია(35 01.05-08)`-ს მიხედვით:

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;

ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%

ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2599 მმ;

ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;


ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;

თოვლის საფარის წონა: 0.5 კვა;

თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 10.

საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონება

რუკა - სქემა № 1



(ამონარიდი)		ცხრილი 2			
კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, 0C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, 0C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

(ამონარიდი)		ცხრილი 3
N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
1	2	3
8	ბათუმი, ქალაქი	IIIბ

ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

(ამონარიდი)		ცხრილი 12																							
N	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C											
		იანვარი	თებერვალ	მარტი	აპრილი	მაი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალ	მარტი	აპრილი	მაი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
18	ბათუმი, ქალაქი	7,4	7,3	7,5	7,1	7,0	7,3	6,	7,0	7,6	8,2	7,9	7,5	17,4	17,9	19,2	21,2	19,1	18,5	17,5	15,8	16,6	16,0	17,0	15,0

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

(ამონარიდი)		ცხრილი 13																
N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენია-ნობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალ	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ფელაზ ეცი	ფელაზ ეცი	ფელაზ ეცი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
18	ბათუმი, ქალაქი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81	70	73	9	12

ნალექების რაოდენობა

(ამონარიდი)		ცხრილი 15		
N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ		ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
1	2	3		4
18	ბათუმი, ქალაქი	2599		231

თოვლის საფარი

(ამონარიდი)		ცხრილი 17		
N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღელამური რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	2	3	4	5
18	ბათუმი, ქალაქი	0,50	10	-

ქარის მახასიათებლები

(ამონარიდი)		ცხრილი 19
-------------	--	-----------

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)(იანვარი, ივლისი)									ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში							
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
18	ბათუმი, ქალაქი	19	24	26	27	28	6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15	3,8/1,0	2,2/0,8	9	7	8	11	14	31	12	8	43

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

(ამონარიდი)

ცხრილი 20

N	პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხ-ვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	2	3	4	5	6
18	ბათუმი, ქალაქი	0	0	0	0

3.6. ეკოლოგიური მდგომარეობა

ჰაერი და ხმაურის გავრცელება (აკუსტიკური რეჟიმი)

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ქვარტლი, მანგანუმის ორჟანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და სხვა.

ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მანე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა



- სათბობის მრეწველობა და ენერჯეტიკა
- მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება
- მინერალური მრეწველობა
- ტექსტილური, საშიში ნივთიერებების და ნარჩენების მართვა
- ქიმიური მრეწველობა
- ქალაქის ნარჩენების, ხის დამუშავება
- საკვები პროდუქტების წარმოება
- სოფლის მეურნეობა
- საწვავის შენახვა, რეალიზაცია
- სხვა
- მრავალპროფილური


ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტო აწარმოებს. 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ ავტომატურ სადგურზე. ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერის შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: გოგირდისა (SO₂) და აზოტის (NO₂) დიოქსიდები, ოზონი (O₃), მყარი ნაწილაკები (PM₁₀ და PM_{2.5}), ნახშირბადის მონოქსიდი (CO). ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2020 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგების შესახებ: გოგირდის დიოქსიდის (SO₂) 1-საათიანი და 24-საათიანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს.

- მყარი ნაწილაკების (PM₁₀) საშუალო წლიური კონცენტრაცია (27 მკგ/მ³) არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას; ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატებოდა ასევე საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები. PM₁₀-ის 24-სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები წლის განმავლობაში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას 24 შემთხვევაში, აქედან 12 შემთხვევა გამოწვეული იყო სინოპტიკური პროცესით - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული უდაბნოს (საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოები) მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით;
- მყარი ნაწილაკების (PM_{2.5}) საშუალო წლიური კონცენტრაცია (14 მკგ/მ³) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას;
- აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია (64 მკგ/მ³) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.6-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია (48 მკგ/მ³) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.2-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- ნახშირბადის მონოქსიდის (CO) დღეში 8 სთ-იანი გასაშუალების კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას მთელი წლის განმავლობაში;
- ოზონის (O₃) მაქსიმალური დღიური რვასაათიანი საშუალო კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს მთელი წლის განმავლობაში.

ავტომატურ სადგურზე PM₁₀, PM_{2.5} და NO₂ გაზომვის შედეგები

ქალაქი	სადგურის ლოკაცია	PM ₁₀ (მკგ/მ ³)	PM _{2.5} (მკგ/მ ³)	NO ₂ (მკგ/მ ³)
ბათუმი	აბუსერიძის ქუჩა, №1	27	14	64
კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობა		40	20	40

ჰაერის დაბინძურების ბოლო 365 დღის მონაცემები ყველა დამბინძურებლისთვის, 2023 წლის 17 მაისის მდგომარეობით



გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2023 წლის მაისის თვე, (NO₂, SO₂, PM_{2.5}, PM₁₀, O₃-მკგ/მ³; CO-მგ/მ³)

ბათუმი, აბუსერიძე, BTUM 2023-05						
დამზინპურბელი	NO ₂	SO ₂	PM _{2.5}	PM ₁₀	O ₃	CO
01	34.83	0.74	8.04	12.31	27.14	0.57
02	32.46	0.79	7.76	13.77	30.42	0.55
03	37.10	0.40	9.22	16.47	30.85	0.55
04	41.35	1.14	13.56	24.44	28.92	0.78
05	38.61	1.64	16.26	34.69	33.31	0.98
06	36.99	4.28	17.49	37.64	29.80	0.88
07	33.34	1.02	14.81	27.39	32.56	0.86
08	36.24	1.38	9.97	15.02	30.21	0.59
09	29.74	0.67	6.00	10.36	32.90	0.49
10	31.49	0.69	7.98	16.10	33.09	0.53
11	35.18	1.27	6.39	11.60	32.76	0.58
12	32.28	0.87	4.97	10.77	35.53	0.54
13	37.39	0.82	5.31	9.91	39.21	0.54
14	37.48	0.58	7.37	10.64	50.37	0.58
15	40.03	0.53	11.00	17.22	46.96	0.62
16	41.73	1.24	19.31	33.33	40.85	1.01
17	43.22	1.22	20.13	35.78	47.01	0.78
18	41.98	1.06	19.99	37.07	42.65	0.78
19	37.86	0.56	16.33	30.31	44.72	0.55
20	36.23	1.09	17.17	29.67	45.74	0.65
21	*	*	14.60	22.22	*	*
22	30.37	1.21	*	*	36.13	0.48
23	30.45	0.66	10.31	22.66	47.56	0.49
24	37.72	2.25	15.26	35.70	41.12	0.66
25	31.32	1.30	15.56	33.35	35.39	0.54
26	32.06	1.18	14.78	25.34	25.93	0.56
27	28.34	1.26	14.57	23.78	21.47	0.53
28	26.75	1.35	15.58	25.61	20.02	0.82
29	26.71	1.50	19.18	33.80	16.59	1.07
30	33.53	1.14	14.16	24.62	20.49	0.59
31	29.03	1.15	13.86	25.45	18.50	0.58

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები

მავნე ნივთიერება	ზღვრული მნიშვნელობა	ტოლერანტობის ზღვარი	გასაშუალოების პერიოდი	დასაშვები გადაჭარბები ს რაოდენობა წლის მანძილზე
გოგირდის დიოქსიდი (SO ₂)	350 მკგ/მ ³	150 მკგ/მ ³ (43%)	1 სთ	24
	125 მკგ/მ ³			3
აზოტის დიოქსიდი (NO ₂)	200 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 სთ	18
	40 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM ₁₀)	50 მკგ/მ ³	50%	24 სთ	35
	40 მკგ/მ ³	20%	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM _{2,5})	25 მკგ/მ ³	20% ⁽¹⁾	1 წელი	0
ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	10 მგ/მ ³	60%	8 სთ	0
ოზონი (O ₃)	120 მკგ/მ ³	100%	დღეში მაქსიმალური საშუალო 8 საათი ⁽²⁾	25 (3 წლის გასაშუალოების პერიოდში) ⁽³⁾

ინდიკატორული გაზომვების შედეგები

2021 წელს ქ. ბათუმში ჩატარდა 40 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ცხრა წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 20, ოზონის - 8 გაზომვა და ბენზოლის - 12. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 5 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 6 შემთხვევაში - კარგი და 9 შემთხვევაში - საშუალო. ოზონის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და ერთ შემთხვევაში - კარგი. ბენზოლის ინდექსი 4 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 5 შემთხვევაში - კარგი, 2 შემთხვევაში - საშუალო და ერთ შემთხვევაში - ძალიან ცუდი.

2021 წელს ქალაქ ბათუმში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება ხუთ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა ორ ლოკაციაზე: გორგილაძის ქ. 59, „თიბისი“ ბანკთან - (51.26 მკგ/მ³) აღმატებოდა კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობას 1.3-ჯერ, ხოლო ლუკა ასათიანის ქუჩაზე - (62.99 მკგ/მ³) 1.6-ჯერ; მიღებული შედეგების მიხედვით ბენზოლის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება სამ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა მხოლოდ ერთ ლოკაციაზე - ლუკა ასათიანის ქუჩაზე - 6.8 მკგ/მ³ (1.4 ზღვ). ამასთანავე ხდებოდა ასპირატორის საშუალებით სინჯების აღება მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, 2021 წელს ქალაქ ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აღემატებოდა ზღვრულ ნორმას..

ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში

მისამართი ეტაპები	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ ³				ოზონი, მკგ/მ ³				ბენზოლი, მკგ/მ ³			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
მარჯანიშვილის ქ. მუზეუმთან	37.87	25.59	26.86	38.61								
სასტუმრო "ლეონ"-თან	41.64	23.58	24.57	33.70								
წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესიასთან	29.50	18.59	17.61	27.80					2.2	1.7	0.8	2.0
გორგილაძის ქ. N59, "თიბისი" ბანკთან	52.77	45.04	52.74	54.50								
ლუკა ასათიანის ქ.	69.97	65.84	62.03	54.10					5.8	3.0	1.8	4.6
ბაქრაძის ქ. N28, ტერმინალის მიმდებარედ									14.0	4.4	3.8	5.1
ბათუმის ბულვარი					69.46	57.80	56.54	24.95				
ახალ ბულვართან						82.23	61.70					
ბაგრატიონის შესახვევი						41.76	38.68					

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს (ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთერთი მთავარი წყარო ავტოტრანსპორტია). აქ არსებულ საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა დაბინძურების თვალსაზრისით. ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ასევე ზეგავლენას ახდენს ქალაქ ბათუმში არსებული სამშენებლო სექტორი.

პროექტის განხორციელებამ შესაძლოა ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების (არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის, მიწის სამუშაოები, მასალების დამუშავება) და მავნე ნივთიერებათა ემისიები (ტექნიკა-დანადგარებში საწვავის წვისას) გამოიწვიოს, ასევე მოსალოდნელია ხმაურის დონის მომატება და ვიბრაციის გავრცელება სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას და ტექნიკის მოძრაობის შედეგად. საპროექტო შენობის სრული მოწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება 2028 წლის 31 დეკემბრამდეა დაგეგმილი. სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება საშუალო მნიშვნელობის.

ქალაქ ბათუმში აკუსტიკური რეჟიმი რეგულირდება:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით;

„ქ. ბათუმში, ღამის საათებში ფეიერვერკების და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენების შეზღუდვის ღონისძიებათა შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 26 ივნისის #105 განკარგულებით; „საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში გადაჭარბებული ხმაურის (მუსიკალური ჟღერადობის) აღკვეთის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 ივლისის #124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 21 მაისის #122 განკარგულებით;

ზემოთხსენებული განკარგულების მიხედვით დასაშვები დონეებია:

ა) მუსიკალური ანსამბლების გამოსვლების დროს _ 80 LA ექვ. დბ. A და 85 LA მაქ. დბ. A A;

ბ) ელექტროაკუსტიკური სისტემების მუშაობის დროს _ 65 LA ექვ. დბ. A და 70 LA მაქ. დბ. A;

აკუსტიკურ რეჟიმზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება საშუალო მნიშვნელობის.

ზედაპირული და მიწისვეშა წყლები

გეგმარებითი ერთეულის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები არდაგანის ტბაა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 150 მ. მანძილში მდებარეობს. 350 მ. მანძილშია წარმოდგენილი შავი ზღვა, ხოლო მდინარე მეჯინისწყალი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2.07 კმ-ში მდებარეობს. ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიხედვით საკვლევ არეალში გრუნტის წყლები შესაძლოა გამოვლინდეს 2.3 მ-ის სიღრმეებზე.

პროექტის განხორციელებისას გრუნტის წყლებზე უარყოფით ზემოქმედება, მოსალოდნელია ავარიული დაღვრების და სამუშაოების არასწორ წარმართვის (სამუშაო ტერიტორიის საზღვრების დარღვევა, ნარჩენებით და სხვადასხვა დამბინძურებლებით ტერიტორიის დაბინძურება, სამშენებლო პირობების დარღვევა, დაბინძურებული წყლების ჩაღვრა ქვაბულებში, ბეტონშიდი მანქანების ადგილზე გარეცხვა და სხვა) შემთხვევაში.

ავარიული დაღვრებისას მოსალოდნელია სხვადასხვა სახიფათო ნივთიერებების გარემოში გავრცელება. თხევადი ნივთიერებების გავრცელების შემთხვევაში არსებობს რისკები, რომ დაბინძურდეს გრუნტი და გრუნტის წყლები. განსაკუთრებით საყურადღებოა ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის ფაქტები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების ავარიულ დაზიანებასთან და გაუმართაობასთან. ავარიული დაღვრებზე დროული რეაგირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე რეაგირების გეგმა და პრევენციული ღონისძიებები.

საპროექტო ტერიტორიიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაშორების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისას მათზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურების აღბათობა არსებობს მაშინ, თუ ობიექტიდან გატანილი სხვადასხვა სახის ნარჩენები ნაგავსაყრელის/დამუშავების ობიექტის ნაცვლად არაკანონიერად განთავსდება მდინარეში ან ზღვაში. პროექტის განხორციელებისას მსგავსი ფაქტები მკაცრად გაკონტროლდება, შემდეგი მართისთვის გადაცემული ნარჩენების გაკონტროლდება მის საბოლოო განთავსება/დამუშავებამდე.

სამუშაო პირობების დარღვევისა და დაუდევრობის შემთხვევაში მოსალოდნელია საპროექტო ტერიტორიასთან არსებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის დაბინძურება. მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელის მიერ მკაცრად გაკონტროლდება სამშენებლო სამუშაო პროცესები და სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ზონა შემოფარგლული იქნება შესაბამისი ღობით.

გეგმარებითი ერთეული უზრუნველყოფილია წყალმომარაგების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემებით. საპროექტო ტერიტორიის განვითარებით გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების შემდგომ, საპროექტო ინფრასტრუქტურის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები ასევე ჩაერთვება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.

შენობის საძირკვლის მოწყობის პერიოდში, ტუმბოების საშუალებით, გრუნტის წყლების ამოტუმბვა განხორციელდება სპეციალური ტუმბოების საშუალებით, უწყვეტ რეჟიმში. აღნიშნული ღონისძიება ერთი მხრივ სამშენებლო სამუშაოების სწორად წარმართვას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ შემცირდება გრუნტის წყლების დაბინძურებისა და შემდეგ გრუნტში გავრცელების რისკები.

შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის იქნება. ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოსალოდნელია ზემოქმედების შემცირება/აღმოფხვრა.

ნიადაგი და გრუნტი

პროექტის განხორციელება პირდაპირ ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. საინჟინრო ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების საძირკვლებისთვის საჭირო ქვაბულების მოწყობის პერიოდში საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი.

დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა (საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ურბანული გარემოს ნაწილს, რომელიც განაშენიანებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საფარველი მხოლოდ მცირე ნაწილზეა წარმოდგენილი), რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიაზე (ან მიმდებარედ) გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა დასაწყობდეს იმგვარად, რომ ნაყარი დაცული იყოს წარეცხვისგან. დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული იქნება კომპლექსისთვის შერჩეული ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

ნარჩენების მართვა

ქალაქ ბათუმში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული კომპანია შპს „სანდასუფთავება“. კომპანია უზრუნველყოფს ქ. ბათუმში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას. შპს „სანდასუფთავება“ ასევე ახორციელებს ქუჩების, გზების, ეზოებისა და სკვერების დაგვადასუფთავებას. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება როგორც ქ. ბათუმის მოსახლეობას, ასევე კომერციულ სექტორს.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ საცხოვრებლებს და ინფრასტრუქტურას ემსახურება შპს „სანდასუფთავება“. ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია ურნები მუნიციპალური ნარჩენებისთვის, სადაც მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების და მსგავსი კატეგორიის ნარჩენების განთავსებაა დაშვებული.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში დასრულდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, სადაც უახლოეს მომავალში, როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები განთავსდება. მანამდე კი, ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენები კვლავ არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსდება, რომელიც მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარეობს.

დაგეგმილი სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სამშენებლო და ნგრევის, საყოფაცხოვრებო, სხვადასხვა კატეგორიის შესაფუთი მასალების და შესაძლოა მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვის პირობებში იზრდება გარემოს დაზიანებების რისკები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ნიადაგისა და გრუნტზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე და ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასთან. დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

წარმოქმნილი ნარჩენები განთავსდება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში. მუნიციპალური, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები საპროექტო ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში არ დაყოვნდება - მათი გატანა კონტეინერების შევსებისთანავე განხორციელდება.

რეციკლირებადი და სახიფათო ნარჩენები ასევე შეგროვდება განცალკევებულად. მსგავსი კატეგორიის ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სპეციალური ნარჩენების დროებითი დასაწყობების სივრცე, რომელიც დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან და გაფანტვისაგან. შეგროვებული ნარჩენები პერიოდულად გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმში შპს „სანდასუფთავება“ ახორციელებს რეციკლირებადი ნარჩენების (პლასტიკი, ქაღალდი და მუყაო) შეგროვებას და დახარისხებას. ობიექტის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი რეციკლირებადი ნარჩენების ნაწილი შესაძლოა გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა პირთან/ კომპანიასთან.

ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის შესაბამისად, ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები (ამ შემთხვევაში გრუნტი) შესაძლოა არ განთავსდეს ბათუმის ნაგავსაყრელზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე გამოყენებული იყოს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, მაგალითად სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში-ქვაბულების ამოსავსებად.

წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად მართვისას და საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ნარჩენებით გარემოს დაზიანდება მოსალოდნელი არ არის.

დენდროლოგიური მონაცემები და ბიოლოგიური გარემო

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით. ქ. ბათუმსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული ხე-მცენარე, რომელთა ნაწილი პროექტის განხორციელებისას მოჭრას ექვემდებარება, რაც მცენარეულ საფარზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. მოსაჭრელი ინდივიდების სანაცვლოდ განხორციელდება საკომპენსაციო ღონისძიებები, ასევე გდგ ითვალისწინებს ტერიტორიის გამწვანებას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით.

საპროექტო ტერიტორია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, რადგან ის წარმოადგენს მჭიდრო ანთროპოგენურ გარემოს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ ურბანულ გარემოს შეგუებული სახეობები შეგვხვდეს.

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ მოსალოდნელია ხმაურის, მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გავრცელება, თუმცა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მკვეთრად არ შეცვლის არსებულ ფონურ მდგომარეობას, ამასთან სამშენებლო სამუშაოები არ იქნება მუდმივი და ზემოქმედება ექნება დროებითი ხასიათი.

ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი ფაუნაიდან აღსანიშნავია ორნითოფაუნის მრავალფეროვნება, ვინაიდან ბათუმზე გადამფრენ ფრინველთა ევრაზია-აფრიკის სამიგრაციო მარშრუტი გადის. ამასთან საპროექტო ტერიტორია უშუალოდ მდებარეობს ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილის საზღვრებში და ზურმუხტის ქსელის საიტიდან „ჭოროხის დელტა“ დაშორებულია 3.7 კმ. მანძილით.

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ ბათუმის შემოგარენი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ნაწილი, მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო და მრავალრიცხოვანი დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800,000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. საყოველთაოდ ცნობილი „ბათუმის სამიგრაციო ძაბრი“ გიბრალტართან, მესინა-სიცილიასთან და ბოსფორთან ერთად ევროპის ოთხ


უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ხარისხი დაბალი მნიშვნელობის იქნება.

ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება

გეგმარებით ერთეულზე და მის მიმდებარედ არ ხორციელდება ბუნებრივი რესურსების მართვა და მათი გამოყენება.

4. მიწათდაფარულობა


საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-6 დანართის (მონაცემთა სარეკომენდაციო მატრიცა) 1.9. პუნქტის მიხედვით სამიზნე ტერიტორია განეკუთვნება ურბანიზებული, კერძოდ დასახლებულ ტერიტორიას.



5. ქალაქგანვითარების მდგომარეობა, განაშენიანების და გამოყენების სახეობების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე წარსულში განთავსებული იყო ე.წ. „სასროლეთი“ და დამხმარე შენობა-ნაგებობები. მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსებული იყო სამეურნეო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტები. მატერიალური გარემო არ გამოირჩეოდა ღირებული არქიტექტურით. ერთეულის და მიმდებარე ტერიტორიების ათვისება დაიწყო 2009 წლიდან, აღებულ იქნა ამორტიზირებული და შეუსაბამო ობიექტები, გაყვანილ იქნა ჟიული შარტავას ქუჩა, მოეწყო ახალი ბულვარი და მოწესრიგდა არდაგანის ტბა, აშენდა იუსტიციის სახლი. 2014 წლიდან დაიწყო გეგმარებითი ერთეულის და საპროექტო ნაკვეთების მომიჯნავე ტერიტორიების ინტენსიური ათვისება, აშენდა მრავალსართულიანი სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსები.

დღეისათვის ტერიტორია განაშენიანების ჩამოყალიბებული კვარტალური სტრუქტურისაა, მატერიალური გარემო წარმოდგება თანამედროვე არქიტექტურის სტილთა სხვადასხვაობით. კაპიტალური ფონდი ერთეულის ნაწილზე განახლებულია. ქუჩების ქსელი ეყრდნობა ადგილობრივი საქალაქო მნიშვნელობის ქსელს, რომლებიც ძირითადად მართობულია და ატარებენ კვარტალურ ხასიათს, გეგმარებითი სტრუქტურა ოთხთკუთხა ფორმისაა, ტერიტორია სწორი მარტივი რელიეფისაა, საინჟინრო ინფრასტრუქტურა რეკონსტრუირებულია და განახლებულია ბოლო წლებში.



არსებული მდგომარეობით გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების გამოყენების სახეობა შერეულია, ხოლო განაშენიანების სახეობა არის დახურული.

ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმით გეგმარებითი ერთეული მდებარეობს საქმიან ზონაში (შზ-3), რომელშიც გამოყენების ნებადართული სახეობებია:


- ა) მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);
- ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
- გ) კვების, სავაჭრო და საოფისე ობიექტი;
- დ) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
- ე) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
- ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
- ზ) სასტუმრო;

- თ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი;
 - კ) გასართობი დაწესებულება, რომლის დანიშნულება მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;
 - ლ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
- საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
- ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
 - ბ) სავაჭრო ცენტრი.

6. ბუნებრივი და კულტურული ფასეულობები

სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს ბუნებრივი მემკვიდრეობის, მათ შორის, მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში ან/და მათ სიახლოვეს (300 მ. რადიუსში, იხ რუქა).

სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონებში, ასევე არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში, იხ რუქა).



7. ინფრასტრუქტურა:


7.1. სოციალური

გეგმარებით ერთეულზე განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა, სხვა სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული, 300 მეტრიან რადიუსში მდებარეობს იუსტიციის სახლი, საჯარო სკოლა და შემოსავლების სამსახურის შენობა (იხ. რუკა).




7.2. სატრანსპორტო

ფიროსმანის ქუჩა წარმოადგენს საერთო სარგებლობის შიგა საქალაქო მნიშვნელობის გზას და მოწყობილია ორმხრივი, ორზოლიანი მოძრაობისათვის, შუაში გამყოფი ზოლით, მოწესრიგებულია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით, მისი სავალი ნაწილის სიგანე თითოეული მიმართულებით შეადგენს 6,0 მეტრს და არის მოასფალტებული, დაშვებულია ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა, ქუჩის გამტარუნარიანობა შეადგენს 600-800 ავტომობილს საათში. საამშენებლო ობიექტის მიმდებარედ საფეხმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 4,2 მეტრს, ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. მის გასწვრივ მოწყობილია ერთი მეტრი სიგანის გამწვანების ზოლი. ობიექტის მოპირდაპირე მხარეს საფეხმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 2,80 მეტრს, რომელიც ასევე მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით, სავალი ნაწილის გამყოფი ზოლი გამწვანებულია, მისი სიგანე შეადგენს 2 მეტრს.




ზ. გორგილაძის ქუჩა წარმოადგენს საერთო სარგებლობის შიგა საქალაქო მნიშვნელობის გზას. მისი სავალი ნაწილის სიგანეა 13,6 მეტრი, მათ შორის ქუჩის ორივე მხარეს მონიშვნის ხაზების საშუალებით გამოყოფილია საერთო სარგებლობის ავტოსადგომების ზოლი, თითოეული 2,4 მეტრის სიგანით. ავტომობილების მოძრაობა ორმხრივია, დაშვებულია ყველა სახის ავტომობილის მოძრაობა. მისი გამტარუნარიანობა შეადგენს 500-700 ავტომობილს საათში. სავალი ნაწილი დაფარულია ასფალტის საფარით, აღჭურვილია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. საკვლევი ობიექტის მიმდებარედ საფეხმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 3,20 მეტრს, იგი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. ქუჩის მეორე მხარეს ტროტუარის სიგანე შეადგენს 3,0 მეტრს, ისიც მოწყობილია დეკორატიული ფილებით.



გორგილაძისა და ფიროსმანის ქუჩების დამაკავშირებელი, სამხრეთის მხარეს არსებული გასასვლელის სავალი ნაწილის სიგანეა 9,30 მეტრი. გზა დაფარულია გრუნტით, შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სამსახურებმა, სავალი ნაწილის შემდგომში მათ მიერ მოწყობის დროს, უნდა გაითვალისწინონ საფეხმავლო ტროტუარების გამოყოფა სავალი ნაწილისაგან და კეთილმოწყობა. უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება განთავსებულია მიმდებარედ ფიროსმანის ქუჩაზე, სადაც რეგულარულ რეისებს აკეთებს მუნიციპალური ავტობუსები მარშრუტით N4, ინტერვალი 12 წთ. ასევე ზ. გორგილაძის ქუჩაზე, ობიექტის მიმდებარედ კეთილმოწყობილია მუნიციპალური ტრანსპორტის მოსაცდელი და რეგულარულ რეისებს ახორციელებენ მარშრუტებზე N13; N14, ინტერვალებით 10-12 წთ.

დაანგარიშებულია მოცემული საკვლევი ობიექტიდან ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი გზების მანძილები და საჭირო დრო მათ დასაფარად, ასე მაგალითად: სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მანძილია 18,7კმ. და მის დასაფარად მსუბუქ ავტომობილს დაჭირდება 33წთ; ადლიის „გაფორმების ეკონომიკურ ზონა“-მდე მანძილია 5,9კმ, მის დასაფარად საჭიროა 20წთ; ბათუმის საერთაშორისო აეროპორტამდე მანძილია 4,8კმ, მის დასაფარად საჭიროა 13წთ; ბათუმი ცენტრალი (რკინიგზის სადგური) მანძილია 8,4კმ. მის დასაფარად საჭიროა 20წთ; ბათუმის პორტის „ეკონომიკური გაფორმების ზონა“-მდე მანძილია 5,2კმ, მის დასაფარად საჭიროა 15წთ; ბათუმის ცენტრალურ ავტოსადგურამდე მანძილი შეადგენს 6,1კმ-ს და მის დასაფარად საჭიროა 20წთ. საკვლევი ობიექტების ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის უახლოესი ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ჯავახიშვილის ქუჩაზე და მანძილი შეადგენს 0,6კმ-ს, მის დასაფარად ავტომობილს დაჭირდება 3 წთ.



7.3. საინჟინრო - კომუნალური

გეგმარებითი ერთეული უზრუნველყოფილია ტექნიკური/საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურით, რომელთა სიმძლავრეები მოცემულია საბაზისო მონაცემებში. არსებული და საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გათვალისწინებით გეგმარებით ერთეულზე განთავსებული იქნება 1440 ბინა და 105 სასტუმრო ნომერი, 17 საზოგადოებრივი ობიექტი, მომხმარებელთა საშუალო რაოდენობა იქნება 1562 მომხმარებელი. მომხმარებელთა მაქსიმალური საერთო რაოდენობის და სიმძლავრეების მოხმარების პიკური რაოდენობის გათვალისწინებით, საცხოვრებელი სახლების გაზიფიცირებასთან, ენერგომომარაგებასთან და წყალმომარაგება/წყალარინებასთან დაკავშირებული შესაბამისი ორგანიზაციების მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაცია წარმოდგენილია ქვემოთ.





O-SGG-CSH-LT-2023-5-17/194474259

SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str. 46
Georgia, Batumi, 6000
Tel: 16 114

E-mail: socargas@socar.ge
www.invgas.ge
www.socargas.ge

შპს „ბლექ სი თაუერ“-ის დირექტორს

ბატონ ზურა ხიმშიაშვილს

№ O-SGG-CSH-LT-2023-5-17/19
17.05.2023

ბატონო ზურა

თქვენი მიმდინარე წლის #I-SGG-HR-ST-2023-5-17/02 მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ გორგილამის ქუჩა #113-ში (ს/კ 05.24.05.126) საზღვარზე განთავსებულია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული დ=63-იანი საშუალო წნევის მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენი, საიდანაც სრულად არის შესაძლებელი, თქვენს მიერ მოთხოვნილ მისამართზე დაგეგმილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ბუნებრივი გაზით მომარაგება, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი მშენებლობის დროს საჭიროა შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული გაზსადენის სადემონტაჟო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება, თქვენ უფლება გაქვთ მოგვმართოდ შესაბამისი მოთხოვნით, რის საფუძველზეც მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მომზადება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განხორციელდება შესაბამისი მოქმედებები.

აქვე განგიმარტავთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად- „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადით (ერთობლივი განაცხადით) მომართვის შემთხვევაში წინასწარ სრულად უნდა გადაიხადოთ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ამასთან განაცხადს დამატებით უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მომხმარებლების (აბონენტების) მიხედვით მისაერთებელი სიმძლავრე, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური და ამ მომხმარებლების დაზუსტებული მისამართები, საკადასტრო კოდის მითითებით;

ბ) ობიექტის არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გაზმომარაგების სქემა ელექტრონული ფორმით (ბეჭდური განაცხადის შემთხვევაში CD ან DVD ფორმატით), ამასთან თუ თქვენი ობიექტი აშენებულია საქართველოს მთავრობის N41 დედგენილების საფუძველზე(აქ ჩაწერეთ სრული სახელწოდება), გაზმომარაგების სქემა წარმოადგენს შენობის კონსტრუქციული ნაწილის შემადგენელს, შესაბამისად თქვენ მიერ წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის

კონსტრუქციული ნაწილი, რადგან სრულად იყოს გამოკვეთილი რომ გაზმომარაგების წარმოდგენილი სქემა კონსტრუქციული სქემის შემადგენელია.;

გ) მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღრიცხვის კვანძების განთავსების ადგილი შერჩეული იყოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად. მრიცხველების მოსაწყობად უნდა გამოიყოს სპეციალური ნიშა (ყველა ან რამოდენიმე სართულზე) რომელსაც ფასადის მხარეს ექნება ვენტილირებული მოპირკეთება (პერგოლა, ცხაური, გისოსი) ან/და მრიცხველები განთავსდეს პირველ სართულზე, ღია სივრცეში. ერთ ნიშაში ერთდროულად უნდა განთავსდეს არაუმეტეს 15 მრიცხველისა. გაზსადენი (დგარი) გატარებული უნდა იყოს ასევე ღია სივრცეში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოებს ახორციელებს გაზგამანაწილებელი კომპანია, მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასურის საფუძველზე. დადგენილების თანახმად-„იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელ ქსელზე ხდება ისეთი ახალი მომხმარებლის (მომხმარებლების) მიერთება, რომელზეც ვრცელდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი განაწილების ლიცენზიატი. ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო სამუშაო და ხარჯი (სრული ტექნოლოგიური ციკლი), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანა, მიერთებისათვის საჭირო სამუშაოების შექმნა, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები, მის შესრულებასთან დაკავშირებული თანხმობის ან ნებართვის მოპოვება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, ბუნებრივი გაზით მომარაგების დაწყების ჩათვლით. ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიაზე ქსელის მოწყობას (შიდა ქსელი) უზრუნველყოფს ახალი მომხმარებელი“

საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად, მრიცხველებიდან გაზდანადგარებამდე უნდა დამონტაჟდეს უწყვეტი ალუმინის მრავალშრიანი მილები, შენობის შიგნით მილგაყვანილობის მარშრუტი უნდა გადიოდეს ვენტილირებად სივრცეებში ან გამოყენებული უნდა იყოს ვენტილირებადი მილები (საპაერო არხები/მილები) ან მილის გარშემო სივრცე შეივსოს ინერტული მასალებით. გაზსადენი უნდა მოთავსდეს ისეთ კორპუსში, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას ხანძრის შემთხვევაში. გარეშე(არა გამანაწილებელი ლიცენზიატის). შესაბამისად გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მითითებები მშენებლობის დროს, რათა გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაზიფიცირების სამუშაოები შესრულდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქსელის მოწყობის დროს გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ გაზსადენი მილის უწყვეტობის მნიშვნელობა გაზის გაჟონვისა

და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ამასთან მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს გამოყენებული მასალების სერტიფიკატები და ფარულ სამუშაოთა აქტი.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ შენობა-ნაგებობებში გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებულ შენობებში დასრულებულია კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოები (გარდა მოსაპირკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოებისა), მათ შორის, აშენებულია ყველა სართული, გადახურვით, საერთო სარგებლობის ფართობი, სადაც განთავსებული იქნება გაზგაყვანილობა და/ან გაზის აღრიცხვის ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით, ხოლო მრავალბინიანი შენობების შემთხვევაში, დასრულებულია და დაცულია ლიფტის შახტები; მოწესრიგებულია კიბის უჯრედები და გამოყოფილია ბინები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „განაწილების ლიცენზიანტისთვის“ აუცილებელ პირობად განსაზღვრულია ბუნებრივი გაზით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება, გთხოვთ გაითვალისწინოთ წინამდებარე წერილში მითითებული ტექნიკური და სამართლებრივი საფუძვლები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაიცვათ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. საკითხის აქტუალობიდან, შემდგომში გაზიფიცირების სამუშაოების შეფერხების ან/და შეუძლებლობის გამორიცხვის მიზნით, გთხოვთ გაზგამანაწილებელი ქსელის სქემა, მრიცხველების განთავსების ადგილი წინასწარ შეათანხმოთ ჩვენს კომპანიასთან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ბაქოს ქუჩა №46.

პატივისცემით,

აჭარის რეგიონალური ოფისის

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ვ.ბერიშვილი

შემსრულებელი:
ი.დიასამიძე



O-SGG-CSH-LT-2023-5-18/234474263



SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str.46
Georgia, Batumi, 6000
Tel: 16 114

E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

შპს „ცენტრალ სითი ლაინი“-ს დირექტორს

ბატონ ზურაბ ბერიძეს

№ O-SGG-CSH-LT-2023-5-18/23
18.05.2023

ბატონო ზური

თქვენი მიმდინარე წლის #I-SGG-HR-ST-2023-5-17/05 მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ ფიროსმანის ქუჩა #8-ის მიმდებარედ და ფიროსმანის ქუჩა #10-ში მდებარე (ს/კ 05.24.05.132; 05.24.05.234; 05.24.05.017;) განთავსებულია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული დ=63-იანი საშუალო წნევის მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენი, საიდანაც სრულად არის შესაძლებელი, თქვენს მიერ მოთხოვნილ მისამართზე დაგეგმილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ბუნებრივი გაზით მომარაგება, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი მშენებლობის დროს საჭიროა შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული გაზსადენის სადემონტაჟო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება, თქვენ უფლება გაქვთ მოგვმართოდ შესაბამისი მოთხოვნით, რის საფუძველზეც მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მომზადება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განხორციელდება შესაბამისი მოქმედებები.

აქვე განგიმარტავთ, რომ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად- „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადით (ერთობლივი განაცხადით) მომართვის შემთხვევაში წინასწარ სრულად უნდა გადაიხადოთ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ამასთან განაცხადს დამატებით უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მომხმარებლების (აბონენტების) მიხედვით მისაერთებელი სიმძლავრე, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური და ამ მომხმარებლების დაზუსტებული მისამართები, საკადასტრო კოდის მითითებით;

ბ) ობიექტის არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გაზმომარაგების სქემა ელექტრონული ფორმით (ბეჭდური განაცხადის შემთხვევაში CD ან DVD ფორმატით), ამასთან თუ თქვენი ობიექტი აშენებულია საქართველოს მთავრობის N41 დედგენილების საფუძველზე(აქ ჩაწერეთ სრული სახელწოდება), გაზმომარაგების სქემა წარმოადგენს შენობის კონსტრუქციული ნაწილის შემადგენელს, შესაბამისად თქვენ მიერ წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის

კონსტრუქციული ნაწილი, რადგან სრულად იყოს გამოკვეთილი რომ გაზომვარაგების წარმოდგენილი სქემა კონსტრუქციული სქემის შემადგენელია.;

გ) მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღრიცხვის კვანძების განთავსების ადგილი შერჩეული იყოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად. მრიცხველების მოსაწყობად უნდა გამოიყოს სპეციალური ნიშა (ყველა ან რამოდენიმე სართულზე) რომელსაც ფასადის მხარეს ექნება ვენტილირებული მოპირკეთება (პერგოლა, ცხაური, გისოსი) ან/და მრიცხველები განთავსდეს პირველ სართულზე, ღია სივრცეში. ერთ ნიშაში ერთდროულად უნდა განთავსდეს არაუმეტეს 15 მრიცხველისა. გაზსადენი (დგარი) გატარებული უნდა იყოს ასევე ღია სივრცეში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოებს ახორციელებს გაზგამანაწილებელი კომპანია, მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასურის საფუძველზე. დადგენილების თანახმად-„იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელ ქსელზე ხდება ისეთი ახალი მომხმარებლის (მომხმარებლების) მიერთება, რომელზეც ვრცელდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი განაწილების ლიცენზიატი. ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო სამუშაო და ხარჯი (სრული ტექნოლოგიური ციკლი), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანა, მიერთებისათვის საჭირო საშუალებების შეძენა, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები, მის შესრულებასთან დაკავშირებული თანხმობის ან ნებართვის მოპოვება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, ბუნებრივი გაზით მომარაგების დაწყების ჩათვლით. ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიაზე ქსელის მოწყობას (შიდა ქსელი) უზრუნველყოფს ახალი მომხმარებელი“

საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად, მრიცხველებიდან გაზდანადგარებამდე უნდა დამონტაჟდეს უწყვეტი ალუმინის მრავალბინიანი მილები, შენობის შიგნით მილგაყვანილობის მარშრუტი უნდა გადიოდეს ვენტილირებად სივრცეებში ან გამოყენებული უნდა იყოს ვენტილირებადი მილები (საჰაერო არხები/მილები) ან მილის გარშემო სივრცე შეივსოს ინერტული მასალებით. გაზსადენი უნდა მოთავსდეს ისეთ კორპუსში, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას ხანძრის შემთხვევაში. გარეშე(არა გამანაწილებელი ლიცენზიატის). შესაბამისად გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მითითებები მშენებლობის დროს, რათა გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაზიფიცირების სამუშაოები შესრულდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქსელის მოწყობის დროს გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ გაზსადენი მილის უწყვეტობის მნიშვნელობა გაზის გაჟონვისა

და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ამასთან მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს გამოყენებული მასალების სერტიფიკატები და ფარულ სამუშაოთა აქტი.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ შენობა-ნაგებობებში გაზიფიცაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებულ შენობებში დასრულებულია კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოები (გარდა მოსაპირკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოებისა), მათ შორის, აშენებულია ყველა სართული, გადახურვით, საერთო სარგებლობის ფართობი, სადაც განთავსებული იქნება გაზგაყვანილობა და/ან გაზის აღრიცხვის ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით, ხოლო მრავალბინიანი შენობების შემთხვევაში, დასრულებულია და დაცულია ლიფტის შახტები; მოწესრიგებულია კიბის უჯრედები და გამოყოფილია ბინები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „განაწილების ლიცენზიანტისთვის“ აუცილებელ პირობად განსაზღვრულია ბუნებრივი გაზით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება, გთხოვთ გაითვალისწინოთ წინამდებარე წერილში მითითებული ტექნიკური და სამართლებრივი საფუძვლები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაიცვათ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. საკითხის აქტუალობიდან, შემდგომში გაზიფიცირების სამუშაოების შეფერხების ან/და შეუძლებლობის გამორიცხვის მიზნით, გთხოვთ გაზგამანაწილებელი ქსელის სქემა, მრიცხველების განთავსების ადგილი წინასწარ შეათანხმოთ ჩვენს კომპანიასთან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ბაქოს ქუჩა №46.

პატივისცემით,
აჭარის რეგიონალური ოფისის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გ.ბერიშვილი





JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერჯო-პრო გეორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო
5267406

შპს „ბლექ სი თაუერ“-ს დირექტორს
ზურა ხიშშიაშვილს
(პ/ნ 6100.107.6743)
ტელ: 598874040;
მის: ქ. ბათუმი, ეგ. წინწმვილის ქ., N 2, ბ. 1708
(ს/კ 445597284)

ასლი: სს „ემ ჯორჯია მიწოდებას“

ბატონო ზურა,

მიმდინარე წლის 19 მაისს სს „ემ ჯორჯია მიწოდებისათვის“ მიმართული განაცხადის (რეგისტრაციის ნომერი - 9060764) პასუხად, რომელიც ეხებოდა ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №113-ში მდებარე, №05.24.05.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებას და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შესაბამისი სიმძლავრის ელ. ენერჯით მომარაგებისთვის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების წერტილის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ ახალი ობიექტის ელექტროენერჯით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული, 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილების „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესები“-ს 18-ე მუხლით. აღნიშნული დადგენილების თანახმად, ელ. ქსელზე მიერთების მსურველი ვალდებულია, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნით, ობიექტის დადგმული სიმძლავრის მითითებით, მიმართოს განაწილების ლიცენზიანტს და ავანსის სახით გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური. აღნიშნული პროცედურის შესრულების შემდეგ, კომპანია იმოქმედებს ზემოთ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი კომპანიის ვებ-გვერდზე: www.energo-pro.ge

პატივისცემით,
დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი.

Digitally signed
by david
kharshiladze
Date: 2023.06.06
12:44:39 +04'00'

შემს: ზვიადი აკრიაშვილი, ტელ 577350530

Tel: 032 2-47-17-07 | Email: Info@Energo-pro.ge | Internet: www.energo-pro.ge | სს. კოდე: 205169066



JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერჯო-პრო გეორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

№5266616

შ.პ.ს „ცენტრალ სითი ლაინი“-ს დირექტორს
ბატონ ზურაბ ბერიძეს
ს/ნ: 445686687
მის: ქ. ბათუმი, პარმენ რურუას ქ.№18, სართ. 10, ბ. 49
ტელ: 595 58 33 33

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2023 წლის 15 მაისის განცხადების (შემ.№9058194) პასუხად, რომელიც ეხებოდა ქსელზე ბათუმში, ფიროსმანის ქ.№10-ში, ფიროსმანის №8-ის მიმდებარედ და ზურაბ გოგილაძის ქუჩის ბოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარე №05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებას და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 1400,7 კვტ სიმძლავრის ელ. ენერჯით მომარაგებისთვის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების წერტილის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ ახალი ობიექტის ელექტროენერჯით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული, 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილების „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესები“-ს 18-ე მუხლით. აღნიშნული დადგენილების თანახმად, ელექტრო ქსელზე მიერთების მსურველი ვალდებულია, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნით, ობიექტის დადგმული სიმძლავრის მითითებით, მიმართოს განაწილების ლიცენზიანტს და ავანსის სახით გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური. აღნიშნული პროცედურის შესრულების შემდეგ, კომპანია იმოქმედებს ზემოთ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი კომპანიის ვებ-გვერდზე: <https://www.energo-pro.ge/ka/service/regulirebuli-axali-mierteba/>

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი

Digitally signed by
david kharshiladze
Date: 2023.05.19
13:35:24 +04'00'

შემს: რამაზ შანიძე
ტელ: 577 35 05 31

TEL: 2-47-17-07 | Email: Info@Energo-pro.ge | Internet: www.energo-pro.ge | სს. კოდე: 205169066



შპს "ბათუმის წყალი"



წერილის ნომერი: **60-142314354**
თარიღი: **23/05/2023**

ადრესატი: შპს ბლექ სი თაუერ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445597284
მისამართი: ბათუმი, ვგ. ნინოშვილის ქ., N 2, ბ. 1708

ბატონო ზურაბ,

თქვენი ამა წლის 15 მაისის №22/1423135218-60 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის N113-ში და ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის N8-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონებების საკითხთან დაკავშირებით, მიწისქვეშა კომუნიკაციების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გიგზავნით სიტუაციურ გეგმას სადაც დატანილია შპს „ბათუმის წყალი“-ს კომუნიკაციები.

დანართი: 1 ფურცელი

ალექსანდრე მჟავანაძე

შპს "ბათუმის წყალი"-გენერალური დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



შპს "ბათუმის წყალი"



წერილის ნომერი: **60-1423145171**
თარიღი: **25/05/2023**

ადრესატი: შპს ცენტრალ სითი ლაინი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445686687
მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, პარკენ რურუას ქუჩა, N 18, სართული 10, ბინა N49

ბატონო ზურაბ,

თქვენი ამა წლის 15 მაისის №22/1423135218-60 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის N113-ში და ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის N8-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონებების საკითხთან დაკავშირებით, მიწისქვეშა კომუნიკაციების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გიგზავნით სიტუაციურ გეგმას სადაც დატანილია შპს „ბათუმის წყალი“-ს კომუნიკაციები.

დანართი: 1 ფურცელი

ალექსანდრე მჟავანაძე

შპს "ბათუმის წყალი"-გენერალური დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



სიტუაციური გეგმა



**განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის
ელექტრომომარაგების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი**

ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილამის ქუჩა N 113-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, (ს/კ:05.24.05.126) უნდა აშენდეს მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი (სავაჭრო, საოფისე და საცხოვრებელი ფართები).

სართულების რაოდენობა: - 46 ერთეული;
ბინების რაოდენობა: - 700 ერთეული;
სასტუმრო აპარტამენტი: - 120 ერთეული;
კომერციული ფართები: - 7 ერთეული;

საპროექტო ტერიტორიის მომავალი ელექტრომომარაგების სისტემის უზრუნველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გამანაწილებელი ქსელი და დაანგარიშებული იქნა (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.194 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №20 2008 წლის 18 სექტემბერი ქ. ქუთაისი „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“) გათვალისწინებით, საპროექტო საცხოვრებელი სახლის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო მოთხოვნილი სიმძლავრის შესაძლო რაოდენობა.

საპროექტო საცხოვრებელი სახლი დაკომპლექტებულია საცხოვრებელი ბინებით აქედან გამომდინარე ელექტრო ენერჯის მოთხოვნილი სიმძლავრის დაანგარიშებისათვის გამოყენებულია ბინების რაოდენობა, (ბინების რაოდენობიდან გამომდინარე დადგენილება №20 მიხედვით ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი ერთი ბინისთვის).

საცხოვრებელი ბინების დასაანგარიშებელი კოეფიციენტი 200-დან 250-ბინამდე შემთხვევაში განისაზღვრება 0,257 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე მომხმარებლის სიმძლავრე შეადგენს 10 კვტს. კოეფიციენტი იანგარიშება (10*0,251)=2,51 კვტ

დადგენილება №20 მიხედვით ასევე ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი კომერციული ფართებისთვის (1მ²-0,14კვტ);

ასევე გათვალისწინებულია ხანძრის ქრობის და სიგნალიზაციის სისტემები, ლიფტები, წყალმომარაგება, ავტო ფარები, საერთო ფართის განათება.

წარმოდგენილი ექსპლიკაციის მიხედვით, ვადგენთ სიმძლავრის დაანგარიშების ცხრილს.

10 კვტ-დან 700 ბინის შემთხვევაში 0,251 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე(10*0,251)=2,571კვტ

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ ²	სულ/კვტ
1.	საცხოვრებელი ბინები	2.51	700	1757
2.	ლიფტი	20	2	40

3.	ხანძრის ქრობის სისტემები	80	1	80
4.	საერთო ფართის განათება	20	1	20
5.	სერვერი-სუსტი დენები	20	1	20
6.	სასტუმრო სადგური	16	1	16
7.	სასტუმრო ნომრები	0,14	2500	350
8.	საოფისე, კომერციული ფართი	0,14	7000	980
	სულ ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე			3263

ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე შეადგენს 3263 კვტ-ს

აღნიშნული მოთხოვნილი სიმძლავრით ობიექტის მომარაგებისათვის, ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს 60 მ² ფართობის ნაკვეთი და დაპროექტდეს 35/0,4 კვ-ის 3750 კვა სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგური. 3 ც 1250კვა სიმძლავრის ტრ-ით.

3263 კვტ სიმძლავრის მიწოდება აღნიშნული ობიექტებისათვის ქალაქის ამ ნაწილში სიმძლავრის დეფიციტის გამო არის პრობლემატური საკითხი.

ამ საკითხის მოგვარებისთვის ენერგო-პრო ჯორჯიას ექნება აუცილებლობა ჩაატაროს სამუშაოები ქალაქის ელ მომარაგების სახაზო საკაბელო ქსელის ცალკეული მონაკვეთების გასაძლიერებლად (დაამატოს ან შეცვალოს საკაბელო ხაზები), ასევე გააძლიეროს ქალაქის ელ მომარაგებისთვის საჭირო სატრანსფორმატორო ქვესადგურების დადგმული სიმძლავრე (შეცვალოს ან დაამატოს ძალოვანი ტრანსფორმატორები და ელ მოწყობილობები).

აუცილებელია ენერგო-პრო ჯორჯიასთან შეთანხმება, რათა ჩაატაროს ელექტრო ენერჯის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი წინასწარი სამუშაოები.

ამ სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები და ვადები განისაზღვრება ენერგო-პრო ჯორჯიასთან დადებული ხელშეკრულებით.

შემდეგ ენერგო-პრო ჯორჯიას მიერ გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე განისაზღვრება ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგური, საიდანაც მოხდება ობიექტის საპროექტო ქვესადგურისთვის ელექტრო ენერჯის მიწოდება.

35 კვ საკაბელო ხაზის გაყვანა ობიექტის 35/0,4 კვ-ის საპროექტო სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე და იქედან ობიექტი ელმომარაგდება 0,4 კვ-ი ქსელით, უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული ელექტროტექნიკური პროექტის საფუძველზე.

ინჟინერი ენერგეტიკოსი:  ტარიელ გოგიჩაიშვილი

**განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის ელექტრო
მომარაგების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი**

ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარე, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარე, ფიროსმანის ქუჩა N 10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132) უნდა აშენდეს მრავალბინიანი სახლი (სავაჭრო, საოფისე და საცხოვრებელი ფართები).

სართულების რაოდენობა: - 50 ერთეული;
ბინების რაოდენობა: - 450 ერთეული;
კომერციული ფართები: - 1 ერთეული;

საპროექტო ტერიტორიის მომავალი ელექტრომომარაგების სისტემის უზრუნველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევი ტერიტორიაზე არსებული გამანაწილებელი ქსელი და დაანგარიშებული იქნა (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.194 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №20 2008 წლის 18 სექტემბერი ქ. ქუთაისი „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“) გათვალისწინებით, საპროექტო საცხოვრებელი სახლის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო მოთხოვნილი სიმძლავრის შესაძლო რაოდენობა.

საპროექტო საცხოვრებელი სახლი დაკომპლექტებულია საცხოვრებელი ბინებით აქედან გამომდინარე ელექტრო ენერჯის მოთხოვნილი სიმძლავრის დაანგარიშებისათვის გამოყენებულია ბინების რაოდენობა, (ბინების რაოდენობიდან გამომდინარე დადგენილება №20 მიხედვით ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი ერთი ბინისთვის).

საცხოვრებელი ბინების დასაანგარიშებელი კოეფიციენტი 200-დან 250-ბინამდე შემთხვევაში განისაზღვრება 0,257 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე მომხმარებლის სიმძლავრე შეადგენს 10 კვტს. კოეფიციენტი იანგარიშება (10*0,251)=2,51 კვტ

დადგენილება №20 მიხედვით ასევე ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი კომერციული ფართებისთვის (1მ²-0,14კვტ);

ასევე გათვალისწინებულია ხანძრის ქრობის და სიგნალიზაციის სისტემები, ლიფტები, წყალმომარაგება, ავტო ფარები, საერთო ფართის განათება.

წარმოდგენილი ექსპლიკაციის მიხედვით, ვადგენთ სიმძლავრის დაანგარიშების ცხრილს.

10 კვტ-დან 450 ბინის შემთხვევაში 0,251 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე(10*0,251)=2,571კვტ

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ ²	სულ/კვტ
1.	საცხოვრებელი ბინები	2.51	450	1129.5
2.	ლიფტი	20	2	40

3.	ხანძრის ქრობის სისტემები	80	1	80
4.	საერთო ფართის განათება	20	1	20
5.	სერვერი-სუსტი დენები	20	1	20
6.	სატუმბო სადგური	16	1	16
7.	საოფისე, კომერციული ფართი	0,14	680	95.2
	სულ ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე			1400.7

ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე შეადგენს 1400.7 კვტ-ს

აღნიშნული მოთხოვნილი სიმძლავრით ობიექტის მომარაგებისათვის, ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს 50 მ² ფართობის ნაკვეთი და დაპროექტდეს 35/0,4 კვ-ის 2000 კვა სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგური. 2 ც 1000კვა სიმძლავრის ტრ-ით.

1400.7 კვტ სიმძლავრის მიწოდება აღნიშნული ობიექტებისათვის ქალაქის ამ ნაწილში სიმძლავრის დეფიციტის გამო არის პრობლემატური საკითხი.

ამ საკითხის მოგვარებისთვის ენერგო-პრო ჯორჯიას ექნება აუცილებლობა ჩაატაროს სამუშაოები ქალაქის ელ მომარაგების სახაზო საკაბელო ქსელის ცალკეული მონაკვეთების გასაძლიერებლად (დაამატოს ან შეცვალოს საკაბელო ხაზები), ასევე გააძლიეროს ქალაქის ელ მომარაგებისთვის საჭირო სატრანსფორმატორო ქვესადგურების დადგმული სიმძლავრე (შეცვალოს ან დაამატოს ძალოვანი ტრანსფორმატორები და ელ მოწყობილობები).

აუცილებელია ენერგო-პრო ჯორჯიასთან შეთანხმება, რათა ჩაატაროს ელექტრო ენერჯის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი წინასწარი სამუშაოები.

ამ სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები და ვადები განისაზღვრება ენერგ-პრო ჯორჯიასთან დადებული ხელშეკრულებით.

შემდეგ ენერგო-პრო ჯორჯიას მიერ გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე განისაზღვრება ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგური, საიდანაც მოხდება ობიექტის საპროექტო ქვესადგურისთვის ელექტრო ენერჯის მიწოდება.

35 კვ საკაბელო ხაზის გაყვანა ობიექტის 35/0,4 კვ-ის საპროექტო სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე და იქედან ობიექტი ელმომარაგდება 0,4 კვ-ი ქსელით, უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული ელექტროტექნიკური პროექტის საფუძველზე.

ინჟინერი ენერგეტიკოსი:  ტარიელ გოგიჩაიშვილი

განამუშავების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი.
ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ,
ფიროსმანის ქუჩა N 10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე
(ს.კ 05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132)

ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N 113 (ს/კ: 05.24.05.126) და ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში (ს/კ: 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132) მდებარე მიწის ნაკვეთებზე, დაგეგმილია საცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობების მშენებლობა. 2 სხვადასხვა ბლოკისგან შემდგარი (#1; #2) შენობა ნაგებობა:

ბლოკი	დანიშნულება/დასახელება	სართულიანობა	ბინების/აპარტამენტების რაოდენობა	ფართობი მ ²
#1	მრავალფუნქციური შენობა (ს/კ: 05.24.05.126)	46	700 ბინა; 120 აპარტ ნომერი;	30000
#2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132)	50	450 აპარტამენტი	26900

საპროექტო ტერიტორიის მომავალი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის უზრუნველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელისა და წყალარინების ქსელის არსებული მდგომარეობა და ასევე საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების შესაძლო მოცულობების ხარჯები:

საპროექტო ტერიტორიაზე განსაზღვრებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობები დაკომპლექტებულია სტანდარტული საცხოვრებელი ბინებით და სასტუმროს ტიპის აპარტამენტებით, სადაც 2 საცხოვრებელი სახლის ბინების საერთო რაოდენობაა 1150 ერთეული და 120 სასტუმროს აპარტნომერი, ასევე პირველ-მეოთხე სართულზე დაგეგმილია კომერციული და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მოწყობა, სულ 8 ობიექტი 7680 მ².

მოცულობების დაანგარიშებისათვის გამოყენებულია საცხოვრებელ ბინაზე სააბაზანოს 3 სველი წერტილი და სამზარეულოს 3 სველი წერტილი, ხოლო აპარტამენტების ტიპის ბინაზე სააბაზანოს 3 წერტილი და სამზარეულოს 2 წერტილი.

საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები			
#	ბლოკი	სართულიანობა	ბინების რაოდენობა
1.	#1	46 სართულიანი	700 საცხოვრებელი ბინა 120 აპარტნომერი
2.	#2	50 სართულიანი	450 საცხოვრებელი ბინა

სულ საცხოვრებელი შენობა ნაგებობა:	2 ერთეული
სულ საცხოვრებელი ბინების რაოდენობა:	1150 ერთეული
სულ არასაცხოვრებელი ბინების რაოდენობა:	120 ერთეული
სულ საცხოვრებელი ბინების საერთო ფართობი:	56900 მ ²
სულ არასაცხოვრებელი ობიექტის რაოდენობა:	8 ერთეული
სულ არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართობი:	7680 მ ²

საცხოვრებელი ბინები:

სასტუმროს ტიპის ნომრები:

ა - საპირფარეშო

გ - საპირფარეშო

ბ - სამზარეულო

#	დასახელება	ხარჯი / ნორმა სულზე დდ/დ	საშუალოდ დდ/დ
ა	1. ხელსაბანი	40 ლტ.	180 ლტ.
	2. საშხაპე	85 ლტ.	220 ლტ.
	3. უნიტაზი	50 ლტ.	230 ლტ.
ბ	4. ხელსაბანი	40 ლტ.	220 ლტ.
	5. ქურჭლის სარეცხი ონკანი	60 ლტ.	300 ლტ.
	6. ტანსაცმლის სარეცხი მანქანა	45 ლტ.	200 ლტ.
გ	7. ხელსაბანი	25 ლტ.	150 ლტ.
	8. უნიტაზი	35 ლტ.	180 ლტ.
	9. საშხაპე	80 ლტ.	200 ლტ.
დ	10. სახანძრო უსაფრთხოება	1500 ლტ.	1500 ლტ.

#1-ბლოკი - საცხოვრებელი ბინა				
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	(180+220+230+220+300+200)=1350 ლტ.დდ/დ			
1350 ლტ.დდ/დ * 700 + 1500 = 946500 ლტ.დდ/დ				
#1-ბლოკი - სასტუმროს ტიპის ნომრები				
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	(150+180+200)=530 ლტ.დდ/დ			
530 ლტ.დდ/დ * 120 + 1500 = 65100 ლტ.დდ/დ				
#2-ბლოკი				
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	(180+220+230+220+300+200)=1350 ლტ.დდ/დ			
1350 ლტ.დდ/დ * 450 + 1500 = 609000 ლტ.დდ/დ				
#	დასახელება	ლტ.დდ/დ	კმ/დდ/დ	დიამეტრი

				წყალი	წყალარინება
1.	#1 - ბლოკი - საცხ. ბინა	946500	946.5	125 მმ	150 მმ
2.	#1 - ბლოკი - სასტუმრო აპარტ.	65100	65.1	63 მმ	100 მმ
3.	#2 - ბლოკი	609000	609	110 მმ	150 მმ
საერთო მოთხოვნა:		1072500	1073	150 მმ	200 მმ

წყლის საანგარიშო ხარჯების გამოსათვლელად საჭირო ნორმატივები ადებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნ და წ. 2.04.02-84) მიხედვით. წყლის ხარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით.

საშუალო დღე-ღამური ხაჯი

$$Q_{\text{დღ.საშ}} = \frac{N \cdot n}{1000} \text{ მ}^3/\text{დღ.ს}$$

სადაც: N-არის მოსახლეობის რაოდენობა 4450 კაცი;

n-წყლის ნორმა ერთსულ მოსახლეზე 250 ლიტრი/დღე;

$$Q_{\text{დღ.საშ}} = \frac{4450 \cdot 250}{1000} = 1100 \text{ მ}^3/\text{დღ.} = 45.83 \text{ მ}^3/\text{სთ.} = 12.73 \text{ ლ/წმ}$$

მაქსიმალური დღე-ღამური ხარჯი, რომელიც მოსახლეობითვისა ასაჭირო

$$Q_{\text{მაქ.დღ.}}^{\text{მოს}} = K_{\text{დღ.}} \times Q_{\text{დღ.საშ}}$$

$K_{\text{დღ.}}$ - დღე-ღამური უთანაბრობის კოეფიციენტი, მიიღება $K_{\text{დღ.}} = 1,2$

$$Q_{\text{მაქ.დღ.}}^{\text{მოს}} = 1,2 \times 1100 \text{ მ}^3/\text{დღ.} = 1320 \text{ მ}^3/\text{დღ.}$$

გაუთვალისწინებელი ადგილობრივი წყალმომარაგებისათვის ვიღებთ 30%-ს მაშინ მთლიანი მაქსიმალური დღე-ღამური ხარჯი იქნება

$$Q_{\text{მაქ.დღ.}} = 1,3 Q_{\text{მაქ.დღ.}}^{\text{მოს}} = 1,3 \times 1100 \text{ მ}^3/\text{დღ.} = 1430 \text{ მ}^3/\text{დღ.}$$

$K_{\text{მაქ.სთ.}}$ -საათური უთანაბრობის კოეფიციენტი და გამოითვლება ფორმულით

$$K_{\text{მაქ.სთ.}} = \alpha \text{მაქ} \times \beta \text{მაქ}$$

$K_{\text{მაქ.სთ}}$ - საათური უთანაბრობის კოეფიციენტი და გამოითვლება ფორმულით

$$K_{\text{მაქ.სთ}} = \text{მაქ} \times \text{მაქ}$$

α მაქ - კოეფიციენტი, რომელიც შენობის კეთილმოწყობის ხარისხის და კოეფიციენტი, რომელიც შენობის კეთილმოწყობის ხარისხსა და ადგილობრივ პირობებს ითვალისწინებს და მიიღება α მაქ=1,2÷ 1,4, ვიღებთ α მაქ=1,3;

β მაქ - კოეფიციენტი, რომელიც ცხრილი 2-დან აიღება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ჩვენ შემთხვევაში β მაქ=1,4, მაშინ

$$K_{\text{მაქ.სთ}} = 1,3 \times 1,4 = 1,82, \text{ ხოლო}$$

$$Q_{\text{მაქ.წმ}} = 1,82 \times 12.73 = 23.17 \text{ ლ/წმ}$$

$Q_{\text{საშ.წმ}}$. ხარჯზე იანგარიშება საპროექტო წნევიანი წყალდენი რეზერვუარამდე, ხოლო

$Q_{\text{მაქ.წმ.ხარჯზე}}$ - წყალსადენის ქსელი რეზერვუარის შემდეგ. ამასთანავე წყალსადენი სქელ მოწმდება $Q_{\text{მაქ.წმ.პლუსიკსახ.ხარჯზე}}$.

n - ერთდროულად მოსალოდნელ ხანძართა რაოდენობა. იგი აიღება ცხრილი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში n=1.

$Q_{\text{სახ.}}$ - ერთი ხანძრის ჩასაქრობად საჭირო წყლის ხარჯი. იმავე ცხრილიდან მიიღება მოსახლეობის რაოდენობისა და განაშენიანების სართულიანობის მიხედვით და ჩვენ შემთხვევაში ტოლია $Q_{\text{სახ.}} = 10 \text{ ლ/წმ}$.

მაშინ წყლის ჯამური ხარჯი, რომელზე ანგარიშითაც უნდა შემოწმდეს წყალსადენის ქსელი იქნება:

$$Q_{\text{მაქ.წმ.}} + Q_{\text{სახ.}} = 5.67 \text{ ლ/წმ.}$$

ხოლო საპროექტო შენობა ნაგებობების მოთხოვნა სართულებისა და ბინების/აპარტამენტების გაანგირიშებით წყალმომარაგების მოცულობა განისაზღვრება 12.73 ლ/წმ-დან 17.36 ლ/წმ-მდე. ანუ 1100 – 1500 მ³/დღ.

აღნიშნული მოხმარების მიხედვით, ზემოთ მოყვანილი ცხრილები/დატვირთვები გაანგარიშებულია 24 საათიანი სრული დატვირთვის მიხედვით, რაც სავსებით შეესაბამება წინასწარი საპროექტო მონაცემების გაანგარიშებას.

აღნიშნული მოხმარების მიხედვით ცენტრალურ სისტემაზე დაერთება უნდა მოხდეს: დ150მმ-იანი წყლის მილით, რომელიც 1500 მ³/დღ-მდე წყალმომარაგების გამტარიანობის წარმატებას უზრუნველყოფს, ხოლო წყალარინების შემთხვევაში საკმარისი დ200მმ-იანი წყალარინების მილით დაერთება ცენტრალურ ქსელზე.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ფართოდ/მასიურად გაშლილია და საპროექტო შენობა-ნაგებობები განაწილებულია შესაბამისი განაშენიანების მიხედვით, მიზანშეწონილი

იქნება დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე მოხდეს ცალკე გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, რომელიც წყალმომარაგების გამანაწილებელ ქსელზე დაერთებული იქნება დ150მმ-იანი წყლის მილით, ხოლო შესაბამისი ჰიდრო გაანგარიშებების შემდგომ, შესაძლებელია დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე მოწყობის გამანაწილებელი ქსელი, რომლებზეც დასაგეგმარებელი საპროექტო შენობა-ნაგებობების დაერთება მოხდება გაანგარიშებული ცხრილის შესაბამისად კონკრეტული წყლის მილის დიამეტრებით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინების დაერთება წყალმომარაგებაზე რეკომენდირებულია დ25მმ - დ32მმ-იანი წყლის მილით. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი ბინების დატვირთვის დროს, პიკის საათებში და ჩვეულებრივი საათებში, საათური წყლის მოხმარება თანაბარი, რომ არ იყოს და დასაშვები იქნება ერთდროულად რამოდენიმე სველი წერტილით სარგებლობა. რეკომენდირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულებზე შიდა გამანაწილებელი დგარები მოწყობილი იყოს პირველი სართულიდან დ110მმ-იანი და მერვე სართულის შემდგომ დ75მმ-იანი და დ63მმ-იანი წყლის გარდამავალი მილით, წყლის მასის მოცულობის გათანაბრების მიზნით, ასევე სართულებზე იქნება დასამონტაჟებელი წყლის წნევის რეგულატორი, რომელიც განაწილებული უნდა იყოს ცენტრალური დგარიდან სართულებზე სიმაღლის დონის მიხედვით სტაბილური წნევის შესანარჩუნებლად.

ვინაიდან საცხოვრებელი სახლების სიმაღლეები განსაზღვრულია წინასწარ სართულების მიხედვით, რეკომენდირებულია ტექნიკური სართულის მოწყობა შუა სართულებზე ან 0 სართულზე, სადაც განთავსებული იქნება 2 წყლის ტუმბო ჰიდროფონის რეგულატორით, რომელიც წნევის ცვალებადობისა და წყალმომარაგების მოთხოვნის ხარჯზე ავტომატურ რეჟიმში დაარეგულირებს მაღალ სართულებზე მოხმარების მიხედვით სათანადო წარმადობას.

დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობის შემდგომ, "ოპერატორს" - წყალმომარაგების სადისტრიბუციო კომპანიას არსებულ მაგისტრალურ თუ გამანაწილებელ ქსელზე არ შეექმნება ჰიდრო დარტყმების საშიშროება, კავიტაცია და წნევის ცვალებადობა, რადგან არ იქნება ცალკე პირდაპირი განმტოვების მიხედვით კონკრეტული დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობები დასაერთებელი, არამედ დასაგეგმარებელი ობიექტების დაერთება უნდა მოხდეს უკვე შესაბამისი სტანდარტების მიხედვით მოწყობილ გამანაწილებელ ქსელზე.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმი შენობა ნაგებობების სიმაღლე, ხელს არ უწყობს წყლის თვითღინებით მიწოდებას, ამიტომ აუცილებელი პირობა იქნება, დაერთების ადგილის შემდგომ, შიდა ტერიტორიაზე ან უშუალოდ შენობებში სატუმბო სადგური (საერთო ან ინდივიდუალური თითო შენობაზე) სადაც განთავსებული იქნება ორი ტუმბო, ერთი მუშა და მეორე სათადარიგო. სატუმბო სადგურს უნდა გააჩნდეს საფერუსებური წყლის გადაქაჩვის ფუნქცია და გათვალისწინებული უნდა იყოს სამარაგო ავზი, გამაფართოვებელი, რომ არ შეუქმნას უწყვეტ რეჟიმში წყლის მიწოდება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ შენობა ნაგებობებს.

წყალარინების ქსელის დაერთება აღნიშნული დატვირთვებით რეკომენდირებულია დ200მმ-იანი ან ორი დ150მმ-იანი წყალარინების მილით ცენტრალურ მილზე დაერთებით, რომელიც უზრუნველყოფს 1500-3500კმ/დღ/დ-ზე მეტი სითხის გამტარიანობას, მაგრამ წყალარინების შემთხვევაში, როგორც წყალმომარაგების ნაწილში აუცილებელი იქნება შიდა


წყალარინების ქსელის მოწყობა, შესაბამისი შემკრები წყალარინების ჭებით, რომლებსაც დახურული თუჯის სახურავები ექნება.

მრავალსართულიანი საცხოვრებელ კორპუსის მოცულობის მიხედვით დასაშვებია ცენტრალური დგარის მოწყობა სართულებზე დ150მმ-იანი წყალარინების მილით, რომლის შეკრება მოხდება საპროექტო შენობის მახლობლად საპროექტო შემკრებ წყალარინების ჭაში, რომელიც შემდგომ მიერთებული იქნება შიდა წყალარინების სისტემაზე.

სანიაღვრე - ქსელის მოწყობა საპროექტო ტერიტორიაზე რეკომენდირებულია რამოდენიმე სანიაღვრე ჭის საშუალებით, რომლების ერთად შეკრება შესაძლებელია და არსებულ სანიაღვრე ქსელზე დაერთება დ200მმ (გოფირებული, პოლიეთილენი) მილით, რომელიც დაკავშირებული იქნება, როგორც ფიროსმანის ქუჩაზე არსებულ სანიაღვრე არხში ან ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე არსებულ სანიაღვრე ქსელში.

სპეციალისტი წყალმომარაგებისა და წყალარინების

ჰიდროკალკულაციის საკითხებში



სერგო ჭყონია

ქალაქ ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.05.24.05.126) დასაგეგმი მშენებლობისთვის გაზიფიცირების შესაძლებლობის ანალიზი, საპროექტო ობიექტის სავარაუდო, პერსპექტიული გაზის მომხმარებლების ჯამური საანგარიშო სიმძლავრის (მოხმარების) განსაზღვრა

შპს „ბლექ სი თაუერ“ (ს/ნ 445597284) დაკვეთით დასაგეგმი მშენებლობის დასამუშავებელი, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ქალაქ ბათუმს, საპროექტო ტერიტორია მოიცავს 1 მიწის ნაკვეთს და მდებარეობს ზურაბ გორგილაძის ქუჩა №113-ით დაფიქსირებულ მისამართზე.

საპროექტო ტერიტორიულ ერთეულზე იგეგმება ერთი 46 სართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, 700 ბინით და 120 სასტუმრო ნომრით, ხოლო 1-4 სართულზე 7 კომერციული დანიშნულების ფართით.

საკვლევი ტერიტორიის მომავალი გაზიფიცირების პროგრამის შემუშავებისა და სწორად დაგეგმვის მიზნით, განისაზღვრა და შეჯამდა ნაკვეთზე დასაგეგმი მრავალსართულიანი (46 სართული) სახლის, ბუნებრივი აირის შესაძლო თითოეული მომხმარებელი აბონენტის მაქსიმალური საათური ხარჯები აბონენტის ტიპის, ბინის ფართის და სხვა მახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

არსებული საპროექტო გეგმარების კონცეფციით, გაზის მომხმარებელი საცხოვრებელი ბინების სავარაუდო მაქსიმალურმა რაოდენობამ შეიძლება შეადგინოს 700 ერთეულამდე და სასტუმროს ტიპის აპარტამენტების 120 ერთეულამდე (ტიპური ბინების ფართებით 35კვმ, 42კვმ, 60კვმ და 80კვმ).

არსებული საპროექტო გეგმარების კონცეფციით, დამკვეთის გადაწყვეტილებით და მოთხოვნით უსაფრთხოების თვლსაზრისით, სასტუმროს ცალკეული ნომრები და ბინები არ იქნება გაზიფიცირებული, მათი გათბობისთვის და ცხელი წყლით უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებულია ელექტრო ენერჯის გამოყენება ან და ცენტრალური გათბობის სისტემის გამოყენება, აღნიშნულიდან გამომდინარე კომპლექსში გაზის პოტენციურ მომხმარებელს წარმოადგენს ქვედა სართულზე (პირველ და მეოთხე სართულებზე) გასანაწილებელი არასაყოფაცხოვრებო (კვების ობიექტები, რესტორნები, ბარები, ოფისები, გასართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ა.შ.) კომერციული დანიშნულების ფართები.

სულ ჯამში, მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსში გაზის მომხმარებელი ობიექტების სავარაუდო მაქსიმალურმა რაოდენობამ შეიძლება შეადგინოს 7 ერთეულამდე, ზემოთ აღნიშნული კონცეფციის, მაღალსართულიან შენობა-ნაგებობებში საწყის სართულებზე განსათავსებელი გაზის თითოეული არასაყოფაცხოვრებო აბონენტის მაქსიმალურ დასაშვებ სიმძლავრედ მიღებულია 10კუბ.მ/სთ-მდე პიკური გაზის მოხმარება, აქედან გამომდინარე შესაძლო პოტენციური აბონენტების რაოდენობის და მათ მიერ ერთდროულად გაზის მოხმარების კოეფიციენტის (ამ შემთხვევაში $K2=0.8$) გათვალისწინებით მოსაკვლევე, ტერიტორიაზე დაგეგმილი გაზის მომხმარებლების სავარაუდო მაქსიმალური (პიკური) საათური გაზის მოხმარებამ შეიძლება შეადგინოს:

$$Q_{max} = 10 \cdot 7 \cdot 0.8 = 56 \text{ კუბ.მ/სთ}$$

სასტუმრო კომპლექსის სავარაუდო მომხმარებლების გაზომარაგებისთვის გაზსადენის ქსელის მშენებლობის და დაერთების ადგილებს, შემდგომში შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, კონკრეტული გაზის მომხმარებელი ობიექტების მდებარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს გაზის მიმწოდებელი ლიცენზიანტი კომპანია, ასევე დაგეგმარებით მოთხოვნილი სიმძლავრის მიხედვით განსაზღვრავს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გაზსადენებით გაზიფიცირების შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში პერსპექტივაში დაგეგმავს ახალი გაზსადენების მშენებლობის საჭიროებას.

შემსრულებელი; სპეციალისტი, ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხებში. *ი. ბუჩქელი* ზურჭულაძე

ქალაქ ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა #10-ში, ფიროსმანის ქუჩა, N8-ის მიმდებარედ და ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132;) დასაგეგმი მშენებლობისთვის გაზიფიცირების შესაძლებლობის ანალიზი, საპროექტო ობიექტის სავარაუდო, პერსპექტიული გაზის მომხმარებლების ჯამური საანგარიშო სიმძლავრის (მოხმარების) განსაზღვრა

შპს „ცენტრალ სითი ლაინი“ (ს/ნ 445686687) დაკვეთით დასაგეგმი მშენებლობის დასამუშავებელი, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ქალაქ ბათუმს, საპროექტო ერთეული მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს და მდებარეობს ფიროსმანის ქუჩა #10-ში, ფიროსმანის ქუჩა, N8-ის მიმდებარედ და ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ დაფიქსირებულ მისამართზე.

საპროექტო ტერიტორიულ ერთეულზე იგეგმება ერთი 50 სართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, 450 აპარტამენტით, ხოლო 1 სართულზე 1 კომერციული დანიშნულების ფართით.

საკვლევი ტერიტორიის მომავალი გაზიფიცირების პროგრამის შემუშავებისა და სწორად დაგეგმვის მიზნით, განისაზღვრა და შეჯამდა ნაკვეთზე დასაგეგმი მრავალსართულიანი (50 სართული) სახლის ბუნებრივი აირის შესაძლო თითოეული მომხმარებელი აბონენტის მაქსიმალური საათური ხარჯები აბონენტის ტიპის, ბინის ფართის და სხვა მახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

არსებული საპროექტო გეგმარების კონცეფციით, გაზის მომხმარებელი საცხოვრებელი ბინების სავარაუდო მაქსიმალურმა რაოდენობამ შეიძლება შეადგინოს 450 ერთეულამდე.

არსებული საპროექტო გეგმარების კონცეფციით, გაზის მომხმარებელი ბინების სავარაუდო მაქსიმალურმა რაოდენობამ შეიძლება შეადგინოს 450 ერთეულამდე, (ტიპური ბინების ფართებით 35კვმ, 42კვმ, 60კვმ და 80კვმ)

დაგეგმილი სახლის ბინების გაზის პიკური საანგარიშო მოხმარების დასათვლელად ვიღებთ ცალკეული სავარაუდო გაზის მომხმარებელი ხელსაწყოების მაქსიმალურ საათურ მოხმარებას (გაზქურის $Q_{max}=1,25$ კუბ.მ; წყალ გამაცხელებელი ქვაბისათვის $Q_{max}=1,8$ კუბ.მ). რის საფუძველზეც სრულად დატვირთვის შემთხვევაში სახლის საანგარიშო მაქსიმალური გაზის საათური (პიკური) მოხმარება შესაბამისი აბონენტების რაოდენობისთვის მოხმარების ერთობლიობის კოეფიციენტის (ამ შემთხვევაში $K1=0.150$) და წყალგამაცხელებელი ქვაბების მუშაობის რეჟიმის და ერთობლივი მოხმარების ალბათობის კოეფიციენტის ($K2=0.8$ $K3=0.65$) გათვალისწინებით გათვლების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ

$$Q_{max}=(1,8*0,8*0,65*450)+(1,25*0,150*450)=421.2+84.27=505.5 \text{ კუბურ მეტრამდე საათში.}$$

მაღალსართულიან შენობა-ნაგებობებში საწყის სართულებზე განსათავსებელი გაზის თითოეული არა საყოფაცხოვრებო აბონენტის (ამ შემთხვევაში სავაჭრო ობიექტები და ოფისები) მაქსიმალურ დასაშვებ სიმძლავრედ მიღებულია 10კუბ.მ/სთ-მდე პიკური გაზის მოხმარება, აქედან გამომდინარე შესაძლო არა საყოფაცხოვრებო პოტენციური აბონენტების რაოდენობის (1 ერთეული) და მათ მიერ ერთდროულად გაზის მოხმარების კოეფიციენტის (ამ შემთხვევაში $K2=0.8$) გათვალისწინებით მოსაკვლევ ტერიტორიაზე დაგეგმილი გაზის არა საყოფაცხოვრებო მომხმარებლების სავარაუდო მაქსიმალური (პიკური) საათური გაზის მოხმარებამ შეიძლება შეადგინოს:

$$Q_{max}=1*10*0.8=8 \text{ კუბ.მ/სთ}$$

ჯამურად დასაგეგმი სახლის ბინების და არა საყოფაცხოვრებო ობიექტების საანგარიშო მაქსიმალური (პიკური) გაზის საათური მოხმარება შეიძლება მივიღოთ $505.5+8=513.5$ კუბ.მ/სთ-ის ფარგლებში

საცხოვრებელი სახლის სავარაუდო მომხმარებლების გაზომარაგებისთვის გაზსადენის ქსელის მშენებლობის და დაერთების ადგილებს, შემდგომში შესაბამისი გაზიფიცირების მოთხოვნის სტანდარტული განაცხადის საფუძველზე განსაზღვრავს გაზის მიწოდებელი ლიცენზიანტი კომპანია, ასევე დაგეგმარებით მოთხოვნილი სიმძლავრის მიხედვით განსაზღვრავს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გაზსადენებით გაზიფიცირების შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში პერსპექტივაში წინასწარ დაგეგმავს ახალი გაზსადენების მშენებლობის საჭიროებას.

შემსრულებელი; სპეციალისტი, ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხებში. *ი. ბურჭულაძე*

8. საკუთრების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთები, მასზე გათავსებული შენობები და მშენებარე ობიექტები წარმოადგენენ კერძო იურიდიული და ფიზიკური პირების, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებას.

მიწის ნაკვეთი				
საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ.	მისამართი	მესაკუთრე	
1	2	3	4	5
1	05.24.05.126	2298,00	ზ. გორგილამის ქ. #113	შპს „ბლექ სი თაუერ“
2	05.24.05.017	1167,00	ფიროსმანის ქ. #10	ბ.მ. „ტაო“, შპს „ცენტრალ სითი ლაინი“
3	05.24.05.132	582,00	ზურაბ გორგილამის ქუჩის ბოლოს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
4	05.24.05.234	147,00	ფიროსმანის ქ. #8-ის მიმდებარედ	სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი
5	05.24.05.189	1870,00	ფიროსმანის ქ. #12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6	05.24.05.192	1828,00	ზ. გორგილამის ქ. #111	ბ.მ. „მეგაპალასი“
7	05.24.05.211	111,00	ფიროსმანის ქ. #12/ზ. გორგილამის ქ. #120	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

9. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმები, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის გეგმარებითი ერთეულის მიმართ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები დაგეგმილი არ არის, ამასთან მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები.

10. დარგობრივი გეგმები და ქალაქთმშენებლობითი გეგმები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის დარგობრივი გეგმები არ არის შემუშავებული, ამასთან დამტკიცებული ან შემუშავების პროცესში არ არის მომიჯნავედ მყოფი ქალაქთმშენებლობითი განსხვავებული გეგმები, დამტკიცებულია გენერალური და განაშენიანების გეგმები.

დღეისათვის მიმდინარეობს ქალაქ ბათუმის ქალაქმშენებლობითი გეგმების სახელმწიფო შესყიდვის შესაბამისი სამუშაოები.

ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმით გეგმარებითი ერთეული მდებარეობს შერეულ ზონაში (შზ), იგი წარმოადგენს სამშენებლო ტერიტორიას, რომელშიც დასაშვებია განსათავსებელი ობიექტის გამოყენების სახეობა, ასევე მრავალფუნქციური შენობა, სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა, კვების, სავაჭრო, საოფისე და სხვა ობიექტი.


განაშენიანების პარამეტრები განსაზღვრულია იეარარქიულად ქვემდგომ განაშენიანების გეგმაში, კერძოდ:

სამშენებლო ქვეზონა - საქმიანი ზონა (შზ-3).


განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) = 0,5;


განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 4,6-მდე;

გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) = 0,2.



ბ ა თ უ მ ი





11. განვითარების ზღვრული სიმჭიდროვები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების №8 დანართი სარეკომენდაციოა და მისი გათვალისწინება რეკომენდირებულია უშუალოდ ტერიტორიების გეგმარებითი საბალანსო ერთეულებისათვის. დადგენილების მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი ნაწილის „მ“ პუნქტის განმარტების მიხედვით: „უშუალო ტერიტორია – დასახლების ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, უმეტესად მწვანე საფარითაა დაფარული და 300 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა.“ ამავ დანართის პირველი პუნქტის მიხედვით, საბალანსო ერთეულებად დაყოფა ხორციელდება მხოლოდ საცხოვრებელი ზონაში. ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმის მიხედვით, გეგმარებითი ერთეული მდებარეობს საქმიან ზონაში (შზ-3), ამასთან წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ერთეულის მიმართ განვითარების ზღვრული სიმჭიდროვის მაჩვენებელი არ განისაზღვრება.

12. ალტერნატივები და ლიმიტაციები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იერარქიულად ქვედა დონის დოკუმენტში - გდგ-ში ალტერნატივების ასახვა არ წარმოადგენს სავალდებულობას/საჭიროებას. ამასთან, კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ალტერნატივები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გდგ არ საჭიროებს ალტერნატივების განხილვას. გდგ-ს მიხედვით იცვლება განაშენიანების პარამეტრები, ლიმიტირებული რჩება სხვა პირობები - გამწვანების, ღობის მოწყობის და ესთეტიკური პირობები.

13. მაკომპენსირებელი ღონისძიება

„ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15.152329710 განკარგულების მე-2 ნაწილის მიხედვით: „2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.“

14. ეფექტიანობის შეფასება

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ურბანული სივრცის განვითარებას, მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ დაგეგმილი განვითარება უზრუნველყოფს მაცხოვრებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას, კერძოდ გასული საუკუნის 60-იან წლებში აშენებული ე.წ. „ხრუშოვკის“ ტიპის ექსპლუატაციის ვადაგასული საცხოვრებელი სახლის ნაცვლად სათანადო სტანდარტების საცხოვრისების განთავსებას, შესაბამისად ასეთი ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლების თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალი კაპიტალური ფონდით ჩანაცვლების ტენდენციის სტიმულირებას.

პროექტი ასევე ხელს შეუწყობს თავისუფალი მოუწესრიგებელი მიწის ნაკვეთების ათვისებას და თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსებას. ვინაიდან, საპროექტო ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია მრავალსართულიანი შენობები, საპროექტო საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი მრავალსართულიანი შენობების განთავსება არ გამოიწვევს ურბანული ქსოვილის რღვევას, ჩამოყალიბდება მოწესრიგებული მდგრადი გეგმარებითი ერთეული, რაც ურბანული თვალსაზრისით გამართლებული და მიზანშეწონილია. გეგმარებით ერთეულზე განახლება კაპიტალური ფონდი, პროექტის განხორციელებით შეიქმნება დასაქმების ადგილები, როგორც უშუალოდ ობიექტის მშენებლობის დროს ასევე ექსპლუატაციის პერიოდში, აგრეთვე მისი მომსახურების სერვისებში, შესაბამისად თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკის განვითარებაში და ზრდაში.

SWOT ანალიზი:

ძლიერი მხარეები	ზღვის სანაპიროსთან და ბულვართან სიახლოვე; სოციალურ ინფრასტრუქტურაზე და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა.
სუსტი მხარეები	გეგმარებით ერთეულზე მოუწესრიგებელი მიწის ნაკვეთების და ძველი კაპიტალური ფონდის არსებობა.
შესაძლებლობები	მაცხოვრებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება, თავისუფალი მიწის ნაკვეთების ათვისება და თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსება, ტერიტორიის მდგრადი განვითარება.
საფრთხეები	არ ფიქსირდება

ეფექტიანობის შეფასების ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილებში:

სამშენებლო პოტენციალის (კ/კ) ზრდის ხარჯ-სარგებლიანობის საანგარიშო ცხრილი (ინფორმაცია შეიყვანეთ მხოლოდ ლურჯად მონიშნულ ველებში)			
გათვლები ლარში			
ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ			
გათვლების გაკეთების თარიღი	15.04.2023		
მისამართი	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქუჩა # 113		
საკადასტრო კოდ(ებ)ი	05.24.05.126		
დეველოპერული კომპანია	მზს „ბლექ სი თაუერ“		
საკონტაქტო პირი	ჯუმბერ ზოიძე		
ტელეფონი	(+995) 577 40 47 47		
არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები			
ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები	მოთხოვნილი პარამეტრები		
კ ¹	0,5/0,7	კ ¹	0,7
კ ²	4,6	კ ²	17,0
კ ³	0,2	კ ³	0,2
სამშენებლო მოცულობები			
მიწის ფართობი	2 298,0		
კ ¹ საანგარიშო ფართი	39 000,0		
კვ.მ. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება	980,0		
მიწის ზედა სართულიანობა	46	მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა მ3	164 000,0
მიწის ქვედა სართულიანობა	1	მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა მ3	6 000,0
მშენებლობის ხარჯი			
	ფართობი	1 კვმ ღირებულება დღგ გარეშე ლარში	დანაკარგი%
მთლიანი სამშენებლო მოცულობა	50 100,0	X	
მ.შ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)	15 000,0	1 590,0	29,9%
მ.შ. საცხოვრებელი ფართი კვმ	30 000,0	1 590,0	
მ.შ. კომერციული ფართი კვმ	5 000,0	1 800,0	
მ.შ. საოფისე ფართი კვმ	0,0		
მ.შ. დახურული ავტოსადგომები კვმ	4 000,0	1 590,0	
მ.შ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ	500,0	1 590,0	
სულ მშენებლობის ხარჯი		87 705 000,0	
ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)			
ჯამური ვალდებულება გამოსასული თანხობრივად	0,0		
გთხოვთ აღწეროთ ვალდებულება და თანხის განაგრძობა:			
შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)			
	ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულ.
საცხოვრებელი ფართი	30 000,0	2 500,0	75 000 000,0
კომერციული ფართი	5 000,0	2 800,0	14 000 000,0
საოფისე ფართი	0,0		0,0
ავტოსადგომების რაოდენობა *	119	20 000,0	2 380 000,0
სხვა დანიშნულების ფართი	500,0	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი			
მთლიანი მიღებული შემოსავალი	91 380 000,0		
ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ			
სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის	3 675 000,0		
დღგ	661 500,0		
მოგების გადასახადი	452 025,0		
კ ² გადასახადი და მშენებლობის ნებართვა	40 000,0		
ღირებულება	126 073,8		
მოგება გადასახადების შემდეგ	2 395 401,3		

სამშენებლო პოტენციალის (კ/კ) ზრდის ხარჯ-სარგებლიანობის საანგარიშო ცხრილი (ინფორმაცია შეიყვანეთ მხოლოდ ლურჯად მონიშნულ ველებში)			
გათვლები ლარში			
ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ			
გათვლების გაკეთების თარიღი	15.04.2023		
მისამართი	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფირსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფირსმანის ქუჩა N 10		
საკადასტრო კოდ(ებ)ი	05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132		
დეველოპერული კომპანია	მზს „ცენტრალ სთი ლაინი“		
საკონტაქტო პირი	ჯუმბერ ზოიძე		
ტელეფონი	(+995) 577 40 47 47		
არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები			
ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები	მოთხოვნილი პარამეტრები		
კ ¹	0,5/0,7	კ ¹	0,7
კ ²	4,6	კ ²	17,0
კ ³	0,2	კ ³	0,2
სამშენებლო მოცულობები			
მიწის ფართობი	1 896,0		
კ ¹ საანგარიშო ფართი	32 232,0		
კვ.მ. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება	980,0		
მიწის ზედა სართულიანობა	50	მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა მ3	154 000,0
მიწის ქვედა სართულიანობა	1	მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა მ3	6 000,0
მშენებლობის ხარჯი			
	ფართობი	1 კვმ ღირებულება დღგ გარეშე ლარში	დანაკარგი%
მთლიანი სამშენებლო მოცულობა	44 380,0	X	
მ.შ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)	12 000,0	1 590,0	27,0%
მ.შ. საცხოვრებელი ფართი კვმ	26 900,0	1 590,0	
მ.შ. კომერციული ფართი კვმ	680,0	1 800,0	
მ.შ. საოფისე ფართი კვმ	0,0		
მ.შ. დახურული ავტოსადგომები კვმ	2 750,0	1 590,0	
მ.შ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ	0,0	1 590,0	
სულ მშენებლობის ხარჯი		67 447 500,0	
ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)			
ჯამური ვალდებულება გამოსასული თანხობრივად	0,0		
გთხოვთ აღწეროთ ვალდებულება და თანხის განაგრძობა:			
შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)			
	ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულ.
საცხოვრებელი ფართი	26 900,0	2 500,0	67 250 000,0
კომერციული ფართი	680,0	2 800,0	1 904 000,0
საოფისე ფართი	0,0		0,0
ავტოსადგომების რაოდენობა *	97	20 000,0	1 940 000,0
სხვა დანიშნულების ფართი	0,0	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი			
მთლიანი მიღებული შემოსავალი	71 094 000,0		
ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ			
სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის	3 646 500,0		
დღგ	656 370,0		
მოგების გადასახადი	448 519,5		
კ ² გადასახადი და მშენებლობის ნებართვა	40 000,0		
ღირებულება	125 080,5		
მოგება გადასახადების შემდეგ	2 376 530,0		

15. ზეგავლენები

15.1. ზეგავლენა გარემოზე

საპროექტო ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი მასშტაბური ობიექტების/წყაროების განთავსება და შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოები არ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას გარემოზე. მით უფრო, რომ ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის.

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნის სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნის სახეობებიდან შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სახეობები, რომლებიც შეგუებული არიან ურბანულ გარემოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ბათუმის მჭიდრო ნაწილში, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის (განსაკუთრებით მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის) არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის.

პროექტის განხორციელებისას პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის და ბიოლოგიური გარემოს რეკუპტორებზე. თუმცა ზემოქმედების მასშტაბი არ იქნება დიდი და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით პროექტის განხორციელება გარემოს კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით/შეუქცევად ზემოქმედებას არ იქონიებს;

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ინდივიდი დაექვემდებარება მოჭრას, ხოლო საკომპენსაციოდ გდგ ითვალისწინებს ტერიტორიის გამწვანებას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით.

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება მცირე მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მოხსნილი ნიადაგი და გრუნტის ნაწილი ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს ადგილზევე, ტერიტორიის რეკულტივაციისთვის.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ან სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 12 კმ-ში (პირდაპირი მანძილი) მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს. სამხრეთ-აღმოსავლეთით, 16 კმ-ში მაჭახელას ეროვნული პარკი. პროექტის განხორციელებით დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მათზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი) დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნა და მსგ.) არ გვხვდება.

გეგმარებითი ერთეულის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები არდაგანის ტბაა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 150 მ. მანძილში მდებარეობს. 350 მ. მანძილშია წარმოდგენილი შავი ზღვა, ხოლო მდინარე მეჯინისწყალი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2.07 კმ-ში მდებარეობს. ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიხედვით საკვლევ არეალში გრუნტის წყლები შესაძლოა გამოვლინდეს 2.3 მ-ის სიღრმეებზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, ხოლო გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად უნდა გატარდეს გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები და სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს სტანდარტების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში. თუმცა, მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელებისას შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვა. ამ შემთხვევაში ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე არ იქნება მოსალოდნელი.

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. საპროექტო ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში). უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის საპროექტო ტერიტორიიდან 370 მ. მანძილში მდებარეობს, რაც ობიექტებზე უარყოფით ზემოქმედებას გამორიცხავს;

დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილებზე, რადგან კომპლექსში გარდა ბინებისა, რაც გაზრდის საცხოვრებელ ფონდს, მასში განთავსდება როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე მომსახურების სხვა ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას, ასევე გაუმჯობესდება მომსახურების სერვისი, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების თანამედროვე სტანდარტებით დაკმაყოფილებას.

მიწის ნაკვეთი მოშენდება თანამედროვე კომპლექსით, რომელშიც განთავსებული იქნება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, შესაბამისად განავითარებს შესაბამის მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ ობიექტებს, მათ შორის მომსახურების, რაც დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტების მშენებლობამ და ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება;

სამშენებლო სამუშაოებში ჩართული პერსონალის და ახლომდებარე მოსახლეობის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მოსალოდნელია შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება/აღმოფხვრა.

ემისიებისგან დაცვა

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელებით მოსალოდნელი არაა გარემოზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ზემოქმედებები. თუმცა, გარკვეული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების (ხმაურის დონის გადაჭარბება, ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება, მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმი და სხვა.) თავიდან აცილება/შემცირებისათვის შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ქვემოთ:

ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დაცული იყოს ქარხანა-დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობები;
- აგრეთვე, შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციები;
- გამოყენების წინ ინსტრუმენტი უნდა დათვალიერდეს რეგულარულად. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.
- სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.
- სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა პერსონალმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო ტერიტორიაზე;
- ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტები;
- მშენებლობის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტები და ნორმატიული აქტები.
- სამშენებლო ტერიტორიები შემოსაზღვრული უნდა იყოს სათანადოდ, რათა დაცული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის და ქვეითად მოსიარულე ადამიანების უსაფრთხოება;
- სამუშაო ზონებზე დატანილი უნდა იყოს შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნები.

ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

• დაგეგმილ სამუშაოებში (როგორც დემონტაჟის ასევე სამშენებლო) გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკა-დანადგარები შესაბამისობაში იქნება უსაფრთხოების ნორმებთან. სამუშაოების დაწყებამდე შემოწმდება მათი ტექნიკური მდგომარეობა;

- სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება ე.წ „სველი“ მეთოდით;
- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული იქნება ოპტიმალური სიჩქარე;
- ქარიან ამინდში შეიზღუდება მტვერწარმოქმნელი სამუშაოების შესრულება;
- მნიშვნელოვანი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში;
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა გადაფარული იქნება შესაბამისი მასალით;
- სამშენებლო მასალების ამტვერების მაქსიმალურად შემცირების მიზნით ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა/განთავსება განხორციელდება სათანადოდ შეფუთულ მდგომარეობაში ან/და დახურულ სივრცეში;
- მტვერწარმოქმნელი სამუშაოების წარმოებისას და სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად იქნება გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- მკაცრად გაკონტროლდება პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების დაწვის ფაქტები;
- რეკომენდებულია სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან განხორციელდეს, რაც შეამცირებს მასალების ტრანსპორტირებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობას;
- მკაცრად გაკონტროლდება ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- მასალების ტრანსპორტირების პერიოდში გათვალისწინებული იქნება საავტომობილო გზებზე პიკური დატვირთვები;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად იქნება დაცული სამუშაო გრაფიკი;
- შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შედარებით დაბალი ხმაურის მქონე ხელსაწყოები და დანადგარები;
- ხმაურის დონის კანონით დადგენილი ზღვრული ნორმების გადაჭარბების და/ ან მოსახლეობის მხრიდან საჩივრის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ უნდა განხორციელდეს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ:
 - ✓ დანადგარებისა და ტექნიკის ხმაურის დონე შემცირდეს სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტებით;
 - ✓ შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული მუშაობა;
 - ✓ შემუშავდეს სპეციალური გრაფიკი.
- მკაცრად გაკონტროლდება სიგნალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია;
- მოსახლეობის უკმაყოფილების შემთხვევაში, ხმაურის პრევენციის მიზნით ტერიტორიაზე მოეწყობა შესაბამისი ხმაურდამცავი ბარიერები;
- ხმაურისა და მავნე ნივთიერებების გავრცელების შემცირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნიკა-დანადგარები;

- პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.
- ზედაპირულ და მიწისქვეშა წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები
- ქვაბულის მოწყობისას, მას შემდეგ რაც სიღრმე მიაღწევს გრუნტის წყლების დგომის სიღრმეს, საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრზე, რამდენიმე ადგილზე მოეწყობა ჭები. აღნიშნული ჭებიდან იწარმოებს გრუნტის წყლების ამოტუმბვა და რეზერვუარებში გადატუმბვა. რეზერვუარებში დალექილი და გაწმენდილი წყალი ბათუმის მერიასთან შეთანხმებით ჩაეშვება ქალაქის წყალარინების სისტემაში. რეზერვუარებში დალექილი ლამის მართვა განხორციელდება ასევე ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;
- საპროექტო ტერიტორიაზე შეტანილი მასალები (ცემენტი, ქვიშა და ხრეში და სხვა) განთავსდება იმგვარად, რომ დაცული იყოს გამორეცხვისგან;
- სადრენაჟე სისტემა დაცული იქნება მასში ნარჩენების და სხვა მასალების მოხვედრისგან;
- ობიექტზე დაცული იქნება და მუდმივად გაკონტროლდება სისუფთავე;
- აკრძალული იქნება და მკაცრად გაკონტროლდება ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნომსახურება და რეცხვა;
- მუდმივად შემოწმდება ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- მკაცრად გაკონტროლდება საპროექტო ტერიტორიაზე საწვავ-საპოხი მასალების დასაწყობების ფაქტები;
- მკაცრად გაკონტროლდება ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში და საპროექტო კომპლექსის კატლავანში. სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების ჩაშვება მოხდება ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებში;
- სამშენებლო ზონა აღჭურვილი იქნება ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით;
- მშენებელი კომპანიის მიერ შემუშავებული იქნება ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები და დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მკაცრად გაკონტროლდება იმ სატვირთოების (ბეტონშემრევების) ადგილზე გარეცხვის ფაქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში;
- ბეტონშიდი მანქანების გადაადგილებისას მკაცრად გაკონტროლდება ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრის ფაქტები;
- წარმოქმნილი ნარჩენები განთავსდება იმგვარად, რომ არიდებული იქნას ეროზია და წყალში ჩარეცხვა;
- წყლის ობიექტების დაბინძურების პრევენციის მიზნით, სამშენებლო სამუშაოებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნიკა-დანადგარები;
- საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით მკაცრად გაკონტროლდება სამშენებლო სამუშაო პროცესები და სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ზონა შემოფარგლული იქნება შესაბამისი ღობით;
- დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდება ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- მკაცრად იქნება დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული ხე-მცენარეების დაზიანება;
- საპროექტო შენობების მოპირკეთებისას, რეკომენდებულია შეირჩეს ისეთი მასალა, რომელსაც არ ექნება სარკის ეფექტი;
- რეკომენდებულია შენობის თავზე დამონტაჟდეს ერთგვარი მაშუქი ციმციმა, რომელიც ღამე გადამფრენი ფრინველებისთვის იქნება აღქმადი და დაეხმარება ორიენტირებაში;
- რეკომენდებულია შენობების განათებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებული იქნეს ნეიტრალური ნათება;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- მკაცრად გაკონტროლდება სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- გაკონტროლდება ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- დაცული იქნება ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და შეირჩევა მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეები ცხოველებზე უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად;
- გათვალისწინებული იქნება ხმაურის გავრცელების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების პრევენციული ღონისძიებები;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ქვაბულის მოწყობის პერიოდში მოხსნილი გრუნტის მართვა განხორციელდება ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;
 - უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებისთვის სწორად შეირჩევა ტექნიკის გადაადგილებისათვის საჭირო გზები და სამუშაო ზონები, რომელთა საზღვრების დაცვა მკაცრად გაკონტროლდება;
 - ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდება დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა მოიხსნება დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
 - სამუშაო ზონები აღჭურვილი იქნება დაღვრაზე რეაგირების სათანადო ინვენტარით/აღჭურვილობით (კონტეინერები, ტომრები, აბსორბენტები და სხვა);
 - აკრძალული იქნება სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურეობა და/ან საწვავით გამართვა. აღნიშნული პროცედურები განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ კომერციულ ობიექტებში;
 - ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
 - პერიოდულად შემოწმდება სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა.
- ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები
- სადემონტაჟო სამუშაოები და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;
 - მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
 - შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შექმნას, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;

- მასალების შემოტანის და განთავსებაზე იწარმოებს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდება წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- სამშენებლო ნარჩენები ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერებში განთავსდება, რომელიც ტერიტორიიდან გატანილი იქნება დაგროვების შესაბამისად;
- პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი რეციკლირებადი მასალები შეგროვდება განცალკევებით, რომლებიც მოთავსდება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში. კონტეინერები დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან;
- სახიფათო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ კონტეინერებში, რომლებიც განთავსებული იქნება ნალექებისგან დაცულ სივრცეში. სახიფათო ნარჩენები შემდეგი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე პირს/კომპანიას;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. ქალაქ ბათუმში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება/გატანაზე პასუხისმგებელია შპს „სანდასუფთავება“. კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.
- შემდეგი მართვისთვის გადაცემული ნარჩენების გაკონტროლდება მის საბოლოო განთავსება/დამუშავებამდე.
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- დასაქმებულ პერსონალს ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

15.2. ზეგავლენა საგზაო მოძრაობაზე

გეგმარებითი ერთეული შემოსაზღვრულია გორგილადის, ფიროსმანის ქუჩებითა და მათ შორის გასასვლელით. აღნიშნული გასასვლელი ინტენსიურად გამოყენებადია ქვეითად მოსიარულეთათვის, ამიტომ აუცილებელია ობიექტზე ავტომობილების შესვლა-გამოსვლის მანევრის შესრულებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით იგი სათანადოდ მოწესრიგდეს. გზა დაფარულია გრუნტით, შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სამსახურებმა სავალი ნაწილის შემდგომში მათ მიერ მოწესრიგების დროს, უნდა გაითვალისწინონ საფეხმავლო ტროტუარების გამოყოფა სავალი ნაწილისაგან და კეთილმოწყობა.

ქ. ბათუმში ავტომფლობელთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მობინადრეებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარკინგე სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევ იმპროვიზირებულ ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საკვლევ ობიექტებს გააჩნდეს ინდივიდუალური მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ავტოპარკინგები.

შპს „ბლექ სი თაუერს“ პროექტით გათვალისწინებული აქვს შენობის მიწისქვეშა სართულში 34 ერთეული საპარკინგე ადგილის მოწყობა, ეზოს შიგა სივრცეში მოეწყობა 6 ერთეული ავტოსადგომი, ასევე გათვალისწინებულია ძირითადი შენობის უკანა მხარეს მოწყობილ, დახურულ 5 სართულიან ნაგებობაში ე.წ. „ლიფტის“ დამონტაჟება, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება 85 ერთეული ავტომობილის განთავსება. სულ ჯამში ობიექტს ექნება 125 ავტოსადგომი. ობიექტზე ავტომობილების შესასვლელ-გამოსასვლელი გათვალისწინებულია გორგილადისა და ფიროსმანის ქუჩების დამაკავშირებელი, სამხრეთის მხარეს არსებული გასასვლელის გამოყენებით.


შპს „ცენტრალ სითი ლაინი“-ს მიერ ობიექტზე საპარკინგე სივრცე მოეწყობა შემდეგნაირად: შენობის მიწისქვეშა სართულში მოეწყობა 25 ავტოსადგომი. ე.წ. „ლიფტის“ საშუალებით შენობის სამ დონეზე განთავსდება 72 ერთეული ავტომანქანა, სულ ჯამში იქნება 97 ავტოსადგომი. ობიექტზე ავტომობილების შესასვლელ-გამოსასვლელი გათვალისწინებულია ზ. გორგილადის ქუჩის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ იმპროვიზირებულ პერიმეტრებზე არსებული ავტომობილების სამომდრო არეალი, აუცილებლობის შემთხვევაში, ხელსაყრელია სახანძრო-სამაშველო ტექნიკის და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების შეუფერხებელი მანევრისათვის.

ვინაიდან, საკვლევ იმპროვიზირებულ ავტოსადგომზე მისასვლელად გამოიყენება როგორც ზ. გორგილადის და ნ. ფიროსმანის ქუჩები, ასევე მათი დამაკავშირებელი გზაც, საჭიროა საგზაო რეგულაციების დაწესება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი N1830-რს. 24.12.2013 წ. „საგზაო მოძრაობის შესახებ“, კერძოდ, დასამონტაჟებელია შესაბამისი საგზაო ნიშნები და მონიშვნის ხაზები.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით სატრანსპორტო მოძრაობის სქემა არ იცვლება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემულ საკვლევ ობიექტზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისა და მისი მიმდებარე ქუჩების ავტოტრანსპორტის გამტარიანობის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე.



ბანკში/ბანკების რეგულაციის დროს
 ბანკში/ბანკების რეგულაციის დროს
 შპს "საქართველოს ბანკი"
 შპს "საქართველოს ბანკი"
 შპს "საქართველოს ბანკი"

რეგულაციის
 საბანკო/ბანკების რეგულაციის დროს

შენიშვნები

- ბანკში/ბანკების რეგულაციის დროს
- საბანკო/ბანკების რეგულაციის დროს
- საბანკო/ბანკების რეგულაციის დროს
- შენობა
- მანქანის მანქანების მანქანა
- საბანკო/ბანკების რეგულაციის დროს
- მანქანის მანქანების მანქანა
- წრიული მანქანა
- საბანკო/ბანკების რეგულაციის დროს
- მანქანის მანქანების მანქანა
- საბ. ტანსაცმლის მანქანა
- მანქანის მანქანების მანქანა

შენიშვნები
 შპს "საქართველოს ბანკი"
 შპს "საქართველოს ბანკი"
 შპს "საქართველოს ბანკი"

კვანძების მანქანის მანქანების მანქანა

15.3. ზეგავლენა საცხოვრებლის საჭიროებებსა და სამუშაო ადგილებზე

დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილებზე, რადგან ობიექტებში განთავსდება როგორც საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე სხვა მომსახურების ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას.

15.4. ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე

მიწის ნაკვეთები მომენდება თანამედროვე შენობებით, რომელშიც განთავსებული იქნება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, შესაბამისად განავითარებს შესაბამის მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ ობიექტებს, მათ შორის მომსახურების, რაც დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

15.5. ზეგავლენა საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან საინვესტიციების დაგეგმვაზე

პროექტი, რომლის განხორციელების მიზნითაც მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა, საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან ინვესტიციების დაგეგმვაზე ზეგავლენას არ ახდენს, ვინაიდან მთლიანად ხორციელდება კერძო ინვესტიციებით.

15.6. სხვა ზეგავლენები

პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი სხვა ზეგავლენები, მენაშენეს მიერ საკუთარი ხარჯებით, შესაძლო მოკლე გონივრულ ვადაში უნდა იქნას იდენტიფიცირებული, შესწავლილი და ქალაქის მუნიციპალიტეტთან, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს მათი განეიტრალებისათვის საჭირო ღონისძიებები.

16. ტერიტორიების ბალანსი

გეგმარებით ერთეულზე და მიმდებარედ განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია მიმდებარე ხეივანით, ბათუმის ახალი ბულვარით, სხვა სოციალური ინფრასტრუქტურით, ხოლო საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანებისა და დასასვენებელი ადგილების, ავტოსადგომების მოწყობით.

17. ეტაპები და რიგითობა

პროექტის განხორციელება შემდეგი ეტაპებით და რიგითობით:

ობიექტების სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება;

ტერიტორიის მომზადება მშენებლობისათვის;

საცხოვებელი სახლების მშენებლობა;

საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა;

შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ტერიტორიის გამწვანება;

ტერიტორიის კეთილმოწყობა.

განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება არა უგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა.

18. საჯარო და კერძო ინტერესები

საჯარო ინტერესები:

ტერიტორიის მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა;

ქალაქის ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;

სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;

ეკონომიკის დარგების მათ შორის ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა;

კერძო ინტერესები:

გეგმარებითი ერთეულზე განთავსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება;

ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო პირობების შექმნა და შენარჩუნება;

სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;

ეკონომიკური საქმიანობის განვითარება;

სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა.

საჯარო და კერძო ინტერესების (შეწონვა) შეჯერება

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმარებასთან დაკავშირებით, განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა/გამოკითხვა, შედგა საჯარო შეხვედრები, საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელთა შედეგების ანალიზის შედეგად მოხდა საჯარო და კერძო ინტერესების შეწონვა-შეჯერება.

საჯარო შეხვედრა და კვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი პროექტის განხორციელებისადმი, რადგან ის ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის ურბანულად განვითარებას, ცარიელი და გასულ საუკუნეში აშენებული, ექსპლუატაციის ვადაგასული, სოციალური ღირებულებისაგან დაცლილი, უსახური ნაგებობის, მოუწესრიგებელი ტერიტორიების ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებების მქონე შენობებით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივებისა და ახალი მაცხოვრებლებისათვის უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნას, მიმდებარე ტერიტორიებზე ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ტერიტორიის პრესტიჟის მნიშვნელოვნად ამაღლებას, სეზონზე ტურისტების მხრივ მეტი ინტერესის გამოხატვას, რაც ზოგად სოციალურ ფონზე დადებითად იმოქმედებს. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პროექტი სიკეთის მომტანი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უზანი გახდება უფრო თანამედროვე, ხოლო სამომავლოდ უძრავ ქონებაზე მოთხოვნასთან ერთად, რეალიზაცია და ფასიც შესაბამისი გახდება, რაც საბოლოო ჯამში ისევ ადგილობრივ მოსახლეობაზე დადებითად აისახება.

მოქალაქეების მოსაზრებით, მშენებლობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის დანაგვიანებისაგან, სამშენებლო მტვრისაგან, მშენებლობისაგან გამოწვეული ხმაურისაგან მიმდებარე ტერიტორიის დაცვას, მრავალბინიანი კომპლექსი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა დადგენილ წესს და ნორმას, ასევე კომპანიამ სამუშაოებისას უნდა დაიცვას უსაფრთხოების ყველა წესი, ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ისეთი საზოგადოებრივი ობიექტები, რომლების სამომავლოდ არ გამოიწვევენ ხმაურს. პროექტის მიმდინარეობისას ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ქონდეს დასაქმების საშუალება. მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამწვანებული ადგილები, პარკინგი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებით მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული თავისუფალი, მოუწესრიგებელი მიწის ნაკვეთები, რათა მოხდეს ტერიტორიების განვითარება, ასევე მიესაღმება გასულ საუკუნეში აშენებული ექსპლუატაციის ვადაგასული შენობების, მათ შორის შეუსაბამო საცხოვრისების დემონტაჟს და მათ ნაცვლად ახალი კაპიტალური ფონდის შექმნას.






განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე საინფორმაციო დაფის განთავსების ფოტო



19. საბაზისო რუკა



ბანაშენიანების დეტალური გეგმა
საბაზისო მონაცემები
ფს. 4. საპროექტო ნომერი: 113 ს/ა 05.24.05.126
4. საპროექტო ნომერი: 4.30 ს/ა 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, 05.24.05.236
ბანაშენიანების მიმართ: 05.24.05.126, 05.24.05.017, 05.24.05.234, 05.24.05.132,
05.24.05.189, 05.24.05.192, 05.24.05.211

საბაზისო რუკა

- მხსენიანობა
- გეგმარეგულირებადი პერიუდი
 - საპროექტო საზღვარი
 - საპროექტო ტერიტორია
 - შენობა
 - ქუჩის ტერიტორია
 - P საერთო საბუნებრივი პარკინგი
 - A გაზსასვლელი
 - B საზ. ტრანსპორტის ბანირება

- საინჟინერო ინფრასტრუქტურა
- კვანძი
 - მუდმივი სასაფარი
 - მუდმივი სასაფარი
 - საპროექტო სასაფარი
 - კვანძის ადგილი
 - მუდმივი სასაფარი
 - მუდმივი სასაფარი
 - კვანძის ადგილი


დაწესებულია და უბიძგები

- საპროექტო რეაბილიტაცია
- სასაბუნებრივო რეაბილიტაცია

- ▲ საფრენი
- ~ ჭის ღობე
- ~ ღობის ღობე
- ~ მეთულის ღობე
- ~ კიშკარი
- ◇ ღუმლი
- ~ ტროტუარის გაწმენი
- ~ ულ. ბოძი
- ~ ხე
- ~ ნიშანი/ შექმნილი

შემსრულებელი
შპს გლემ სი თავური
შპს ცენტრალ სიტი ლაინი
ქობულეთის რაიონის საკრებულო

კვანძის მონიშნულობის მითითება



2.5. განაშენიანების მართვის რეგლამენტი

განაშენიანების გეგმით გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს სამშენებლო ტერიტორიას, ფართობი შეადგენს 108500 კვ.მ-ს, მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს.

- ფუნქციურ ზონა: შერეული ზონა (შზ).
- ფუნქციურ ქვეზონა: საქმიანი ზონა (შზ-3).
- განაშენიანების პარამეტრები:

განაშენიანების დეტალური გეგმით დგინდება შემდეგი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:

გეგმარებითი ერთეულისათვის ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმით დადგენილი პარამეტრები:

ფუნქციური ზონები	სამშენებლო ზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
შერეული ზონა (შზ)	საქმიანი ზონა (შზ-3)	0.5/0.7*	4,6	0.2	

* გამონაკლისები რეგულირდება განაშენიანების დეტალური გეგმით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით: „6. განაშენიანების გეგმაში/განაშენიანების დეტალურ გეგმაში შესაძლებელია სამშენებლო ქვეზონის ნაწილის, ცალკეული მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის ნაწილისათვის განაშენიანების განსხვავებული პარამეტრების დადგენა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით გეგმარებით ერთეულში შემავალი მიწის ნაკვეთების მიმართ დგინდება შემდეგი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები: გეგმარებით ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთებისათვის საკადასტრო კოდებით: 05.24.05.126.

ფუნქციური ზონები	სამშენებლო ზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
შერეული ზონა (შზ)	საქმიანი ზონა (შზ-3)	0.7	17,0	0,2	150,00

გეგმარებით ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთებისათვის საკადასტრო კოდებით: 05.24.05.017; 05.24.05.132; 05.24.05.234.

ფუნქციური ზონები	სამშენებლო ზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
შერეული ზონა (შზ)	საქმიანი ზონა (შზ-3)	0.7	17,0	0,2	160,00

გეგმარებით ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის საკადასტრო კოდით: 05.24.05.192

ფუნქციური ზონები	სამშენებლო ზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
შერეული ზონა (შზ)	საქმიანი ზონა (შზ-3)	0.6	11,1	0,1	-

შენიშვნა: მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 05.24.05.192, განთავსებულია მრავალსართულიანი შენობა, რომლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტით განსაზღვრულია ცხრილში მითითებული განაშენიანების პარამეტრები - კოეფიციენტების სიდიდეები და არ ხდება მათი გადამეტება.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

- განაშენიანების მაქსიმალური სართულიანობა: ს/კ 05.24.05.126 - 46 მიწისზედა სართული; ს/კ 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234 - 50 მიწისზედა სართული
- განაშენიანების სიმაღლის მაქსიმალური მაჩვენებელი: ს/კ 05.24.05.126 - 150 მ; ს/კ 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234 - 160 მ.

- განაშენიანების სახეობა: დახურული.
- მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის გამოყენების ნებადართული სახეობები:
 - ა) მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების, სავაჭრო და საოფისე ობიექტი;
 - დ) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ე) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი;
 - კ) გასართობი დაწესებულება, რომლის დანიშნულება მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;
 - ლ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
 - მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
 - ნ) სავაჭრო ცენტრი.
- განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელ ხაზები): წითელი ხაზი გავლებულია საკადასტრო საზღვარზე.
- განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯ ხაზები): ლურჯი ხაზები გავლებულია: ს/კ 05.24.05.126 - გორგილაძის ქუჩის მხარეს გავლებული წითელი ხაზიდან 6 მეტრში; ს/კ 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234 ემთხვევა წითელ ხაზს ფიროსმანის ქუჩის მხარეს.
- ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა: ს/კ 05.24.05.126 - 125 ავტოსადგომი; ს/კ 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234 - 97 ავტოსადგომი.
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი: 500კვ.მ.
- მიწის ნაკვეთის შემოღობვის პირობები: დაუშვებელია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შემოღობვა საზოგადოებრივი სივრცის მხარეს. მიწის ნაკვეთი ისე უნდა იქნეს შემოღობილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს განათებულობის, განიავების, დასახლების იერსახის ესთეტიკური ხარისხის შენარჩუნების ესთეტიკურობის შენარჩუნება და სხვა საჯარო ინტერესების დაცვა. მიწის ნაკვეთის შემოღობვა შესაძლებელია:
 - ა) მიწის ნაკვეთის საზღვრებში ან საზღვრის პირზე;
 - ბ) მიწის ნაკვეთის საზღვრებზე (საზიარო საზღვარი).

ღობის მაქსიმალური სიმაღლეები

ეზოები	სიმაღლე
უკანა ეზო (საჭიროების შემთხვევაში)	1.8 მეტრამდე
გვერდითი ეზო მიწის ნაკვეთის მხარეს (საჭიროების შემთხვევაში)	1.8 მეტრამდე
გვერდითი ეზო წინა ეზოს ნაწილში (საჭიროების შემთხვევაში)	0.8 მეტრამდე
ყრუ ღობე ან ღობის ნაწილი გამჭვირვალე ლითონის გისოსებიანი ღობე	1.8 მეტრამდე

- გამწვანების პირობები: გეგმარებით ერთეულზე, დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ 3-3-ით განსაზღვრულ არეალში. ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა. დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან/და მათი შენარჩუნების პირობით.
- ესთეტიკურ პარამეტრები: საინჟინრო ინფრასტრუქტურის განთავსება უნდა განხორციელდეს არსებულ მიწისქვეშა არხებში-ღარებში ან/და გვირაბებში. თუ ტერიტორიაზე არ არსებობს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა ან/და შეუძლებელია ამ ინფრასტრუქტურის გამოყენება, მაშინ აღნიშნული უნდა განხორციელდეს ახალი ტრანშეების მოწყობით.

სარეცხის საშრობ-გასაფენი, გათბობის, კონდიციონირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/ დანადგარები უნდა განთავსდეს შენობის შიგნით. სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შემოსვა/შენიღვა დეკორატიული ელემენტებით (ჯალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარე ფასადებთან ერთად ერთიან სისტემას უნდა ქმნიდეს. არ არის რეკომენდირებული ასეთი მოწყობილობა/დანადგარების საზოგადოებრივი სივრცის მხარეს განთავსება.

ანტენები (სატელიტური, სატელევიზიო და სხვა) უნდა განთავსდეს სახურავზე. ტექნიკური აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია მათი განთავსება შენობის ფასადზე, გარდა ქუჩის მხარეს გამომავალი ფასადისა.

სხვა პირობები

ყველა სხვა პირობა, რომლებიც ამ გეგმით არის დადგენილი, გამოიყენება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მიხედვით.

2.6 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანების ესკიზი

2.6.1. დაგეგმილი ცვლილებების ანოტაცია დაგეგმილი:

- დაგეგმილი ცვლილებები ციფრებში:
- მიწის ნაკვეთებისათვის საკადასტრო კოდებით: 05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.132; 05.24.05.234:
- განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) ცვლილებების შედეგად განისაზღვრება 0,7-ით (დადგენილი 0,5/0,7);
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) იზრდება 4,6-დან 17,0-მდე.
- გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) რჩება უცვლელი და შეადგენს 0,2-ს
- განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

საპროექტო ობიექტის სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები:

შპს „ბლექ სი თაურ“ -ის მიერ დაგეგმილი საპროექტო ობიექტის სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები:

- ფართობები:
- მიწის ნაკვეთების ფართობები - ს/კ № 05.24.05.126 - 2298,00 კვ.მ;
- სამშენებლო ქვეზონები - საქმიანი ზონა (შზ-3);
- გამწვანებული და სხვა არასამშენებლო ტერიტორიები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული;
- დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):
 - საცხოვრებელი (ცალ-ცალკე: ბინა, სასტუმროს ტიპის ბინა, სასტუმროს ნომერი) – 820 აპარტამენტი - 30000 კვ.მ.
 - კომერციული (ცალ-ცალკე: სავაჭრო, საოფისე) – კომერციული დანიშნულების - 5000 კვ.მ.
 - დამხმარე (ცალ-ცალკე: ავტოსადგომი, სარდაფი, საწყობი, ტექნიკური სათავსები და მსგ.) - დახურული, მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე 11 ავტოსადგომი - 400 მ², მიწისზედა 6 ავტოსადგომი, სულ - 125 ავტოსადგომი.

შპს „ცენტრალ სითი ლაინი“ -ს მიერ დაგეგმილი საპროექტო ობიექტის სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები:

- ფართობები:
- მიწის ნაკვეთების ფართობები - ს/კ № 05.24.05.017; 05.24.05.132; 05.24.05.234; - საერთო ფართობი 1896,00 კვ.მ;

მიწის ნაკვეთი		
1	2	3
1	05.24.05.017	1167,00
2	05.24.05.132	582,00
3	05.24.05.234	147,00
	სულ	1896,00

- სამშენებლო ქვეზონები - საქმიანი ზონა (შზ-3);
- გამწვანებული და სხვა არასამშენებლო ტერიტორიები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული;

- მოცულობები:
- დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):
- შენობები - 170 000 კუბ.მ.
- სიმაღლეები/სართულიანობა:
- დაგეგმილი განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ) – 150 მ.
- სართული - 47 (მიწისქვეშა სართულის ჩათვლით).
- დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):
გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება და შესაბამისად კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2023 წლის 06 აპრილს გამოცემულ იქნა N ბ14. 142309613 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილადის ქუჩა N113, ზ. გორგილადის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები - N05.24.05.126; N05.24.05.132; N05.24.05.234; N05.24.05.017 წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე შემუშავდა განსახილველი კონცეფცია, რომლის განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე შემუშავდება გდგ-ს პროექტი.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, როგორც ხედვა/მონახაზი, მიწათსარგებლობის ქვეზონებისათვის აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს განვითარების ქალაქმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

კონცეფცია შედგენილია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;

- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა.
- გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე შემუშავდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე შემუშავდება გდგ-ს პროექტი. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს გდგ-ს კონცეფციის ეკოლოგიურ შეფასებას.

2 პროექტის აღწერა

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და მოქცეულია ფიროსმანის და გორგილადის ქუჩებს შორის მისი ფართობი შეადგენს 10500 კვ.მ-ს და მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 8003,00 კვ.მ-ს. საპროექტო მიწის ნაკვეთების საერთო ფართობია 4194,00 კვ.მ.

დღეისათვის ტერიტორიის ნაწილზე განთავსებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთაგან ერთი აშენდა რამდენიმე წლის წინ, მასში ასევე განთავსებულია სასტუმრო ნომრები და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. გეგმარებით ერთეულში მდებარეობს 3 თავისუფალი მიწის ნაკვეთი. იგი უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით და ინტეგრირებულია ქალაქის ურბანულ ქსოვილში, როგორც ფუნქციური და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე ქუჩათა ქსელით.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მრავალბინიანი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (მათ შორის ერთი სასტუმრო ნომრებით), მათში გასართობი სივრცეების საზოგადოებრივი და კვების დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე ავტოსადგომების მოწყობა.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ განაშენიანების თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (კვარტალის) ნაწილს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტის შესაბამისად კვლევა ჩატარდა იმ კვარტალის მიმართ, რომელიც მდებარეობს ზურაბ გორგილადის ქუჩის, ნიკო ფიროსმანის ქუჩის და მათ შორის გასასვლელს შორის. საკვლევი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 10500 კვ.მ-ს.

საკვლევ არეალში განთავსებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან, ორზე განთავსებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ერთზე განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა, ერთზე - ელ. ქვესადგური, ხოლო სამი მიწის ნაკვეთი თავისუფალია.

საპროექტო მიწის ნაკვეთებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ზ. გორგილაძის ქუჩა, სამხრეთით ესაზღვრება ფიროსმანის ქუჩა, აღმოსავლეთით - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით მოშენებული ორი მიწის ნაკვეთი, ხოლო დასავლეთიდან ესაზღვრება გასასვლელი გზა.


საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმის მიხედვით მდებარეობს საქმიან ზონაში (შზ-3), სადაც მოქმედებს განაშენიანების შემდეგი პარამეტრები:

- განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) = 0,5/0,7;
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 4,6-მდე;
- გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) = 0,2.

წინამდებარე დაგეგმვის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ტექსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმშენებლობის გეგმებს.

განაშენიანების კვლევის შედეგების მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობით გამოყენების სახეობა არის შერეული (ორი საცხოვრებელი, ერთი საგანმანათლებლო, ერთი საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურის დანიშნულების). „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მე-40 მუხლის მიხედვით განაშენიანების სახეობა არსებული მდგომარეობით არის ღია, ხოლო სტრუქტურა და სივრცით-გეგმარებითი წყობა კი ჩამოყალიბებული, კვარტალური.

ილუსტრაცია 2.1. საკვლევ ტერიტორიის ფოტოსურათები



ილუსტრაცია 2.2. აეროფოტოგადაღება საკვლევ არეალის ჩვენებით



გეგმარებით ერთეულზე განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა, სხვა სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის

ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული.

ილუსტრაცია 2.3. გეგმარებითი ერთეული საკადასტრო საზღვრების ჩვენებით




სამშენებლო მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ სამშენებლო მიწის ნაკვეთებს, რომელთაგან ერთზე ს.კ. 05.24.05.126, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელშიც განთავსებული იქნება როგორც საცხოვრებელი ბინები, ასევე სასტუმრო ნომრები, გასართობი სივრცე, კომერციული, კვების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები და აუზი, საკონფერენციო დარბაზი, მოეწყობა პარკინგი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე. სამ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდეზით 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, ასევე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება, რომელშიც ასევე მოეწყობილი იქნება კომერციული დანიშნულების ობიექტი, პარკინგი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე. სამი ნაკვეთიდან ერთზე, ს.კ. 05.24.05.017, განთავსებულია ე.წ. „ხრუმოვის ტიპის“ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ასევე დაგეგმილია გამწვანების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის განხორციელების მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია მიწის ნაკვეთებზე, ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 4,6-დან 17,0-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება სხვა სტრატეგიულ (მათ შორის იერარქიულად ზედა დონის) დოკუმენტებს.





ილუსტრაცია 2.4. განაშენიანების ვიზუალიზაცია



პროექტის განხორციელების რიგითობა

პროექტის განხორციელება შემდეგი ეტაპებით და რიგითობით:

- ობიექტების სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება;
- ტერიტორიის მომზადება მშენებლობისათვის;
- საცხოვრებელი სახლების მშენებლობა;
- საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ტერიტორიის გამწვანება;
- ტერიტორიის კეთილმოწყობა.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელება არა უგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა.

3 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ

3.1 კლიმატური პირობები

კლიმატური თვალსაზრისით, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქის ჰავა. ტერიტორიის ნაწილი (სანაპირო ზოლი) მიეკუთვნება ზღვის ნოტიო კლიმატურ ზონას რბილი, თბილი, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ზონის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე, კლიმატური თავისებურებებით გამოიყოფა რამდენიმე ქვეზონა. მათ შორის, აჭარის სანაპირო ზოლი, რომელსაც მიეკუთვნება საკვლევ ტერიტორია და, სადაც, ზონის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ჭარბად ნოტიო კლიმატია მთელი წლის მანძილზე გაბატონებული ზღვიდან მონაბერი ქარებით.

სანაპირო შავი ზღვის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ადგილის რელიეფი ასევე განაპირობებს ნალექების სიუხვეს დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. შედეგად, აჭარის სანაპირო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე გამოირჩევა თბილი, რბილი და ტენიანი კლიმატით.

საკვლევ ტერიტორიის კლიმატური პირობების დახასიათებისთვის გამოყენებულია „ბათუმი ქალაქი“-ს და „ბათუმი აეროპორტი“-ს სადამკვირვებლო სადგურის მონაცემები სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08)-ს მიხედვით:

„ბათუმი ქალაქი“-ს დაკვირვების სადგურის მონაცემები სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08)-ს მიხედვით:

- ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;
- ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;
- ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%
- ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2599 მმ;
- ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;
- ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;

- თოვლის საფარის წონა: 0.5 კვა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 10.

ცხრილი 3.1. სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

ცხრილი 3.2. სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
1	2	3
8	ბათუმი, ქალაქი	III ბ

ცხრილი 3.3. მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

განვლი, გრადუსი	ორიენტაციის მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ბ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

ცხრილი 3.4. ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, °C														თვის მაქსიმალური, °C													
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი				
ბათუმი, ქალაქი	7,4	7,3	7,5	7,1	7,0	7,3	6,	7,0	7,6	8,2	7,9	7,5	17,4	17,9	19,2	21,2	19,1	18,5	17,5	15,8	16,6	16,0	17,0	15,0				

ცხრილი 3.5. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %														საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე	ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა									
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი			ყველაზე ცხელითვის								

ბათუმი, ქალაქი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81	70	73	9	12
----------------	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	---	----

ცხრილი 3.6. ნალექების რაოდენობა

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
18	ბათუმი, ქალაქი	2599	231

ცხრილი 3.7. თოვლის საფარი

პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
ბათუმი, ქალაქი	0,50	10	-

ცხრილი 3.8. ქარის მახასიათებლები

პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ	ქარის მიმართულების განმეორებადობა (%), იანვარი, ივლისი	ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ	ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში																				
				იანვარი	ივლისი	ბ	ბა	ა	სა	ს	სდ	დ	ბდ	შტილი										
ბათუმი, ქალაქი	19	24	26	27	28	6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15	3,8/1,0	2,2/0,8	9	7	8	11	14	31	12	8	43

ცხრილი 3.9. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

პუნქტების დასახელება	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
ბათუმი, ქალაქი	0	0	0	0

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კლიმატური მახასიათებლები ბათუმის აეროპორტის მეტეო სადგურის მიხედვით.

ცხრილი 3.10. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (°C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	6.9	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.8	16.5	12.4	8.9	14.3

ცხრილი 3.11. ატმოსფერული ჰაერის დღელამური მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (°C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	3.5	3.3	5.1	7.9	12.5	16.3	19.2	19.4	16.4	12.9	9.1	5.8	11.0

ცხრილი 3.12. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (°C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
-----	---	----	-----	----	---	----	-----	------	----	---	----	-----	-----

0C	-9	-8	-7	-2	2	9	13	13	7	2	-6	-7	-9
----	----	----	----	----	---	---	----	----	---	---	----	----	----

ცხრილი 3.13. ატმოსფერული ჰაერის დღელამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	10	11.1	12.9	16.1	20.1	23.2	25.5	26.2	23.9	21.0	16.6	13.0	18.4

ცხრილი 3.14. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (0C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	25	28	32	39	39	40	40	40	37	33	30	28	40

ცხრილი 3.15. ფარდობითი ტენიანობა

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
%	67	71	75	77	79	78	80	81	82	78	70	64	75

ცხრილი 3.16. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მმ	281	228	174	122	92	163	182	255	335	306	304	276	2718

ცხრილი 3.17. ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
დღე	0.2	0.4	0.7	2	2			0.5			0.2		6

ცხრილი 3.18. ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა

ჩრდილ.	ჩრდ.აღმ	აღმ.	სამხ.აღმ	სამხ.	სამხ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
4	1	3	54	2	20	11	5	19

ცხრილი 3.19. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მ/წმ	7.2	6.4	4.7	3.8	3.0	3.1	2.8	3.1	3.2	4.6	5.7	7.3	4.6

ცხრილი 3.20. ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა

t °C	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
საშ	5	6	9	14	19	24	26	25	21	16	11	7	15
საშ.მაქს.	12	13	18	26	33	39	40	39	34	28	19	14	26
აბს. მაქს.	28	34	40	54	55	61	64	60	54	46	34	30	64
საშ. მინ.	1	1	3	6	11	15	18	18	15	11	7	3	9
აბს. მინ.	-11	-10	-9	-5	-1	6	10	10	4	-1	-9	-11	-11

3.2 კლიმატის მიმდინარე ცვლილება

2021 წელს გამოვიდა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი, რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF)

ხელშეწყობით. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც იმ სათბურის აირების შესახებ, რომლებიც არ რეგულირდება ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმით, ასევე კონვენციის განხორციელებისათვის ქვეყნის მიერ გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების ზოგად აღწერას. მეოთხე ეროვნული შეტყობინების დოკუმენტი შედგება შემდეგი ხუთი ნაწილისაგან: ეროვნული გარემოებები, სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში, შერბილების პოლიტიკა, მოწყვლადობა და ადაპტაცია და სხვა ინფორმაცია, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებების ინტეგრირებას, ორმხრივი შეთანხმებების, კლიმატის ცვლილებისათვის რელევანტური კვლევების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და შემდგომი საჭიროებების ანალიზს.

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მიმდინარე ცვლილების შესაფასებლად საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურის 60-წლიანი პერიოდის (1956-2015 წლები) მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვლილების ხასიათი. სადგურები შერჩეულ იქნა საქართველოს ტერიტორიის კლიმატური თავისებურებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით, ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე.

შეფასებულ იქნა ტემპერატურის, ნალექების, და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ქარის სიჩქარის წლიური, სეზონური და თვიური ცვლილების ტენდენციები ორ 30-წლიან პერიოდს (1956–1985 და 1986–2015 წლები) შორის. ვინაიდან საშუალო სიდიდებით ხშირად შეუძლებელია კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სექტორებზე სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება, კლიმატური პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებთან ერთად გამოთვლილ იქნა 35 კლიმატური ინდექსი.

საშუალო ტემპერატურა. ორ განხილულ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015 წლები) შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისპირა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მომატებულია თითქმის ყველგან, მხარეების მიხედვით 0.25–0.58°C ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.47°C შეადგენს. დათბობის პროცესი შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს სამეგრელოში (ზუგდიდსა და ფოთში თანაბრად, 0.63°C-ით). ტემპერატურის არასაკმარისად საიმედო ცვლილებები აღინიშნა აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში. ყველაზე ნიშნავი დათბობა გამოვლინდა დედოფლისწყაროს რაიონში (ორ პერიოდს შორის წლიური ნაზრდია 0.73°C).


საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა. საშუალო მაქსიმუმების წლიური მნიშვნელობა საგრძობლად იზრდება თითქმის მთელ ტერიტორიაზე. გამონაკლისია, ძირითადად, მთიანი რაიონები აჭარა-გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული (სტეპის) ჰავა.

საშუალო მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში, ასევე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. დღის ტემპერატურების მიხედვით დათბობა შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. საშუალო ტემპერატურის მსგავსად, საშუალო მაქსიმუმების ზრდაც ძირითადად გამოწვეულია ზაფხული-შემოდგომის მაქსიმუმების აწევით.


საშუალო მინიმალური ტემპერატურა. საშუალო მინიმუმების წლიური მნიშვნელობები გაზრდილია ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, ამ პარამეტრის მიხედვით, დათბობის ტენდენცია ქვეყნის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხო. დამის ტემპერატურის ნაზრდი 1956-1985 წლების პერიოდთან მიმართებაში 1 °C-მდე ფარგლებშია. მაქსიმალური დათბობა გამოვლინდა კახეთში. დასავლეთ საქართველოში აღმავალი ტრენდები აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე და ლიხის ქედის მიმდებარე რაიონებში.

ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები მოცემულია ქვემოთ.


რუკა 3.1. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 3.2 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.3 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება (°C) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.4 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C) 1986–2015 წლებში




ნალექების რაოდენობა. დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში - შემცირებული, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ცვლილების ხასიათი უმეტესად არასაიმედოა და გამოკვეთილ ტენდენციებს ადგილი არ აქვს. დასავლეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილების ტენდენციები თითქმის ყველგან დადებითია, ორ პერიოდს შორის უდიდესი გადახრა (15%-მდე) და შესაბამისად, ყველაზე მდგრადი ზრდის ტენდენცია, ფოთსა და ხულოში გამოვლინდა (60-75 მმ/10 წელიწადში). გამონაკლისია მხოლოდ გურიის მხარესა და აჭარის მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილი)

გამოვლენილი ნალექების კლების ნიშნადი ტენდენციები. აღმოსავლეთში წლიური ნაზრდი მაქსიმალურია და შესაბამისი ტენდენციები ნიშნადია ლაგოდებში (17%, 75 მმ/10 წელიწადში), ნალექების შემცირება კი ყველაზე ინტენსიურია თიანეთში (-18%, 39 მმ/10 წელიწადში).


ნალექების დღეღამური მაქსიმუმები. რაც შეეხება ერთ და ხუთ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალურ რაოდენობას, საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად აღინიშნება ამ პარამეტრების ზრდა. შემცირების ტენდენციები კი გამოვლინდა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი), თუმცა ცვლილების ტენდენციები, ძირითადად, არამდგრადია და მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტრენდი გამოვლინდა. ორ 30-წლიან პერიოდს შორის 1-დღიური მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა იანვარსა და მისში, 5-დღიურების - ასევე, ნოემბერშიც. წლიური მაქსიმუმების გადაჭარბების სიდიდეები 70-80 მმ-ს აღწევს (ქობულეთი, ლაგოდები), ხოლო 5-დღიური მაქსიმუმებისა - 150-160 მმ-მდე ფიქსირდება (ამბროლაური).

ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებული რუკები მოცემულია ქვემოთ.


რუკა 3.5 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 3.6 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.7 წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.8 ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986–2015 წლებში



ჰერის საშუალო ფარდობითი სინოტივე. დაკვირვების მონაცემებით, საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1986–2015 წლებში დაიკვირვებოდა ქვემო ქართლში (საშუალოდ 69%) და საგარეჯოში (66%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (89%) მთა-საბუეთში იყო დაფიქსირებული. 1956–1985 წლების მიმართ ფარდობითი სინოტივის დაკვირვებული ცვლილება უმნიშვნელოა, მაქსიმალური მატებაა (7%) თელავში, მაქსიმალური კლება (4%) - საგარეჯოში.

ფარდობითი სინოტივის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო და მშრალი დღეები). ნოტიო დღეების (შუადღის ფარდობითი სინოტივე მეტია 80%) რაოდენობა გაზრდილია საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე. წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება. როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში ნოტიო დღეების მაქსიმალური რაოდენობა ზამთრის დასაწყისში (დეკემბერში) და, ნაწილობრივ, იანვარში დაიკვირვება.

რაც შეეხება, ექსტრემალურად მშრალ დღეებს (დღეღამის მინიმალური ფარდობითი სინოტივე ნაკლებია 30%), თითქმის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება ასეთი დღეების შემცირება, რაც წლის განმავლობაში განპირობებულია აპრილ-მაისში მშრალი დღეების ნიშნადი კლებით. ორ პერიოდს შორის შემცირების წლიური სიდიდე საშუალოდ ტერიტორიაზე 6-8 დღეს შეადგენს. ყველაზე გამოკვეთილად იკლებს იმერეთში (საშუალოდ, 11 დღემდე), ქუთაისში კი შემცირებულია 27 დღით. რიგ რაიონებში, ძირითადად, გაზაფხულზე კახეთში და შემოდგომის დასაწყისში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ასეთი დღეების გახშირება გამოვლინდა. ტენდენციები ნიშნადია კახეთში, სადაც წლიური ნაზრდი 6-9 დღეს, გაზაფხულზე კი 4-5 დღეს შეადგენს.

სინოტივის ექსტრემუმების ანალიზი ადასტურებს და ხსნის საშუალო ფარდობითი სინოტივის ცვლილების გამოვლენილ კანონზომიერებებს. კერძოდ, სინოტივის მატება გაზაფხულის სეზონზე განპირობებული უნდა იყოს უფრო მშრალი დღეების განმეორებადობის შემცირებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო

დეკემბერ-იანვარში ტენიანობის მატება დაკავშირებული უნდა იყოს ამ თვეებში ნოტიო დღეების გახშირებასთან, რაც უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნება.

ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილებას თითქმის ყველა განხილული სადგურისათვის შემცირების ტენდენცია აქვს. ორ პერიოდს შორის ქარის საშუალო სიჩქარე საშუალოდ 1-2 მ/წმ-ით არის შემცირებული.

ქარის ექსტრემალური მნიშვნელობები (ძლიერქარიანი დღეები). ძლიერქარიანი დღეთა (≥ 15 მ/წმ) რაოდენობის შემცირების ტენდენციები უფრო ძლიერია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად დაიკვირვება მათი გახშირება. აღსანიშნავია ასეთი დღეების რიცხვის შემცირება ქუთაისში და განსაკუთრებით, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე (მთა-საბუეთი), სადაც ტრენდები გამოვლინდა ზაფხული-შემოდგომის სეზონებზე, ხოლო აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში, ასეთი დღეების ნიშნადი ზრდა დაიკვირვება. გორში ძლიერქარიანი დღეების გახშირება ყველა სეზონზე დაიკვირვება. მსგავსი კანონზომიერებით იცვლება ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეთა (≥ 25 მ/წმ) განმეორებადობაც. კერძოდ, ასეთი დღეების ნიშნადი კლება გამოვლინდა ქუთაისსა და მთა-საბუეთში, ხოლო მდგრადი ზრდა დაიკვირვება გორში, ასევე ფოთში.

კლიმატის ცვლილების სცენარი

მეთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას 4.5 W/m^2 დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ამ მოდელში გათვალისწინებული იქნა მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტვრის ნაწილაკების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთი კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა, RegCM 4.6.0 ვერსია ჰორიზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting). რეგიონული მოდელით ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10 კილომეტრიან ბადეზე.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) საპროგნოზო პერიოდის შედარებით 1971–2000 წლების 30 წლიან საბაზისო პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები შემუშავდა ძირითადი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორცაა ჰერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები – ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971–2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.6°C-დან 3.0°C-მდე ფარგლებში გაიზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა 1.8°C–3.0°C ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია, 1.6°C–2.9°C ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.4°C-1.7°C-ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.1°C-3.7°C ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად - საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის 1.9°C-3.0°C ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი 1.1°C-2.3°C ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებად იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-2100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება 2.6-4.3°C-ით, ხოლო მინიმუმები - 1.7-3.7°C-ით.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 25°C, 30°C და 35°C-ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ დღეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 2°C-ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალ მთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა, ხოლო დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

დაკვირვების მონაცემებით ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია (2,300 მმ-ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით მცირდება, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%-ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6–15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) - 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) - 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ±0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყერულ-გრავეიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძობიარე თემების მოწყვლადობას.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები, აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასა და მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი არსებული და სამომავლო კლიმატის სცენარების მიხედვით.

3.3 მოკლე საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება

ზურაბ გორგილაძის ქუჩის №113-ის მიმდებარედ

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი მდებარეობს კახაბრის სახელწოდებით ცნობილი აჭარის ზღვისპირა დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და პრაქტიკულად სწორი რელიეფით, რომლის ზედაპირის რაიმე კონკრეტული მიმართულებით დახრილობა ვიზუალურად არც კი შემჩნევა, თუმცა იგი მაინც არსებობს, მიმართულია ჩრდილო-დასავლეთით და 0,4-0,50-ს არ აღემატება. ბუნებრივია, რომ ასეთ გეომორფოლოგიურ პირობებში ზედაპირული ნაკადი გამწვანებულია, თუმცა ადგილი ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები უშუალოდ სამშენებლო მოედანზე იცვლება 5-5,6 მ-ის დიაპაზონში, თუმცა ეს უმნიშვნელო სხვაობაც, ძირითადად ხელოვნური ხასიათისაა. ცნობილი ფაქტია, რომ თავის დროს, დაახლოებით 2000-2500წლის წინ აქ გადიოდა ზღვის სანაპირო ზოლი რომელამდეც აღწევდა მდ. ჭოროხის ფართო და ძლიერ დატოტვილი დელტა და სწორედ ამით აიხსნება მისი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილზე (ზედაპირიდან 7-9მ-ის სიღრმეებამდე ზღვიურ-ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი, ხრეში) მასალის განლაგება, რომელსაც ქვეშ ედება წმინდა ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი, ალევრიტული და თიხოვანი წარმონაქმნები.

სამშენებლო მოედნის ბუნებრივი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილი, ზედაპირიდან დაახლოებით 7-9მ-ის სიღრმეებამდე, აგებულია მეოთხეული ასაკის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტები მაღალი ფიზიკურ-მექანიკური

მახასიათებლებით და მათ ქვეშ ედება ისევ მეოთხეული ასაკის წვრილმარცვლოვანი ქვიშები რბილპლასტიური თიხების იშვიათი და თხელი ლინზებით. ზედაპირიდან 20-22მ-ის ქვევით ჭრილს აგრძელებს სარმატული ზღვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის მტვეროვანი ქვიშების, ქვიშნარ-მტვეროვანი ალევრიტებისა და ძნელადპლასტიური თიხების ფენების ურთიერთმონაცვლეობა, რომელთა სიმკვრივე 26-27მ-ის სიღრმეებს ქვევით კიდევ უფრო მატულობს და მისაღები საფუძველია მაღლივი მშენებლობისათვის. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ეს აღწერა ზოგადი ხასიათისაა და კვლევის შემდგომ ეტაპზე იგი მოითხოვს ჭაბურღილებით დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლის გრუნტები მაღალი მახასიათებლებისაა, საპროექტო შენობის სართულიანობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ იგი დასაფუძნებელი იქნება ხიმინჯოვან საფუძველზე (მთლიან არმირბულ ფილასთან კომბინაციაში). თუ რა ტიპისა და სიგრძის ხიმინჯები იქნება გამოსაყენებელი, ეს საკითხიც დაზუსტდება ადგილის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

ადგილის ჰიდროგეოლოგიური პირობების დასახასიათებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ გრუნტის წყლები უმეტესწილად განლაგებულია ზედაპირიდან 2,3-2,5მ-ის სიღრმეებზე, მათი დონე რამდენადმე ცვალებადია წლის განმავლობაში და შეიძლება მერყეობდეს 0,2-0,3მ-ის სიდიდით (მატების ან კლების თვალსაზრისით). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო ლითონის (არმატურა) მიმართ ამჟღავნებს სუსტად აგრესიულობას და თანაც მასთან მხოლოდ ეპიზოდურად კონტაქტში ყოფნისას.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკისა 7 (შვიდი) ბალია. საფუძვლის გრუნტების დიდი ნაწილი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას რაც გვაძლევს საშუალებას იმისა, რომ საპროექტო მშენებლობა გაითვალისწინებულ იქნას 7 ბალიან სეისმომდეგობაზე.

ამრიგად, სამშენებლო მოედანი, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით თანახმად СНиП 1.02.07-87-ის მე-10-ე აუცილებელი დანართისა მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის), ანუ ეს პირობები მთლიანობაში ხელსაყრელია პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის თვალსაზრისით.

ფიროსმანის ქუჩა N10

სამშენებლო მოედანი, საერთო ფართობით ჯამში დაახლოებით 1250მ², მდებარეობს ქ. ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ფიროსმანის, ჯავახიშვილის, გორგილამისა და ქ. შარტავას ქუჩებით შემოსაზღვრულ კვარტალში), პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარჯვენა მხარეს, მისგან 7-8მ-ის დაცილებით, ნაკვეთით (ს. ნ. 05.24.05.017). ადგილი ამჟამად წარმოდგენილია ძველი, ნაწილობრივ ამორტიზირებული 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლით, რომელიც ექვემდებარება აღებას.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი მდებარეობს კახაბრის სახელწოდებით ცნობილი აჭარის ზღვისპირა დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და პრაქტიკულად სწორი რელიეფით, რომლის ზედაპირის რაიმე კონკრეტული მიმართულებით დახრილობა ვიზუალურად არც კი შემჩნევა, თუმცა იგი მაინც არსებობს, მიმართულია ჩრდილო-დასავლეთით და 0,4-0,50-ს არ აღემატება. ბუნებრივია, რომ ასეთ გეომორფოლოგიურ პირობებში ზედაპირული

ნაკადი გამწვანებულია, თუმცა ადგილი ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები უშუალოდ სამშენებლო მოედანზე იცვლება 3,20-3,60მ-ის დიაპაზონში, თუმცა ეს უმნიშვნელო სხვაობაც, ძირითადად ხელოვნური ხასიათისაა. ცნობილი ფაქტია, რომ თავის დროს, დაახლოებით 2000-2500წლის წინ აქ გადიოდა ზღვის სანაპირო ზოლი რომელამდეც აღწევდა მდ. ჭოროხის ფართო და ძლიერ დატოტვილი დელტა და სწორედ ამით აიხსნება მისი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილზე (ზედაპირიდან 7-9მ-ის სიღრმეებამდე ზღვიურ-ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი, ხრეში) მასალის განლაგება, რომელსაც ქვეშ ედება წმინდა ზრვიური გენეზისის ქვიშოვანი, ალევრიტული და თიხოვანი წარმონაქმნები.

სამშენებლო მოედნის ბუნებრივი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილი, ზედაპირიდან დაახლოებით 7-9მ-ის სიღრმეებამდე, აგებულია მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მქონე მეოთხეული ასაკის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტებით და მათ ქვეშ ედება ისევ მეოთხეული ასაკის წვრილმარცვლოვანი ქვიშები რბილპლასტიური თიხების იშვიათი და თხელი ლინზებით. ზედაპირიდან 20-22მ-ის ქვევით ჭრილს აგრძელებს სარმატული ზღვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის მტვეროვანი ქვიშების, ქვიშნარ-მტვეროვანი ალევრიტებისა და ძნელადპლასტიური თიხების ფენების ურთიერთმონაცვლეობა, რომელთა სიმკვრივე 26-27მ-ის სიღრმეებს ქვევით კიდევ უფრო მატულობს და მისაღები საფუძველია მაღლივი მშენებლობისათვის. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ეს აღწერა ზოგადი ხასიათისაა და კვლევის შემდგომ ეტაპზე იგი მოითხოვს ჭაბურღილებით დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლის გრუნტები მაღალი მახასიათებლებისაა, საპროექტო შენობის სართულიანობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ იგი დასაფუძნებელი იქნება ხიმინჯოვან საფუძველზე (მთლიან არმირბულ ფილასთან კომბინაციაში). თუ რა ტიპისა და სიგრძის ხიმინჯები იქნება გამოსაყენებელი, ეს საკითხიც დაზუსტდება ადგილის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

ადგილის ჰიდროგეოლოგიური პირობების განსახილველად საკმარისია აღინიშნოს, რომ გრუნტის წყლები უმეტესწილად განლაგებულია ზედაპირიდან 2,3-2,5მ-ის სიღრმეებზე, მათი დონე რამდენადმე ცვალებადია წლის განმავლობაში და შეიძლება მერყეობდეს 0,2-0,3მ-ის სიდიდით (მატების ან კლების თვალსაზრისით). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო ლითონის (არმატურა) მიმართ ამჟღავნებს სუსტად აგრესიულობას და თანაც მასთან მხოლოდ ეპიზოდურად კონტაქტში ყოფნისას.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკისა 7 (შვიდი) ბალია. საფუძვლის გრუნტების დიდი ნაწილი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას რაც გვაძლევს საშუალებას იმისა, რომ საპროექტო მშენებლობა გაითვალისწინებულ იქნას 7 ბალიან სეისმომდეგობაზე.

ამრიგად, სამშენებლო მოედანი, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით თანახმად СНиП 1.02.07-87-ის მე-10-ე აუცილებელი დანართისა მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის), ანუ ეს პირობები მთლიანობაში ხელსაყრელია პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის თვალსაზრისით.


3.4 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 12 კმ-ში (პირდაპირი მანძილი) მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს. სამხრეთ-აღმოსავლეთით, 16 კმ-ში მაჭახელას ეროვნული პარკი.

ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე ვხვდებით საერთაშორისო მნიშვნელობის ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანს - ჭოროხის დელტას GE0000054¹ (3.7 კმ-ში საპროექტო ტერიტორიიდან).

ბათუმის ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი დასახელებით „ბათუმი GE014“. ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები არის საერთაშორისო კონსერვაციული მნიშვნელობისა და სტატუსის მქონე ტერიტორიები, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე. აღნიშნული ტერიტორიის საზღვარი საკვლევი არეალიდან 15 მ. მანძილში გადის. საპროექტო ტერიტორიიდან 3.7 კმ-ში ასევე ვხვდებთ ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების ტერიტორიას. სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს ბუნებრივი მემკვიდრეობის, მათ შორის, მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში ან/და მათ სიახლოვეს.

ილუსტრაცია 3.1. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმართ




¹ ზურმუხტის ქსელის მიღებული საიტი „ჭოროხის დელტა“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:სარეგისტრაციო კოდი - GE0000054; ფართობი - 2,232.34 ჰა; გრძედი - 41.566000; განედი - 41.600000; ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100.0%).

ილუსტრაცია 3.2. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ზურმუხტის ქსელის საიტის მიმართ




ილუსტრაცია 3.3. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ფრინველთა მნიშვნელოვანი ადგილის მიმართ



3.5 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში, იხ ილუსტრაცია)

ილუსტრაცია 3.4. საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი



საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მანძილში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი ვ. ჭაბუკიანის სახელობის ბალეტის კლასიკური სკოლაა (ს/ნ: 16071). ობიექტი საპროექტო ტერიტორიიდან 370 მ. მანძილში მდებარეობს.

4 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები და მასშტაბი

4.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა

განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითი და უარყოფითი. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება პროექტის სპეციფიკაზე, წარმოებულის სამუშაოების მეთოდზე, განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძობელობის ხარისხზე.

წინასწარი მონაცემებით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

ზემოქმედების სახე	რეცეპტორი
<ul style="list-style-type: none"> ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება; ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება 	<ul style="list-style-type: none"> ატმოსფერული ჰაერი; ადგილობრივი მოსახლეობა; დამსვენებლები
<ul style="list-style-type: none"> ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება/ხარისხის გაუარესება; 	<ul style="list-style-type: none"> ზედაპირული და გრუნტის წყლები
<ul style="list-style-type: none"> ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის კარგვა. 	<ul style="list-style-type: none"> ნიადაგი და გრუნტი
<ul style="list-style-type: none"> საკვლევ არეალში არსებული მცენარეულის საფარის განადგურება/დაზიანება; მაღლივი კორპუსების მშენებლობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება ფრინველებზე; 	<ul style="list-style-type: none"> ბიოლოგიური გარემო
<ul style="list-style-type: none"> წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება - გარემოში გავრცელება და დაბინძურება 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანის ჯანმრთელობა და გარემოს სხვადასხვა კომპონენტები
<ul style="list-style-type: none"> კუმულაციური ზემოქმედება 	<ul style="list-style-type: none"> გარემოს სხვადასხვა კომპონენტები


პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსპორტული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.












4.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, მანგანუმის ორჟანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და სხვა.

ილუსტრაცია 4.1. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა




-  სათბობის მრეწველობა და ენერჯეტიკა
-  მეტალურგიული წარმოება და ლითონთა დამუშავება
-  მინერალური მრეწველობა
-  ტექსტილური, საშიში ნივთიერებების და ნარჩენების მართვა
-  ქიმიური მრეწველობა
-  ქალაქის წარმოება, ხის დამუშავება
-  საკვები პროდუქტების წარმოება
-  სოფლის მეურნეობა
-  სანავის შენახვა, რეალიზაცია
-  სხვა
-  მრავალპროფილური


ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტო აწარმოებს. 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ ავტომატურ სადგურზე. ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერის შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: გოგირდისა (SO_2) და აზოტის (NO_2) დიოქსიდები, ოზონი (O_3), მყარი ნაწილაკები (PM_{10} და $PM_{2.5}$), ნახშირბადის მონოქსიდი (CO). ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2020 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგების შესახებ:

- გოგირდის დიოქსიდის (SO_2) 1-საათიანი და 24-საათიანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს.
- მყარი ნაწილაკების (PM_{10}) საშუალო წლიური კონცენტრაცია (27 მკგ/მ^3) არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას; ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატებოდა ასევე საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები. PM_{10} -ის 24-სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები წლის განმავლობაში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას 24 შემთხვევაში, აქედან 12 შემთხვევა გამოწვეული იყო სინოპტიკური პროცესით - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული უდაბნოს (საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოები) მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით;
- მყარი ნაწილაკების ($PM_{2.5}$) საშუალო წლიური კონცენტრაცია (14 მკგ/მ^3) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას;
- აზოტის დიოქსიდის (NO_2) საშუალო წლიური კონცენტრაცია (64 მკგ/მ^3) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.6-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- აზოტის დიოქსიდის (NO_2) საშუალო წლიური კონცენტრაცია (48 მკგ/მ^3) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.2-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- ნახშირბადის მონოქსიდის (CO) დღეში 8 სთ-იანი გასაშუალების კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას მთელი წლის განმავლობაში;
- ოზონის (O_3) მაქსიმალური დღიური რვასაათიანი საშუალო კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს მთელი წლის განმავლობაში.

გრაფიკი 4.1. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები




გრაფიკი 4.2. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების გადაჭარბების დღების რაოდენობა



ცხრილი 4.1. ავტომატურ სადგურზე PM10, PM2.5 და NO2 გაზომვის შედეგები

ქალაქი	სადგურის ლოკაცია	PM10 (მკგ/მ³)	PM2.5 (მკგ/მ³)	NO2 (მკგ/მ³)
ბათუმი	აბუსერიძის ქუჩა, №1	27	14	64
კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობა		40	20	40

ჰაერის დაბინძურების ზოლო 365 დღის მონაცემები ყველა დაბინძურებისთვის², 2023 წლის 17 მაისის მდგომარეობით



ცხრილი 4.2. გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2023 წლის მაისის თვე, (NO2, SO2, PM2.5, PM10, O3-მკგ/მ³; CO-მგ/მ³)

ბათუმი, აბუსერიძე, BTUM 2023-05						
დამბინძურებელი	NO2	SO2	PM2.5	PM10	O3	CO
01	34.83	0.74	8.04	12.31	27.14	0.57
02	32.46	0.79	7.76	13.77	30.42	0.55
03	37.10	0.40	9.22	16.47	30.85	0.55
04	41.35	1.14	13.56	24.44	28.92	0.78
05	38.61	1.64	16.26	34.69	33.31	0.98
06	36.99	4.28	17.49	37.64	29.80	0.88
07	33.34	1.02	14.81	27.39	32.56	0.86
08	36.24	1.38	9.97	15.02	30.21	0.59
09	29.74	0.67	6.00	10.36	32.90	0.49
10	31.49	0.69	7.98	16.10	33.09	0.53
11	35.18	1.27	6.39	11.60	32.76	0.58
12	32.28	0.87	4.97	10.77	35.53	0.54
13	37.39	0.82	5.31	9.91	39.21	0.54
14	37.48	0.58	7.37	10.64	50.37	0.58

² ყველა დაბინძურებელი, რომელთა გაზომვაც ავტომატურ სადგურზე ხორციელდება

15	40.03	0.53	11.00	17.22	46.96	0.62
16	41.73	1.24	19.31	33.33	40.85	1.01
17	43.22	1.22	20.13	35.78	47.01	0.78
18	41.98	1.06	19.99	37.07	42.65	0.78
19	37.86	0.56	16.33	30.31	44.72	0.55
20	36.23	1.09	17.17	29.67	45.74	0.65
21	*	*	14.60	22.22	*	*
22	30.37	1.21	*	*	36.13	0.48
23	30.45	0.66	10.31	22.66	47.56	0.49
24	37.72	2.25	15.26	35.70	41.12	0.66
25	31.32	1.30	15.56	33.35	35.39	0.54
26	32.06	1.18	14.78	25.34	25.93	0.56
27	28.34	1.26	14.57	23.78	21.47	0.53
28	26.75	1.35	15.58	25.61	20.02	0.82
29	26.71	1.50	19.18	33.80	16.59	1.07
30	33.53	1.14	14.16	24.62	20.49	0.59
31	29.03	1.15	13.86	25.45	18.50	0.58

ცხრილი 4.3. ატმოსფერულ ჰაერში მანვნი ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები

მანვნი ნივთიერება	ზღვრული მნიშვნელობა	ტოლერანტობის ზღვარი	გასაშუალოების პერიოდი	დასაშვები გადაჭარბების სრაოდენობა წლის მანძილზე
გოგირდის დიოქსიდი (SO ₂)	350 მკგ/მ ³	150 მკგ/მ ³ (43%)	1 სთ	24
	125 მკგ/მ ³		24 სთ	3
აზოტის დიოქსიდი (NO ₂)	200 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 სთ	18
	40 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM ₁₀)	50 მკგ/მ ³	50%	24 სთ	35
	40 მკგ/მ ³	20%	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM _{2.5})	25 მკგ/მ ³	20% ⁽¹⁾	1 წელი	0
ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	10 მგ/მ ³	60%	8 სთ	0
ოზონი (O ₃)	120 მკგ/მ ³	100%	დღეში მაქსიმალური საშუალო 8 საათი ⁽²⁾	25 (3 წლის გასაშუალოების პერიოდში) ⁽³⁾

შენიშვნა (1) ყოველი 12 თვის შემდეგ მცირდება თანაბარწილად 0%-მდე 2025 წლის 1 იანვრისთვის. (2) მაქსიმალური დღიური რეგულაციის საშუალო კონცენტრაცია შეიძლება მცოცავი რეგულაციის საშუალო მონაცემების ანალიზით. რეგულაციის საშუალო მონაცემი იანვარიშება საათური მონაცემების გასაშუალოების საფუძველზე და საათობრივად ახლდება. ასე გამოანგარიშებული

თითოეული რეგულაციის საშუალო მონაცემი მიეკუთვნება იმ დღეს, რომელშიც ხდება გასაშუალოების პერიოდის ბოლო საათი. მაგალითად, პირველი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება წინა დღის 17.00 სთ-დან ამ დღის 01.00 სთ-ის ჩათვლით, ხოლო დასკვნითი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება ამ დღის 16.00 სთ-დან ამვე დღის 24.00 სთ-ის ჩათვლით.

(3) თუ სამი წლის საშუალო მაჩვენებელი ვერ განისაზღვრება მთლიანი და თანმიმდევრული წლიური მონაცემების საფუძველზე, მინიმალური მონაცემები მიზნობრივ ზღვართან შესაბამისობის დადგენის შემოწმების მიზნით იქნება ერთი წლის სანდო მონაცემები.

გეგმარებითი ერთეულის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. აქ არსებულ საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მანვნი ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

ინდიკატორული გაზომვების შედეგები

2021 წელს ქ. ბათუმში ჩატარდა 40 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ცხრა წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 20, ოზონის - 8 გაზომვა და ბენზოლის - 12. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 5 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 6 შემთხვევაში - კარგი და 9 შემთხვევაში - საშუალო. ოზონის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და ერთ შემთხვევაში - კარგი. ბენზოლის ინდექსი 4 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 5 შემთხვევაში - კარგი, 2 შემთხვევაში - საშუალო და ერთ შემთხვევაში - ძალიან ცუდი.

2021 წელს ქალაქ ბათუმში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება ხუთ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა ორ ლოკაციაზე: გორგილამის ქ. 59, „თიბისი“ ბანკთან - (51.26 მკგ/მ3) აღემატებოდა კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობას 1.3-ჯერ, ხოლო ლუკა ასათიანის ქუჩაზე - (62.99 მკგ/მ3) 1.6-ჯერ; მიღებული შედეგების მიხედვით ბენზოლის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება სამ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა მხოლოდ ერთ ლოკაციაზე - ლუკა ასათიანის ქუჩაზე - 6.8 მკგ/მ3 (1.4 ზდკ).

ამასთანავე ხდებოდა ასპირატორის საშუალებით სინჯების აღება მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, 2021 წელს ქალაქ ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აღემატებოდა ზღვრულ ნორმას..

ცხრილი 4.4. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში

მისამართი ეტაპები	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ³				ოზონი, მკგ/მ³				ბენზოლი, მკგ/მ³			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
მარჯანიშვილის ქ. მუზეუმთან	37.87	25.59	26.86	38.61								
სასტუმრო "ლეონ"-თან	41.64	23.58	24.57	33.70								
წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესიასთან	29.50	18.59	17.61	27.80					2.2	1.7	0.8	2.0
გორგილაძის ქ. N59, "თიბისი" ბანკთან	52.77	45.04	52.74	54.50								
ლუკა ასათიანის ქ.	69.97	65.84	62.03	54.10					5.8	3.0	1.8	4.6
ბაქრაძის ქ. N28, ტერმინალის მიმდებარედ									14.0	4.4	3.8	5.1
ბათუმის ზულვარი					69.46	57.80	56.54	24.95				
ახალ ზულვართან						82.23	61.70					
ბაგრატიონის შესახვევი						41.76	38.68					

მიწისპირა ოზონი (O₃)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ³	0-39	40-79	80-120	121-147	148-174	175-200	201-234	235-267	268-300	301+

აზოტის დიოქსიდი (NO₂)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ³	0-13	14-26	27-40	41-54	55-67	68-80	81-93	94-106	107-120	121+

ბენზოლი (C₆H₆)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ³	0-1.6	1.7-3.3	3.4-5	5.1-5.6	5.7-6.3	6.4-7	7.1-8	8.1-9	9.1-10	10+

გოგირდის დიოქსიდი (SO₂)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
მკგ/მ³	0-41	42-83	84-125	126-166	167-207	208-250	251-333	334-417	418-500	500+

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს (ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთერთი მთავარი წყარო ავტოტრანსპორტია). აქ არსებულ საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა დაბინძურების თვალსაზრისით. ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ასევე ზეგავლენას ახდენს ქალაქ ბათუმში არსებული სამშენებლო სექტორი.

პროექტის განხორციელებამ შესაძლოა ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების (არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის, მიწის სამუშაოები, მასალების დამუშავება) და მავნე ნივთიერებათა ემისიები (ტექნიკა-დანადგარებში საწვავის წვისას) გამოიწვიოს, ასევე მოსალოდნელია ხმაურის დონის მომატება და ვიბრაციის გავრცელება სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას და ტექნიკის მოძრაობის შედეგად. საპროექტო შენობის სრული მოწყობა და ექსპლუატაციაში გაშვება 2028 წლის 31 დეკემბრამდეა დაგეგმილი. სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება საშუალო მნიშვნელობის.

4.3 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

პროექტის განხორციელება პირდაპირ ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. საინჟინრო ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების საძირკვლებისთვის საჭირო ქვაბულების მოწყობის პერიოდში საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი.

დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა (საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ურბანული გარემოს ნაწილს, რომელიც განაშენიანებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საფარველი მხოლოდ მცირე ნაწილზეა წარმოდგენილი), რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიაზე (ან მიმდებარედ) გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა დასაწყობდეს იმგვარად, რომ ნაყარი დაცული იყოს წარცხვისგან. დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული იქნება კომპლექსისთვის შერჩეული ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

4.4 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება

გეგმარებითი ერთეულის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები არდაგანის ტბაა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 150 მ. მანძილში მდებარეობს. 350 მ. მანძილშია წარმოდგენილი შავი ზღვა, ხოლო მდინარე მეჯინისწყალი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2.07 კმ-ში მდებარეობს. ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიხედვით საკვლევ არეალში გრუნტის წყლები შესაძლოა გამოვლინდეს 2.3 მ-ის სიღრმეებზე.

პროექტის განხორციელებისას გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება, მოსალოდნელია ავარიული დაღვრების და სამუშაოების არასწორ წარმართვის (სამუშაო

ტერიტორიის საზღვრების დარღვევა, ნარჩენებით და სხვადასხვა დამბინძურებლებით ტერიტორიის დაბინძურება, სამშენებლო პირობების დარღვევა, დაბინძურებული წყლების ჩაღვრა ქვაბულებში, ბეტონშიდი მანქანების ადგილზე გარეცხვა და სხვა) შემთხვევაში.

ავარიული დაღვრებისას მოსალოდნელია სხვადასხვა სახიფათო ნივთიერებების გარემოში გავრცელება. თხევადი ნივთიერებების გავრცელების შემთხვევაში არსებობს რისკები, რომ დაბინძურდეს გრუნტი და გრუნტის წყლები. განსაკუთრებით საყურადღებოა ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის ფაქტები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების ავარიულ დაზიანებასთან და გაუმართაობასთან. ავარიული დაღვრებზე დროული რეაგირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე რეაგირების გეგმა და პრევენციული ღონისძიებები.

საპროექტო ტერიტორიიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაშორების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისას მათზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურების ალბათობა არსებობს მაშინ, თუ ობიექტიდან გატანილი სხვადასხვა სახის ნარჩენები ნაგავსაყრელის/დამუშავების ობიექტის ნაცვლად არაკანონიერად განთავსდება მდინარეში ან ზღვაში. პროექტის განხორციელებისას მსგავსი ფაქტები მკაცრად გაკონტროლდება, შემდეგი მართისთვის გადაცემული ნარჩენების გაკონტროლდება მის საბოლოო განთავსება/დამუშავებამდე.

სამუშაო პირობების დარღვევისა და დაუდევრობის შემთხვევაში მოსალოდნელია საპროექტო ტერიტორიასთან არსებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის დაბინძურება. მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელის მიერ მკაცრად გაკონტროლდება სამშენებლო სამუშაო პროცესები და სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ზონა შემოფარგლული იქნება შესაბამისი ღობით.

გეგმარებითი ერთეული უზრუნველყოფილია წყალმომარაგების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემებით. საპროექტო ტერიტორიის განვითარების სივრცით-გეგმარებითი კონცეფციით გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების შემდგომ, საპროექტო ინფრასტრუქტურის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები ასევე ჩაერთვება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.

შენობის საძირკვლის მოწყობის პერიოდში, ტუმბოების საშუალებით, გრუნტის წყლების ამოტუმბვა განხორციელდება სპეციალური ტუმბოების საშუალებით, უწყვეტ რეჟიმში. აღნიშნული ღონისძიება ერთი მხრივ სამშენებლო სამუშაოების სწორად წარმართვას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ შემცირდება გრუნტის წყლების დაბინძურებისა და შემდეგ გრუნტში გავრცელების რისკები.

შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის იქნება. ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოსალოდნელია ზემოქმედების შემცირება/აღმოფხვრა.

4.5 გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში. თუმცა, მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელებისას შესაბამისი

წესებისა და ნორმების დაცვა. ამ შემთხვევაში ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე არ იქნება მოსალოდნელი.

4.6 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით.

ქ. ბათუმსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული ხე-მცენარე, რომელთა ნაწილი პროექტის განხორციელებისას მოჭრას ექვემდებარება, რაც მცენარეულ საფარზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. მოსაჭრელი ინდივიდების სანაცვლოდ განხორციელდება საკომპენსაციო ღონისძიებები, ასევე გდგ-ს კონცეფცია ითვალისწინებს ტერიტორიის გამწვანებას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით.

საპროექტო ტერიტორია მსხვილი ტუმუწვოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, რადგან ის წარმოადგენს მჭიდრო ანთროპოგენურ გარემოს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ ურბანულ გარემოს შეგუებული სახეობები შეგვხვდეს.

კონცეფციის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ მოსალოდნელია ხმაურის, მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გავრცელება, თუმცა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მკვეთრად არ შეცვლის არსებულ ფონურ მდგომარეობას, ამასთან სამშენებლო სამუშაოები არ იქნება მუდმივი და ზემოქმედება ექნება დროებითი ხასიათი.

ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი ფაუნაიდან აღსანიშნავია ორნითოფაუნის მრავალფეროვნება, ვინაიდან ბათუმზე გადამფრენ ფრინველთა ევრაზია-აფრიკის სამიგრაციო მარშრუტი გადის. ამასთან საპროექტო ტერიტორია უშუალოდ მდებარეობს ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილის საზღვრებში და ზურმუხტის ქსელის საიტიდან „ჭოროხის დელტა“ დაშორებულია 3.7 კმ. მანძილით.

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ ბათუმის შემოგარენი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ნაწილი, მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო და მრავალრიცხოვანი დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800,000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. საყოველთაოდ ცნობილი „ბათუმის სამიგრაციო ძაბრი“ გიბრალტართან, მესინა-სიცილიასთან და ბოსფორთან ერთად ევროპის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად მოიხსენიება. ასეთ ადგილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგის, ბუნების დაცვითი სამუშაოებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.

ბათუმის "ძაბრი" საშემოდგომო გადაფრენისას შემდეგნაირად იქმნება: მას შემდეგ, რაც მტაცებლები გადმოლახავენ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს (ამ დროს მათი სამიგრაციო გზები ძირითადად დაბალ უღელტეხილებზე გადის), ეშვებიან

კოლხეთის დაბლობზე, ენერგიის დაზოგვის მიზნით ერიდებიან შავი ზღვის ზედაპირს, ლიხის (სურამის) და მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედებს, ამის შედეგად ძალაუწებურად მათი უმეტესი ნაწილი თავს იყრის ბათუმის მიდამოებში, შემდეგ გადაკვეთენ საქართველო-თურქეთის საზღვარს და თანდათან ისევ დაცილებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მტაცებლების დიდი რაოდენობა დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილსაც გადმოლახავს, აღმოსავლეთ საქართველოში წყლის ფართო ზედაპირის არარსებობისა და უფრო მოზაიკური მთა-გორიანი ლანდშაფტის გამო გადაფრენა რამდენიმე გზით მიმდინარეობს და ამიტომ ამ ადგილებში ისეთი დიდი მასშტაბის "ძაბრი" არ იქმნება, როგორც ბათუმთან.

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია საქართველოში არსებულ ერთერთ მთავარ ფრინველთა მიგრაციის მარშრუტის ზონაში.

ილუსტრაცია 4.2. საქართველოში არსებული ფრინველთა მიგრაციის მთავარი მარშრუტები



წყარო: <https://nationalgeographic.ge/story/migracia-javakhetshi/>

მაღალსართულიანი შენობები, განსაკუთრებით მინით მოპირკეთებული, წარმოადგენს ფრინველების დაზიანების ერთერთ მთავარ მიზეზს. როცა ისინი სარკისებრია, ფრინველები მასში არეკლილ გარემოს ან ცას ხედავენ, ამიტომაც ეჯახებიან მინებს.

უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ხარისხი დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.7 დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიებიდან დაცულ ტერიტორიებამდე არსებული მანძილის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებით დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

4.8 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება

ქალაქ ბათუმში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული კომპანია შპს „სანდასუფთავება“. კომპანია უზრუნველყოფს ქ. ბათუმში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას. შპს „სანდასუფთავება“ ასევე ახორციელებს ქუჩების, გზების, ეზოებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავებას. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება როგორც ქ. ბათუმის მოსახლეობას, ასევე კომერციულ სექტორს.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არსებულ საცხოვრებლებს და ინფრასტრუქტურას ემსახურება შპს „სანდასუფთავება“. ტერიტორიის მიმდებარე განთავსებულია ურნები მუნიციპალური ნარჩენებისთვის, სადაც მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების და მსგავსი კატეგორიის ნარჩენების განთავსებაა დაშვებული.

ალსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში დასრულდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, სადაც უახლოეს მომავალში, როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები განთავსდება. მანამდე კი, ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენები კვლავ არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსდება, რომელიც მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარეობს.

დაგეგმილი სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სამშენებლო და ნგრევის, საყოფაცხოვრებო, სხვადასხვა კატეგორიის შესაფუთი მასალების და შესაძლოა მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

ცხრილი 4.5. ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ³.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათოობის მახასიათებელი	ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქაღალდის, მუყაოს, სამერქნე მასალის, პანელებისა და ავეჯის წარმოებისას - ჯგუფის კოდი 03					
03 01 ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელებისა და ავეჯის წარმოებიდან					
03 01 05	ნახერხი, ბურბუმელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები, რომლებიც	არა	მყარი	-	4 ტონა

³ შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების მიხედვით

	არ არის ნახსენები 03 01 04				
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას - ჯგუფის კოდი 12					
12 01 ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას					
12 01 13	შედულებისას წარმოქმნილი ნარჩენი	არა	მყარი	-	2 ტონა
12 01 20*	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (აბრაზიული ქვები)	არა	მყარი	-	400 კგ
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15					
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)					
15 01 01	ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-	2 ტონა
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-	4 ტონა
15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები					
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14- ეკოტოქსიკური	2 ტონა
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან) - ჯგუფის კოდი 17					
17 01 ცემენტი, აგურები, ფილები და კერამიკა					
17 01 01	ცემენტი	არა	მყარი	-	100 ტონა
17 01 02	აგურები	არა	მყარი	-	50 ტონა
17 01 03	ფილები და კერამიკული ნაწარმი	არა	მყარი	-	15 ტონა
17 02 ხე, მინა და პლასტმასი					
17 02 01	ხე	არა	მყარი	-	5 ტონა
17 02 02	მინა	არა	მყარი	-	1 ტონა
17 02 03	პლასტმასი	არა	მყარი	-	3 ტონა
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)					
17 04 07	შერეული ლითონები	არა	მყარი	-	10 ტონა
17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი					
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს	დიახ	მყარი	H 15	2 ტონა

	სახიფათო ნივთიერებებს				
17 05 04	ნიადაგი და ქვები, რომლებიც არ გვხვდება 17 05 03 პუნქტში	არა	მყარი	-	6 ტონა
17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები					
17 06 04	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03	არა	მყარი	-	600 კგ
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით ან/და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად (გარდა საკვები ობიექტების ნარჩენებისა, რომლებიც არ არის წარმოქმნილი რაიმე უშუალო სამედიცინო აქტივობის შედეგად) - ჯგუფის კოდი 18					
18 01 ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში					
18 01 04	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (მაგ., შესახვევი მასალა, თაბაშირი, თეთრეული, ერთჯერადი ტანსაცმლის ნარჩენები)	არა	მყარი	-	100 კგ
18 01 09	მედიკამენტები, გარდა 18 01 08 პუნქტით გათვალისწინებული	არა	მყარი	-	4 კგ
მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი 20					
20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)					
20 01 39	პლასტმასი	არა	მყარი	-	1 ტონა
20 01 40	ლითონები	არა	მყარი	-	2 00 კგ
20 03 სხვა მუნიციპალური ნარჩენები					
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-	15 ტონა

წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვის პირობებში იზრდება გარემოს დაბინძურების რისკები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ნიადაგისა და გრუნტზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებზე და ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასთან. დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ყველა

სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

წარმოქმნილი ნარჩენები განთავსდება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში. მუნიციპალური, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები საპროექტო ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში არ დაყოვნდება - მათი გატანა კონტეინერების შევსებისთანავე განხორციელდება.

რეციკლირებადი და სახიფათო ნარჩენები ასევე შეგროვდება განცალკევებულად. მსგავსი კატეგორიის ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სპეციალური ნარჩენების დროებითი დასაწყობების სივრცე, რომელიც დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან და გაფანტვისაგან. შეგროვებული ნარჩენები პერიოდულად გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმში შპს „სანდასუფთავება“ ახორციელებს რეციკლირებადი ნარჩენების (პლასტიკი, ქაღალდი და მუყაო) შეგროვებას და დახარისხებას. ობიექტის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი რეციკლირებადი ნარჩენების ნაწილი შესაძლოა გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა პირთან/ კომპანიასთან.

ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის შესაბამისად, ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები (ამ შემთხვევაში გრუნტი) შესაძლოა არ განთავსდეს ბათუმის ნაგავსაყრელზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე გამოყენებული იყოს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, მაგალითად სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში-ქვაბულების ამოსავსებად.

წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად მართვისას და საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

4.9 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მანძილში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი ვ. ჭაბუკიანის სახელობის ბალეტის კლასიკური სკოლაა (ს/ნ: 16071). ობიექტი საპროექტო ტერიტორიიდან 370 მ. მანძილში მდებარეობს. მანძილის გათვალისწინებით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

4.10 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედება გულისხმობს ისეთ ზემოქმედებას, რომელიც გამომდინარეობს თანმიმდევრული, მზარდი, ან/და კომბინირებული ქმედებების, პროექტის, პროგრამის ან საქმიანობის შედეგად (ერთობლივად „ქმედებები“) რომლებიც

ემატება სხვა არსებულ, დაგეგმილ ან/და გონივრულად მოსალოდნელ სამომავლო ქმედებებს.

ქალაქ ბათუმში ამჟამად არაერთი სამშენებლო პროექტის განხორციელება მიმდინარეობს და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში მოსალოდნელია:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა;
- გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დეგრადაცია/დაბინძურება;
- მცენარეული საფარის შემცირება;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესება;
- წარმოქმნილი სხვადასხვა სახის რაოდენობის გაზრდა;
- ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული რისკები;

კუმულაციური ზემოქმედების ხარისხის მაქსიმალურად შემცირებისთვის აუცილებელია დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს გარემოსდაცვითი სტანდარტების, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

5 მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილების/აღმოფხვრის ღონისძიებები

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელებით მოსალოდნელი არაა გარემოზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ზემოქმედებები. თუმცა, გარკვეული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების (ხმაურის დონის გადაჭარბება, ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება, მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმი და სხვა.) თავიდან აცილება/შემცირებისათვის შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ქვემოთ:

ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დაცული იყოს ქარხანა-დამამზადებლისა და მოწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობები;
- აგრეთვე, შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციები;
- გამოყენების წინ ინსტრუმენტი უნდა დათვალიერდეს რეგულარულად. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალიეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.

- სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.
- სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა პერსონალმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო ტერიტორიაზე;
- ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტები;
- მშენებლობის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტები და ნორმატიული აქტები.
- სამშენებლო ტერიტორიები შემოსაზღვრული უნდა იყოს სათანადოდ, რათა დაცული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის და ქვეითად მოსიარულე ადამიანების უსაფრთხოება;
- სამუშაო ზონებზე დატანილი უნდა იყოს შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნები;

5.1 ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

- დაგეგმილ სამუშაოებში (როგორც დემონტაჟის ასევე სამშენებლო) გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკა-დანადგარები შესაბამისობაში იქნება უსაფრთხოების ნორმებთან. სამუშაოების დაწყებამდე შემოწმდება მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება ე.წ „სველი“ მეთოდით;
- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული იქნება ოპტიმალური სიჩქარე;
- ქარიან ამინდში შეიზღუდება მტვერწარმოქმნელი სამუშაოების შესრულება;
- მნიშვნელოვანი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში;
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა გადაფარული იქნება შესაბამისი მასალით;
- სამშენებლო მასალების ამტვერების მაქსიმალურად შემცირების მიზნით ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა/განთავსება განხორციელდება სათანადოდ შეფუთულ მდგომარეობაში ან/და დახურულ სივრცეში;
- მტვერწარმოქმნელი სამუშაოების წარმოებისას და სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად იქნება გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- მკაცრად გაკონტროლდება პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების დაწვის ფაქტები;
- რეკომენდებულია სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან განხორციელდეს, რაც შეამცირებს მასალების ტრანსპორტირებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობას;

- მკაცრად გაკონტროლდება ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- მასალების ტრანსპორტირების პერიოდში გათვალისწინებული იქნება საავტომობილო გზებზე პიკური დატვირთვები;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად იქნება დაცული სამუშაო გრაფიკი;
- შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შედარებით დაბალი ხმაურის მქონე ხელსაწყოები და დანადგარები;
- ხმაურის დონის კანონით დადგენილი ზღვრული ნორმების გადაჭარბების და/ ან მოსახლეობის მხრიდან საჩივრის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ უნდა განხორციელდეს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ:
 - ✓ დანადგარებისა და ტექნიკის ხმაურის დონე შემცირდეს სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტებით;
 - ✓ შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული მუშაობა;
 - ✓ შემუშავდეს სპეციალური გრაფიკი.
- მკაცრად გაკონტროლდება სიგნალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია;
- მოსახლეობის უკმაყოფილების შემთხვევაში, ხმაურის პრევენციის მიზნით ტერიტორიაზე მოეწყობა შესაბამისი ხმაურდამცავი ბარიერები;
- ხმაურისა და მავნე ნივთიერებების გავრცელების შემცირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნიკა-დანადგარები;
- პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

5.2 ზედაპირულ და მიწისქვეშა წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ქვაბულის მოწყობისას, მას შემდეგ რაც სიღრმე მიაღწევს გრუნტის წყლების დგომის სიღრმეს, საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრზე, რამდენიმე ადგილზე მოეწყობა ჭები. აღნიშნული ჭებიდან იწარმოებს გრუნტის წყლების ამოტუმბვა და რეზერვუარებში გადატუმბვა. რეზერვუარებში დალექილი და გაწმენდილი წყალი ბათუმის მერიასთან შეთანხმებით ჩაეშვება ქალაქის წყალარინების სისტემაში. რეზერვუარებში დალექილი ლამის მართვა განხორციელდება ასევე ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;
- საპროექტო ტერიტორიაზე შეტანილი მასალები (ცემენტი, ქვიშა და ხრეში და სხვა) განთავსდება იმგვარად, რომ დაცული იყოს გამორეცხვისგან;
- სადრენაჟე სისტემა დაცული იქნება მასში ნარჩენების და სხვა მასალების მოხვედრისგან;
- ობიექტზე დაცული იქნება და მუდმივად გაკონტროლდება სისუფთავე;
- აკრძალული იქნება და მკაცრად გაკონტროლდება ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნომოსახურება და რეცხვა;
- მუდმივად შემოწმდება ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- მკაცრად გაკონტროლდება საპროექტო ტერიტორიაზე საწვავ-საპოხი მასალების დასაწყობების ფაქტები;

- მკაცრად გაკონტროლდება ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში და საპროექტო კომპლექსის კატლანში. სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების ჩაშვება მოხდება ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებში;
- სამშენებლო ზონა აღჭურვილი იქნება ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით;
- მშენებელი კომპანიის მიერ შემუშავებული იქნება ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები და დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მკაცრად გაკონტროლდება იმ სატვირთოების (ბეტონშემრევეების) ადგილზე გარეცხვის ფაქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში;
- ბეტონშიდი მანქანების გადაადგილებისას მკაცრად გაკონტროლდება ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრის ფაქტები;
- წარმოქმნილი ნარჩენები განთავსდება იმგვარად, რომ არიდებული იქნას ეროზია და წყალში ჩარეცხვა;
- წყლის ობიექტების დაბინძურების პრევენციის მიზნით, სამშენებლო სამუშაოებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნიკა-დანადგარები;
- საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით მკაცრად გაკონტროლდება სამშენებლო სამუშაო პროცესები და სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ზონა შემოფარგლული იქნება შესაბამისი ღობით;
- დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდება ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე;

5.3 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- მკაცრად იქნება დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული ხე-მცენარეების დაზიანება;
- საპროექტო შენობების მოპირკეთებისას, რეკომენდებულია შეირჩეს ისეთი მასალა, რომელსაც არ ექნება სარკის ეფექტი;
- რეკომენდებულია შენობის თავზე დამონტაჟდეს ერთგვარი მაშუქი ციმცირა, რომელიც ღამე გადამფრენი ფრინველებისთვის იქნება აღქმადი და დაეხმარება ორიენტირებაში;
- რეკომენდებულია შენობების განათებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებული იქნეს ნეიტრალური ნათება;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- მკაცრად გაკონტროლდება სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- გაკონტროლდება ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- დაცული იქნება ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და შეირჩევა მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეები ცხოველებზე უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად;

- გათვალისწინებული იქნება ხმაურის გავრცელების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების პრევენციული ღონისძიებები;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

5.4 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ქვაბულის მოწყობის პერიოდში მოხსნილი გრუნტის მართვა განხორციელდება ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;
- უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებისთვის სწორად შეირჩევა ტექნიკის გადაადგილებისათვის საჭირო გზები და სამუშაო ზონები, რომელთა საზღვრების დაცვა მკაცრად გაკონტროლდება;
- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდება დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა მოიხსნება დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- სამუშაო ზონები აღჭურვილი იქნება დაღვრაზე რეაგირების სათანადო ინვენტარით/აღჭურვილობით (კონტეინერები, ტომრები, აბსორბენტები და სხვა);
- აკრძალული იქნება სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და/ან საწვავით გამართვა. აღნიშნული პროცედურები განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ კომერციულ ობიექტებში;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- პერიოდულად შემოწმდება სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;

5.5 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- სადემონტაჟო სამუშაოები და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;
- მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შექმნას, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანის და განთავსებაზე იწარმოებს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდება წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- სამშენებლო ნარჩენები ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერებში განთავსდება, რომელიც ტერიტორიიდან გატანილი იქნება დაგროვების შესაბამისად;

- პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი რეციკლირებადი მასალები შეგროვდება განცალკევებით, რომლებიც მოთავსდება მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში. კონტეინერები დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან;
- სახიფათო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ კონტეინერებში, რომლებიც განთავსებული იქნება ნალექებისგან დაცულ სივრცეში. სახიფათო ნარჩენები შემდეგი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე პირს/კომპანიას;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. ქალაქ ბათუმში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება/გატანაზე პასუხისმგებელია შპს „სანდასუფთავება“. კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.
- შემდეგი მართვისთვის გადაცემული ნარჩენების გაკონტროლდება მის საბოლოო განთავსება/დამუშავებამდე.
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- დასაქმებულ პერსონალს ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

6 დასკვნები

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნის სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნის სახეობებიდან შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სახეობები, რომლებიც შეგუებული არიან ურბანულ გარემოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ბათუმის მჭიდრო ნაწილში, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის (განსაკუთრებით მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის) არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის.

პროექტის განხორციელებისას პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის და ბიოლოგიური გარემოს რეცეპტორებზე. თუმცა ზემოქმედების მასშტაბი არ იქნება დიდი და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით პროექტის განხორციელება გარემოს კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით/შეუქცევად ზემოქმედებას არ იქონიებს;

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ინდივიდი დაექვემდებარება მოჭრას, ხოლო საკომპენსაციოდ გდგ-ს კონცეფცია ითვალისწინებს ტერიტორიის გამწვანებას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით.

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება მცირე მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მოხსნილი ნიადაგი და გრუნტის ნაწილი ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს ადგილზევე, ტერიტორიის რეკულტივაციისთვის.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ან სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 12 კმ-ში (პირდაპირი მანძილი) მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს. სამხრეთ-აღმოსავლეთით, 16 კმ-ში მაჭახელას ეროვნული პარკი. პროექტის განხორციელებით დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მათზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი) დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნა და მსგ.) არ გვხვდება.

გეგმარებითი ერთეულის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები არდაგანის ტბაა, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 150 მ. მანძილში მდებარეობს. 350 მ. მანძილშია წარმოდგენილი შავი ზღვა, ხოლო მდინარე მეჯინისწყალი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2.07 კმ-ში მდებარეობს. ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიხედვით საკვლევ არეალში გრუნტის წყლები შესაძლოა გამოვლინდეს 2.3 მ-ის სიღრმეებზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, ხოლო გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოსავლურად უნდა გატარდეს გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები და სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს სტანდარტების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში. თუმცა, მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელებისას შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვა. ამ შემთხვევაში ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე არ იქნება მოსალოდნელი.

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. საპროექტო ტერიტორიაზე არ გამოვლენილა

ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში). უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის საპროექტო ტერიტორიიდან 370 მ. მანძილში მდებარეობს, რაც ობიექტებზე უარყოფით ზემოქმედებას გამოიწვევს;

დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილებზე, რადგან კომპლექსში გარდა ბინებისა, რაც გაზრდის საცხოვრებელ ფონდს, მასში განთავსდება როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე მომსახურების სხვა ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას, ასევე გაუმჯობესდება მომსახურების სერვისი, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების თანამედროვე სტანდარტებით დაკმაყოფილებას.

მიწის ნაკვეთი მოშენდება თანამედროვე კომპლექსით, რომელშიც განთავსებული იქნება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, შესაბამისად განავითარებს შესაბამის მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ ობიექტებს, მათ შორის მომსახურების, რაც დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტების მშენებლობამ და ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება;

სამშენებლო სამუშაოებში ჩართული პერსონალის და ახლომდებარე მოსახლეობის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მოსალოდნელია შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება/აღმოფხვრა.

გიორგი ზაზაძე

ეკოლოგიის ბაკალავრი



შპს "ცენტრალ სითი ლანინი"

მოკლე საინჟინრო-გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და
სეისმოლოგიური ხასიათის დასკვნა, კლიმატური და სხვა პირობების
ზოგადი ზედაპირული მიმოხილვით

მრავალსართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში
ფიროსმანის ქუჩა №10 (ნაკვეთის ს. ნ. 05.04.05.017)

დირექტორი:



ზ. ბერიძე

გეოლოგი:

ს. მელქონიანი

ბათუმი. 2023 წ.

შესავალი

პროექტით გათვალისწინებულია: ქ. ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ფიროსმანის ქუჩის №10 ნაკვეთზე (ს. ნ. 05.04.05.017) 50 სართულიანი მრავალბინიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიწისქვეშა ავტოპარკინგით.

სამშენებლო მოედნის მიმდებარედ, ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში, აშენდა (ან მშენებლობის პროცესშია) მთელი რიგი მრავალსართულიანი (25-35-55) მაღლივი მშენებლობებისა, რომელთა ერთი ნაწილი დგას მთლიანი არმირებული ფილის ტიპის საძირკვლებზე, ხოლო ზოგიერთის ქვეშ კი მოწყობილია ბურღვითნატენი ხიმიწვანი საფუძველი არმირებულ ფილასთან კომბინაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ გეოლოგიური კვლევები, ხსენებული მშენებლობების აბსოლუტური უმრავლესობის პროექტებისათვის, შესრულებულია წარმოდგენილი დოკუმენტის ავტორის ს. მელქონიანის მიერ, მათი მასალები ინახება მის პირად არქივში და ისინი საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია. წარმოდგენილი დოკუმენტი შედგენილია სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით (კერძოდ: შპს "ბათუმენის 30 და 40 სართულიანი სახლები ფიროსმანის ქუჩის №17(ა) და შპს "მეგა პალასის" 34 სართულიანი სახლი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ) და იგი მხოლოდ წინასწარი მიმოხილვითი ხასიათისაა. ხსენებული სპეციალისტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით მუშაობის საერთო სტაჟით 51 წელი, 1986 წლიდან მუშაობს ქ. ბათუმში და მისთვის საკმაოდ ნათლად ცნობილია ქალაქის ამ ნაწილის (და არა მარტო ამ ნაწილის) გეოლოგიური პირობები, და ამრიგად ამ კუთხით ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებანი მთლიანობაში რეალობასთან ახლოსაა. ობიექტის პროექტირების შემდგომი ეტაპისათვის (მუშა პროექტი), როცა საპროექტო შენობის კონტურზე გაიბურღება საჭირო სიღრმისა და რაოდენობის ჭაბურღილები და დეტალურად იქნება შესწავლილი ადგილის გეოლოგიური ჭრილის ამგები გრუნტები, გამოტანილი იქნება სათანადო საბოლოო დასკვნები, რომლებიც საფუძვლად დაედება პროექტის კონსტრუქციული ნაწილის გაანგარიშებებს. ამრიგად კვლევის მოცემულ ეტაპზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი წინასწარი დასკვნები და მოსაზრებანი:

1. სამშენებლო მოედანი, საერთო ფართობით ჯამში დაახლოებით 1250მ², მდებარეობს ქ. ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ფიროსმანის, ჯავახიშვილის, გორგილაძისა და ყ. შარტავას ქუჩებით შემოსაზღვრულ კვარტალში), პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარჯვენა მხარეს, მისგან 7-8მ-ის დაცილებით, ნაკვეთით (ს. ნ. 05.04.05.017). ადგილი ამჟამად წარმოდგენილია ძველი, ნაწილობრივ ამორტიზირებული 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლით, რომელიც ექვემდებარება აღებას.
2. კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია შედის ზომიერად თბილ და ტენიანი ჰავის კლიმატურ ზონაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხელი

ზაფხული, ჭარბი ტენიანობა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექები წლის ყოველ სეზონში. ქარების გაბატონებული მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთური და სამხრეთ-დასავლეთურია. ქვემოთ მოყვანილია ბათუმის მეტეოსადგურის მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე მიღებული კლიმატური პირობების ზოგიერთი კონკრეტული მონაცემი.

ჰაერის აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა	-----	-8 ⁰ C
ჰაერის აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა	-----	+41 ⁰ C
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა	-----	+13,4 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზამთრობით	-----	+5,7 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა გაზაფხულში	-----	+11,3 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზაფხულობით	-----	+21,5 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა შემოდგომაზე	-----	+15,2 ⁰ C
ნალექების საშუალო წლიური ნორმა	-----	2315 მმ
ნალექების საშუალო ნორმა ზამთარში	-----	615 მმ
ნალექების საშუალო ნორმა გაზაფხულზე	-----	321 მმ
ნალექების საშუალო ნორმა ზაფხულში	-----	527 მმ
ნალექების საშუალო წლიური ნორმა შემოდგომაზე	-----	841 მმ
ნალექების მაქსიმალური რაოდენობა დღეღამეში	-----	187 მმ
ირიბი წვიმების ინდექსი	-----	5 მ/წმ
ქარის ჩქაროსნული დაწოლა 5 წელიწადში ერთხელ	-----	0,48 კ.პ.ა
ქარის ჩქაროსნული დაწოლა 15 წელიწადში ერთხელ	-----	0,60 კ.პ.ა
ქარის სიჩქარე 1 წელიწადში ერთჯერ	-----	18მ/წმ
ქარის სიჩქარე 5 წელიწადში ერთჯერ	-----	22მ/წმ
ქარის სიჩქარე 10 წელიწადში ერთჯერ	-----	24მ/წმ
ქარის სიჩქარე 20 წელიწადში ერთჯერ	-----	26მ/წმ
თოვლის საფარის დაწოლა	-----	0,5 კ.პ.ა
ჰაერის შეფარდებითი საშუალო წლიური ტენიანობა	-----	81,7%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა ზამთრობით	-----	80%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა გაზაფხულზე	-----	83%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა ზაფხულში	-----	80,7%

ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა შემოდგომაზე ----- 83,3%
 გრუნტის სეზონური მზრალობის სისქე ----- 0

3. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი მდებარეობს კახაბრის სახელწოდებით ცნობილი აჭარის ზღვისპირა დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და პრაქტიკულად სწორი რელიეფით, რომლის ზედაპირის რაიმე კონკრეტული მიმართულებით დახრილობა ვიზუალურად არც კი შეიძლება, თუმცა იგი მაინც არსებობს, მიმართულია ჩრდილო-დასავლეთით და 0,4-0,5⁰-ს არ აღემატება. ბუნებრივია, რომ ასეთ გეომორფოლოგიურ პირობებში ზედაპირული ნაკადი გაძნელებულია, თუმცა ადგილი ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. ზედაპირის აბსოლიტური ნიშნულები უშუალოდ სამშენებლო მოედანზე იცვლება 3,20-3,60მ-ის დიაპაზონში, თუმცა ეს უმნიშვნელო სხვაობაც, ძირითადად ხელოვნური ხასიათისაა. ცნობილი ფაქტია, რომ თაავის დროს, დაახლოებით 2000-2500წლის წინ აქ გადიოდა ზღვის სანაპირო ზოლი რომელამდეც აღწევდა მდ. ჭოროხის ფართო და ძლიერ დატოტვილი დელტა და სწორედ ამით აიხსნება მისი გეოლოგიური ჭვილის ზედა ნაწილზე (ზედაპირიდან 7-9მ-ის სიღრმეებამდე ზღვიურ-ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი, ხრეში) მასალის განლაგება, რომელსაც ქვეშ ედება წმინდა ზრვიური გენეზისის ქვიშოვანი, ალევრიტული და თიხოვანი წარმონაქმნები.

4. სამშენებლო მოედნის ბუნებრივი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილი, ზედაპირიდან დაახლოებით 7-9მ-ის სიღრმეებამდე, აგებულია მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მქონე მეოთხეული ასაკის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტებით და მათ ქვეშ ედება ისევ მეოთხეული ასაკის წვრილმარცვლოვანი ქვიშები რბილპლასტიური თიხების იშვიათი და თხელი ლინზებით. ზედაპირიდან 20-22მ-ის ქვევით ჭრილს აგრძელებს სარმატული ზღვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის მტვეროვანი ქვიშების, ქვიშნარ-მტვეროვანი ალევრიტებისა და ძნელადპლასტიური თიხების ფენების ურთიერთმონაცვლეობა, რომელთა სიმკვრივე 26-27მ-ის სიღრმეებს ქვევით კიდევ უფრო მატულობს და მისაღები საფუძველია მაღლივი მშენებლობისათვის. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმგარემოებას, რომ ეს აღწერა ზოგადი ხასიათისაა და კვლევის შემდგომ ეტაპზე იგი მოითხოვს ჭაბურღილებით დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლის გრუნტები მაღალი მახასიათებლებისაა, საპროექტო შენობის სართულიანობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ იგი დასაფუძნებელი იქნება ხიმინჯოვან საფუძველზე (მთლიან არმირებულ ფილასთან კომბინაციაში). თუ რა ტიპისა და სიგრძის ხიმინჯები იქნება გამოსაყენებელი, ეს საკითხიც დაზუსტდება ადგილის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

5. ადგილის ჰიდროგეოლოგიური პირობების განსახილველად საკმარისია აღინიშნოს, რომ გრუნტის წყლები უმეტესწილად განლაგებულია ზედაპირიდან 2,3-2,5მ-ის სიღრმეებზე, მათი დონე რამდენადმე ცვალებადია წლის განმავლობაში და შეიძლება მერყეობდეს 0,2-0,3მ-ის სიდიდით (მატების ან კლების თვალსაზრისით). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის

ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო ლითონის (არმატურა) მიმართ ამჟღავნებს სუსტად აგრესიულობას და თანაც მასთან მხოლოდ ეპიზოდურად კონტაქტში ყოფნისას.

6. ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმურდარაიონების რუკისა 7 (შვიდი) ბალია. საფუძვლის გრუნტების დიდი ნაწილი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას რაც გვაძლევს საშუალებას იმისა, რომ საპროექტო მშენებლობა გაითვალისწინოს 7 ბალიან სეისმომდებლობაზე.

7. საპროექტო მშენებლობა, გარემოს დაცვის დაცვის კუთხით, თუ გათვალისწინებული იქნება ამისათვის საჭირო ყველა დამცავი ნორმები, ადგილის ეკოლოგიურ სიტუაციაზე გავლენას ვერ მოახდენს.


8. სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობები არა გვაქვს და ამ კუთხით აქ პრობლემები საერთოდ არ არსებობს.

9. ამრიგად, სამშენებლო მოედანი, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით თანახმად **СНП 1.02.07-87**-ის მე-10-ე აუცილებელი დანართისა მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის), ანუ ეს პირობები მთლიანობაში ხელსაყრელია პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის თვალსაზრისით.

13.05.2023 წ

დირექტორი:

გეოლოგი:



ზ. ბერიძე

ს. მელქონიანი

შპს “ბლექ სი თაუერი”

მოკლე საინჟინრო-გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და
სეისმოლოგიური ხასიათის დასკვნა, კლიმატური და სხვა პირობების
ზოგადი ზედაპირული მიმოხილვით

მრავალსართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში
ზურაბ გორგილაზის ქუჩის №111-ის მიმდებარედ

ბათუმი. 2023 წ.

შპს “ბლექ სი თაუერი”

მოკლე საინჟინრო-გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და
სეისმოლოგიური ხასიათის დასკვნა, კლიმატური და სხვა პირობების
ზოგადი ზედაპირული მიმოხილვით

მრავალსართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში
ზურაბ გორგილაზის ქუჩის №111-ის მიმდებარედ



დირექტორი:

ზ. ნიმშიაშვილი

გეოლოგი:

ს. მელქონიანი

ბათუმი. 2023 წ.

შესავალი

პროექტით გათვალისწინებულია: ქ. ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზ. გორგილაძის ქუჩის №111-ის მიმდებარედ 50 სართულიანი მრავალბინიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიწისქვეშა ავტოპარკინგით.

სამშენებლო მოედნის მიმდებარედ, ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში, აშენდა (ან მშენებლობის პროცესშია) მთელი რიგი მრავალსართულიანი (25-35-55) მაღლივი მშენებლობებისა, რომელთა ერთი ნაწილი დგას მთლიანი არმირებული ფილის ტიპის საძირკვლებზე, ხოლო ზოგიერთის ქვეშ კი მოწყობილია ბურღვითნატენი ხიმიჯოვანი საფუძველი არმირებულ ფილასთან კომბინაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ გეოლოგიური კვლევები, ხსენებული მშენებლობების აბსოლუტური უმრავლესობის პროექტებისათვის, შესრულებულია წარმოდგენილი დოკუმენტის ავტორის ს. მელქონიანის მიერ, მათი მასალები ინახება მის პირად არქივში და ისინი საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია. წარმოდგენილი დოკუმენტი შედგენილია სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით (კერძოდ: შპს “ბათმშენის 30 და 40 სართულიანი სახლები ფიროსმანის ქუჩის №17(ა) და შპს “მეგა პალასის” 33 სართულიანი სახლი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ) და იგი მხოლოდ წინასწარი მიმოხილვითი ხასიათისაა. ხსენებული სპეციალისტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით მუშაობის საერთო სტაჟით 51 წელი, 1986 წლიდან მუშაობს ქ. ბათუმში და მისთვის საკმაოდ ნათლად ცნობილია ქალაქის ამ ნაწილის (და არა მარტო ამ ნაწილის) გეოლოგიური პირობები, და ამრიგად ამ კუთხით ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებანი მთლიანობაში რეალობასთან ახლოსაა. ობიექტის პროექტირების შემდგომი ეტაპისათვის (მუშა პროექტი), როცა საპროექტო შენობის კონტურზე გაიბურღება საჭირო სიღრმისა და რაოდენობის ჭაბურღილები და დეტალურად იქნება შესწავლილი ადგილის გეოლოგიური ჭრილის ამგები გრუნტები, გამოტანილი იქნება სათანადო საბოლოო დასკვნები, რომლებიც საფუძველად დაედება პროექტის კონსტრუქციული ნაწილის გაანგარიშებებს. ამრიგად კვლევის მოცემულ ეტაპზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი წინასწარი დასკვნები და მოსაზრებანი:

1. სამშენებლო მოედანი, საერთო ფართობით დაახლოებით 1600მ², მდებარეობს ქ. ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ფიროსმანის, ჯავახიშვილის, გორგილაძისა და ჟ. შარტავას ქუჩებით შემოსაზღვრულ კვარტალში), პოლიტექნიკური ინსტიტუტის უკანა მხარეს და იგი ამჟამად წარმოდგენილია ყოველგვარი მშენებლობისაგან თავისუფალი ნაკვეთით (ს. ნ. 05.24.05.091).

2. კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია შედის ზომიერად თბილ და ტენიანი ჰავის კლიმატურ ზონაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხელი ზაფხული, ჭარბი ტენიანობა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექები წლის ყოველ სეზონში. ქარების გაბატონებული მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთური და სამხრეთ-დასავლეთურია. ქვემოთ მოყვანილია ბათუმის

მეტეოსადგურის მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე მიღებული კლიმატური პირობების ზოგიერთი კონკრეტული მონაცემი.

ჰაერის აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა	-----	-8 ⁰ C
ჰაერის აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა	-----	+41 ⁰ C
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა	-----	+13,4 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზამთრობით	-----	+5,7 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა გაზაფხულში	-----	+11,3 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზაფხულობით	-----	+21,5 ⁰ C
ჰაერის საშუალო ტემპერატურა შემოდგომაზე	-----	+15,2 ⁰ C
ნალექების საშუალო წლიური ნორმა	-----	2315 მმ
ნალექების საშუალო ნორმა ზამთარში	-----	615 მმ
ნალექების საშუალო ნორმა გაზაფხულზე	-----	321 მმ
ნალექების საშუალო ნორმა ზაფხულში	-----	527 მმ
ნალექების საშუალო წლიური ნორმა შემოდგომაზე	-----	841 მმ
ნალექების მაქსიმალური რაოდენობა დღეღამეში	-----	187 მმ
ირიბი წვიმების ინდექსი	-----	5 მ/წმ
ქარის ჩქაროსნული დაწოლა 5 წელიწადში ერთხელ	-----	0,48 კ.პ.ა
ქარის ჩქაროსნული დაწოლა 15 წელიწადში ერთხელ	-----	0,60 კ.პ.ა
ქარის სიჩქარე 1 წელიწადში ერთჯერ	-----	18მ/წმ
ქარის სიჩქარე 5 წელიწადში ერთჯერ	-----	22მ/წმ
ქარის სიჩქარე 10 წელიწადში ერთჯერ	-----	24მ/წმ
ქარის სიჩქარე 20 წელიწადში ერთჯერ	-----	26მ/წმ
თოვლის საფარის დაწოლა	-----	0,5 კ.პ.ა
ჰაერის შეფარდებითი საშუალო წლიური ტენიანობა	-----	81,7%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა ზამთრობით	-----	80%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა გაზაფხულზე	-----	83%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა ზაფხულში	-----	80,7%
ჰაერის შეფარდებითი საშუალო ტენიანობა შემოდგომაზე	-----	83,3%
გრუნტის სეზონური მზრალობის სისქე	-----	0

3. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი მდებარეობს კახაბრის სახელწოდებით ცნობილი აჭარის ზღვისპირა დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მისთვის დამახასიათებელი მეტად მარტივი და პრაქტიკულად სწორი რელიეფით, რომლის ზედაპირის რაიმე კონკრეტული მიმართულებით დახრილობა ვიზუალურად არც კი შექმნევა, თუმცა იგი მაინც არსებობს, მიმართულია ჩრდილო-დასავლეთით და 0,4-0,5⁰-ს არ აღემატება. ბუნებრივია, რომ ასეთ გეომორფოლოგიურ პირობებში ზედაპირული ნაკადი გაძნელებულია, თუმცა ადგილი ატმოსფერული ნალექებით არ იტბორება. ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები უშუალოდ სამშენებლო მოედანზე იცვლება 5-5,6მ-ის დიაპაზონში, თუმცა ეს უმნიშვნელო სხვაობაც, ძირითადად ხელოვნური ხასიათისაა. ცნობილი ფაქტია, რომ თაავის დროს, დაახლოებით 2000-2500წლის წინ აქ გადიოდა ზღვის სანაპირო ზოლი რომელამდეც აღწევდა მდ. ჭოროხის ფართო და ძლიერ დატოტვილი დელტა და სწორედ ამით აიხსნება მისი გეოლოგიური ჭვილის ზედა ნაწილზე (ზედაპირიდან 7-9მ-ის სიღრმეებამდე ზღვიურ-ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი, ხრეში) მასალის განლაგება, რომელსაც ქვეშ ედება წმინდა ზრვიური გენეზისის ქვიშოვანი, ალევრიტული და თიხოვანი წარმონაქმნები.

4. სამშენებლო მოედნის ბუნებრივი გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილი, ზედაპირიდან დაახლოებით 7-9მ-ის სიღრმეებამდე, აგებულია მეოთხეული ასაკის ზღვიურ-ალუვიური გენეზისის კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტები მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით და მათ ქვეშ ედება ისევ მეოთხეული ასაკის წვრილმარცვლოვანი ქვიშები რბილპლასტიური თიხების იშვიათი და თხელი ლინზებით. ზედაპირიდან 20-22მ-ის ქვევით ჭრილს აგრძელებს სარმატული ზღვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმკვრივის მტკვროვანი ქვიშების, ქვიშნარ-მტკვროვანი ალევრიტებისა და ძნელადპლასტიური თიხების ფენების ურთიერთმონაცვლეობა, რომელთა სიმკვრივე 26-27მ-ის სიღრმეებს ქვევით კიდევ უფრო მატულობს და მისაღები საფუძველია მაღლივი მშენებლობისათვის. კიდევ ერთხელ უნდა გაეგვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ეს აღწერა ზოგადი ხასიათისაა და კვლევის შემდგომ ეტაპზე იგი მოითხოვს ჭაბურღილებით დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლის გრუნტები მაღალი მახასიათებლებისაა, საპროექტო შენობის სართულიანობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ იგი დასაფუძნებელი იქნება ხიმინჯოვან საფუძველზე (მთლიან არმირებულ ფილასთან კომბინაციაში). თუ რა ტიპისა და სიგრძის ხიმინჯები იქნება გამოსაყენებელი, ეს საკითხიც დაზუსტდება ადგილის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

5. ადგილის ჰიდროგეოლოგიური პირობების დასახასიათებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ გრუნტის წყლები უმეტესწილად განლაგებულია ზედაპირიდან 2,3-2,5მ-ის სიღრმეებზე, მათი დონე რამდენადმე ცვალებადია წლის განმავლობაში და შეიძლება მერყეობდეს 0,2-0,3მ-ის სიღრმით (მატების ან კლების თვალსაზრისით). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გრუნტის წყლები მოცემული რეგიონის ფარგლებში ბეტონის კონსტრუქციების მიმართ არააგრესიულია, ხოლო ლითონის

(არმატურა) მიმართ ამჟღავნებს სუსტად აგრესიულობას და თანაც მასთან მხოლოდ ეპიზოდურად კონტაქტში ყოფნისას.

6. ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმურდარაიონების რუქისა 7 (შვიდი) ბალია. საფუძვლის გრუნტების დიდი ნაწილი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას რაც გვაძლევს საშუალებას იმისა, რომ საპროექტო მშენებლობა გაითვალისწინოს 7 ბალიან სეისმომდეგობაზე.

7. საპროექტო მშენებლობა, გარემოს დაცვის კუთხით, თუ გათვალისწინებული იქნება ამისათვის საჭირო ყველა დამცავი ნორმები, ადგილის ეკოლოგიურ სიტუაციაზე გავლენას ვერ მოახდენს.

8. სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარე ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობები არა გვაქვს და ამ კუთხით აქ პრობლემები საერთოდ არ არსებობს.

9. ამრიგად, სამშენებლო მოედანი, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით თანახმად **СНП 1.02.07-87**-ის მე-10-ე აუცილებელი დანართისა მიეკუთვნება II კატეგორიას (ხელოლო სირთულის), ანუ ეს პირობები მთლიანობაში ხელსაყრელია პროექტის გათვალისწინებული მშენებლობის თვალსაზრისით.

12.05.2023 წ

დირექტორი:

ინვესტორის მოწვეული გეოლოგი:



[Handwritten signature]

ზ. ხიმშიაშვილი

ს. მელქონიანი

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევა

ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის N113-ში და ფიროსმანის ქუჩა №10-ში, ზურაბ გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა №8-ის მიმდებარედ, საკვლევ საამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილია 46 სართულიანი მრავალბინიანი მრავალფუნქციური სახლის მშენებლობა 700 ბინით და 100-120 სასტუმრო ნომრით (შპს „ბლექ სი თაუერი“, საკ. კოდი: 05.24.05.126) და მრავალბინიანი, 50 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 450 ბინაზე (შპს „ცენტრალ სითი ლაინი“, საკ. კოდები: 05.24.05.017; 05.24.05.132; 05.24.05.234). გეგმარებითი ერთეული მოიცავს მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით, 05.24.05.126, 05.24.05.017, 05.24.05.234, 05.24.05.132, 05.24.05.189, 05.24.05.211, 05.24.05.192 და მოიცავს არეალს, რომელიც შემოიფარგლება გორგილაძის, ფიროსმანის ქუჩებითა და მათ შორის გასასვლელით. დღევანდელი მოცემულობით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქ. ბათუმში ავტომფლობელთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მობინადრეებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარკინგე სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევი ობიექტის მიმდებარე ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საკვლევ ობიექტებს გააჩნდეს ინდივიდუალური მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ავტოპარკინგები. შპს „ბლექ სი თაუერს“ პროექტით გათვალისწინებული აქვს შენობის მიწისქვეშა სართულში 34 ერთეული საპარკინგე ადგილის მოწყობა, ეზოს შიგა სივრცეში მოეწყობა 6 ერთეული ავტოსადგომი, ასევე გათვალისწინებულია ძირითადი შენობის უკანა მხარეს მოწყობილ, დახურულ 5 სართულიან ნაგებობაში ე.წ. „ლიფტის“ დამონტაჟება, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება 85 ერთეული ავტომობილის განთავსება. სულ ჯამში ობიექტს ექნება 125 ავტოსადგომი. ობიექტზე ავტომობილების შესასვლელ-გამოსასვლელი გათვალისწინებულია გორგილაძისა და ფიროსმანის ქუჩების დამაკავშირებელი, სამხრეთის მხარეს არსებული გასასვლელის გამოყენებით. აღნიშნული გასასვლელის სავალი ნაწილის სიგანეა 9,30 მეტრი. გზა დაფარულია გრუნტით, შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სამსახურებმა, სავალი ნაწილის შემდგომში მათ მიერ მოწესრიგების დროს, უნდა გაითვალისწინონ საფენმავლო ტროტუარების გამოყოფა სავალი ნაწილისაგან და კეთილმოწყობა. აღნიშნული გასასვლელი ინტენსიურად გამოყენებადია ქვეითად მოსიარულეთათვის, ამიტომ აუცილებელია ობიექტზე ავტომობილების შესვლა-გამოსვლის მანევრის შესრულებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით იგი სათანადოდ მოწესრიგდეს. საკვლევ ობიექტის ავტოსადგომზე მისასვლელად გამოიყენება როგორც ზ. გორგილაძის, ასევე ნ. ფიროსმანის ქუჩები. ფიროსმანის ქუჩა წარმოადგენს საერთო სარგებლობის შიგა საქალაქო მნიშვნელობის გზას და მოწყობილია ორმხრივი, ორზოლიანი მოძრაობისათვის, შუაში გამწვანებული გამყოფი ზოლით, მოწესრიგებულია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით, მისი სავალი ნაწილის სიგანე თითოეული მიმართულებით შეადგენს 6,0 მეტრს და არის მოასფალტებული, დაშვებულია ყველა

სახის ტრანსპორტის მოძრაობა, ქუჩის გამტარუნარიანობა შეადგენს 600-800 ავტომობილს საათში. საამშენებლო ობიექტის მიმდებარედ საფენმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 4,2 მეტრს, ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. მის გასწვრივ მოწყობილია ერთი მეტრი სიგანის გამწვანების ზოლი. ობიექტის მოპირდაპირე მხარეს საფენმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 2,80 მეტრს, რომელიც ასევე მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით, სავალი ნაწილის გამყოფი ზოლი გამწვანებულია, მისი სიგანე შეადგენს 2 მეტრს.

შპს „ცენტრალ სითი ლაინი“-ს მიერ მშენებლობა დაგეგმილია ფიროსმანის ქუჩა №10-ში, ზურაბ გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა №8-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკ. კოდები: 05.24.05.017; 05.24.05.132; 05.24.05.234). მოცემულ ობიექტზე საპარკინგე სივრცე მოეწყობა შემდგენიარად: შენობის მიწისქვეშა სართულში მოეწყობა 25 ავტოსადგომი; ე.წ. „ლიფტის“ საშუალებით შენობის სამ დონეზე განთავსდება 72 ერთეული ავტომანქანა, სულ ჯამში იქნება 97 ავტოსადგომი. ობიექტზე ავტომობილების შესასვლელ-გამოსასვლელი გათვალისწინებულია ზ. გორგილაძის ქუჩის მხრიდან. ზ. გორგილაძის ქუჩა წარმოადგენს საერთო სარგებლობის შიგა საქალაქო მნიშვნელობის გზას. მისი სავალი ნაწილის სიგანეა 13.6 მეტრი, მათ შორის ქუჩის ორივე მხარეს მონიშვნის ხაზების საშუალებით გამოყოფილია საერთო სარგებლობის ავტოსადგომების ზოლი, თითოეული 2,4 მეტრის სიგანით. ავტომობილების მოძრაობა ორმხრივია, დაშვებულია ყველა სახის ავტომობილის მოძრაობა. მისი გამტარუნარიანობა შეადგენს 500-700 ავტომობილს საათში. სავალი ნაწილი დაფარულია ასფალტის საფარით, აღჭურვილია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. საკვლევ ობიექტის მიმდებარედ საფენმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 3,20 მეტრს, იგი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. ქუჩის მეორე მხარეს ტროტუარის სიგანე შეადგენს 3,0 მეტრს, ისიც მოწესრიგებულია დეკორატიული ფილებით.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ ობიექტების პერიმეტრებზე არსებული ავტომობილების სამოდრაო არეალი, ხელსაყრელია აუცილებლობის შემთხვევაში სახანძრო-სამაშველო ტექნიკის და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების შეუფერხებელი მანევრისათვის.

ვინაიდან, საკვლევ ობიექტების ავტოსადგომზე მისასვლელად გამოიყენება როგორც ზ. გორგილაძის და ნ. ფიროსმანის ქუჩები, ასევე მათი დამაკავშირებელი გზაც, საჭიროა საგზაო რეგულაციების დაწესება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი N1830-რს. 24.12.2013 წ. „საგზაო მოძრაობის შესახებ“, კერძოდ, დასამონტაჟებელია შესაბამისი საგზაო ნიშნები და მონიშვნის ხაზები.

საკვლევ ობიექტების ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის უახლოესი ავტოგასამართი სადგური „სოკარი“ მდებარეობს ჯავახიშვილის ქუჩაზე და მანძილი შეადგენს 0,6კმ-ს, მის დასაფარად ავტომობილს დაჭირდება 3 წთ.

საკვლევ ობიექტთან უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება განთავსებულია ობიექტის მიმდებარედ ფიროსმანის ქუჩაზე, სადაც რეგულარულ რეისებს აკეთებს მუნიციპალური ავტობუსები მარშრუტით N4, ინტერვალი 12 წთ. ასევე ზ. გორგილაძის ქუჩაზე, ობიექტების მიმდებარედ კეთილმოწყობილია მუნიციპალური

ტრანსპორტის მოსაცდელეები და რეგულარულ რეისებს ახორციელებენ მარშრუტებზე N13; N14, ინტერვალებით 10-12 წთ.

დაანგარიშებულია მოცემული საკვლევი ობიექტიდან ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი გზების მანძილები და საჭირო დრო მათ დასაფარად, ასე მაგალითად: სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მანძილია 18,7კმ. და მის დასაფარად მსუბუქ ავტომობილს დაჭირდება 33წთ; ადლიის „გაფორმების ეკონომიკურ ზონა“-მდე მანძილია 5,9კმ, მის დასაფარად საჭიროა 20წთ; ბათუმის საერთაშორისო აეროპორტამდე მანძილია 4,8კმ, მის დასაფარად საჭიროა 13წთ; ბათუმი ცენტრალი (რკინიგზის სადგური) მანძილია 8,4კმ. მის დასაფარად საჭიროა 20წთ; ბათუმის პორტის „ეკონომიკური გაფორმების ზონა“-მდე მანძილია 5,2კმ, მის დასაფარად საჭიროა 15წთ; ბათუმის ცენტრალურ ავტოსადგურამდე მანძილი შეადგენს 6,1კმ-ს და მის დასაფარად საჭიროა 20წთ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემულ საკვლევ ობიექტზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისა და მისი მიმდებარე ქუჩების ავტოტრანსპორტის გამტარიანობის შესაძლებლობის გათვალისწინებით ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე.

საავტომობილო ტრანსპორტის

ინჟინერ-მექანიკოსი



ბ. ბიბილეიშვილი

07.05.2023 წ.

სოციოლოგიური კვლევის ანალიზი

თარიღი: 06.05.2013 წ.

ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.24.05.126; N05.24.05.132; N 05.24.05.234; N05.24.05.017) დაგეგმილი მრავალბინიანი და მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით, მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის, ინტერეს ჯგუფების მოსაზრებისა და რეკომენდაციების შეწოვა-შეჯერება.

ამოცანა: შემდეგი საკითხების განსაზღვრა

1. მოსახლეობის ინფორმირებულობის განსაზღვრა.
2. მოსახლეობის დამოკიდებულების და შეფასების განსაზღვრა ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით.
3. მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ცვალებადობის განსაზღვრა ინვესტიციის ფონზე.
4. ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე

კვლევის ჩატარების საფუძველი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 06 აპრილის N ბ14. 142309613 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები - N05.24.05.126; N05.24.05.132; N05.24.05.234; N05.24.05.017 წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“

გენერალური ერთობლიობა: ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N113, ფიროსმანის ქუჩა N8, ფიროსმანის ქუჩა N10 და მის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა.

მეთოდოლოგია: ანალიტიკური, რაოდენობრივი კვლევა.


გამოკითხვის მეთოდოლოგია: კორელაციური ანალიზი. ანონიმური გამოკითხვა ანკეტის მიხედვით.

გამოკითხვის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზ. გორგილაძის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა.

ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო **56 რესპოდენტმა**. კვლევა მოიცავდა ყველა ასაკობრივ დიაპაზონს გარდა თვრამეტ წელს მიღწეული მოქალაქეებისა. სტატისტიკურად კვლევაში მონაწილე მოქალაქეების ასაკობრივი ჯგუფები შემდეგნაირად გადანაწილდა (დიაგრამა N1):

18-25 წელი - 9 რესპოდენტი - 16.07 %
26-35 წელი - 13 რესპოდენტი - 23.21%
36-45 წელი - 20 რესპოდენტი - 35.71%
46-64 წელი - 11 რესპოდენტი - 19.64%
64 + წელი - 3 რესპოდენტი - 5.35%

დიაგრამა 1
ასაკობრივი და გენდერული ჯგუფები



ასევე ფართო იყო გამოკითხულთა **განათლების დიაპაზონი:**

უმაღლესი განათლება - 26 რესპოდენტი.

სტუდენტი - 11 რესპოდენტი.

საშუალო - 19 რესპოდენტი.


რესპოდენტთა სქესი გადანაწილდა შემდეგი პარამეტრებით:

მამრობითი - 34 რესპოდენტი.

მდედრობითი - 22 რესპოდენტი.

კვლევამ მოიცვა ყველა ასაკობრივი, გენდერული და სოციალური ჯგუფი, რომლებმაც განსხვავებული სოციალური ინტერესები და მოთხოვნილებები გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალბინიანი და მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა კვლევის ჩატარების დიაპაზონში (კვლევა მიმდინარეობდა საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ) თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ აქტუალურ საკითხად. მშენებლობის მიმართ საზოგადოების ინტერესი და მოლოდინი მაღალია. 56 გამოკითხულიდან 52 რესპოდენტს აქვს ინფორმაცია დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. დაგეგმილ მშენებლობაზე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო რესპოდენტებისთვის იყვნენ მეზობლები, ახლობლები, თავად ინვესტორი ან საინფორმაციო დაფა, ხოლო რესპოდენტებმა, რომლებმაც წყარო ვერ დაასახელეს, აღნიშნეს, რომ სამშენებლო ტერიტორია შემოსაზღვრულია სამშენებლო ზღუდით, რაც ლოგიკურ აზრს ბადებს, რომ ტერიტორია მზადდება მშენებლობისათვის. დაბალია იმ რესპოდენტთა (4) რაოდენობა რომლებსაც არ აქვთ ინფორმაცია დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. (დიაგრამა N2)



ინფორმირებულობის საკითხის შეჯამებისას შეიძლება ითქვას - ინფორმაციის საჯაროობისა და გახსნილობიდან გამომდინარე მოსახლეობის ინტერესი მაღალია.

გამოკითხულთა უმრავლესობას მოსწონს აღნიშნულ უბანში ცხოვრება, მათთვის აქ ხელსაყრელი და კომფორტული გარემოა, თვლიან რომ მათი საცხოვრებელი გარემო და დასახლების იერსახე ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ინვესტიციებიდან გამომდინარე საგრძნობლად გაუმჯობესდა, აღნიშნულ უბანში ულტრათანამედროვე შენობები და საზოგადოებრივი ობიექტები აშენდა თუმცა საკმაოდ დარჩა ძველი, გასული საუკუნის სამოციან წლებში აშენებული, შეუხედავი იერსახის, თანამედროვე ტენდენციებთან სრულიად შეუსაბამო ნაგებობები, აქვე აღნიშნავენ, რომ საინვესტიციო ინტერესი აღნიშნული და მიმდებარე ტერიტორიების მიმართ საგრძნობლად გაზრდილია, უკვე განხორციელებულმა ინვესტიციებმა კი აღნიშნული უბანი ბევრად მიმზიდველი და ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი გახადა. 50 გამოკითხული ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ ინვესტიციებს დადებითად აფასებს, რადგან საცხოვრებელი უბანი გახდა ბევრად პრესტიჟული, გაიზარდა საბინაო ფონდი, გაჩნდა დამატებითი სამუშაო ადგილები, სეზონური ტურიზმის შემოსავლები გაიზარდა, ამ ყველაფერმა დადებითი ეფექტი იქონია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებზე, აქედან გამომდინარე კითხვაზე - **როგორ აფასებთ თქვენს უბანში ახალი მრავალბინიანი და მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას**, დადებით შეფასება მისცა 50 რესპოდენტმა, თუმცა გამოკითხულთაგან 6 რესპოდენტი უარყოფითად აფასებს უბანში ახალი დიდ მშენებლობას.



ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორია გახადოს უფრო პრესტიჟული, გაზარდოს საბინაო ფონდი, შეიქმნას უკეთესი საინვესტიციო გარემო და გაჩნდეს მეტი სამუშაო ადგილი ამ ყველაფრით გაუმჯობესდეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

56 გამოკითხულიდან 50 მიესალმება ახალ მშენებლობას რადგან:
(კითხვაზე შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის მონიშვნა)

- ა) ახალი მშენებლობა ხელს შეუწყობს უბნის, გამზირის კონკრეტული მონაკვეთის განვითარებას და დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე - 48 რესპოდენტი.
- ბ) შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები - 45 რესპოდენტი.
- გ) ტერიტორიაზე დასახლება გახდება მაღალი სტანდარტის - 47 რესპოდენტი.
- დ) ტერიტორია გახდება უფრო პრესტიჟული - 50 რესპოდენტი.
- ე) ტერიტორია უფრო მიმზიდველი გახდება სამომავლო ინვესტიციებისათვის - 42 რესპოდენტი.

რესპოდენტთა ის ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება ახალი საცხოვრებლის მშენებლობას თვლიან, რომ:

(კითხვაზე შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის მონიშვნა)

- ა) ახალი მშენებლოებები არ მოუხდება აღნიშნულ ტერიტორიას - 4 რესპოდენტი.
- ბ) მიმდებარე ტერიტორიაზე გაუარესდება საცხოვრებელი პირობები - 5 რესპოდენტი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების აშენების მოწინააღმდეგე რესპოდენტების ძირითადი განწყობა პასუხებიდან გამომდინარე უფრო ვიზუალური ხასიათის იყო და ძირითადად აფიქსირებდნენ პოზიციას, რომ ქალაქში ძალიან ბევრი მაღლივი შენობა აშენდა და ბათუმის მსგავს ზღვისპირა ქალაქს არ უხდება მსგავსი ტიპის ნაგებობები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ მომავალ მშენებლობას საერთო გამოკითხულთა 10.71%-ს შეადგენს.

კვლევამ ცხადყო, რომ მრავალბინიანი კომპლექსის აშენების შემდგომ უბნის განვითარების დადებითი დინამიკა გარდაუვალია.

კვლევის თანახმად მოსახლეობის რეკომენდაციები და სურვილებია:

1. ყურადღება მიექცეს მშენებლობის ვადებში დასრულებას.
2. აქტიურ სამშენებლო სამუშაოებში ჩართული იყოს და დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა.
3. მაქსიმალურად დაცული იყოს უსაფრთხოების ყველა ნორმა.
4. ინვესტორებმა ზოგადად იზრუნონ მიმდებარე ტერიტორიების განვითარებაზე.

კვლევა ცხადყოფს, რომ დაგეგმილი მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ის მჭიდრო ურბანული ნაწილის მოსახლეობაში, მოქალაქეთა უმრავლესობა მიესალმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და კონკრეტულ ტერიტორიებზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსებას, რაც შემგომში უფრო გაზრდის ტერიტორიის პრესტიჟს, განავითარებს მუნიციპალურ სერვისებს, შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტ სამუშაო ადგილს, ტერიტორიას უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციოდ, მოთხოვნილების ფონზე გაზრდის საბინაო ფონდს როგორც ქალაქში, ასევე კონკრეტულ უბანში, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებზე. სამშენებლო ტერიტორიის ერთ ნაწილში არ არსებობს არანაირი ინფრასტრუქტურა, არის ცარიელი უსწორმასწორო ნაკვეთი, რომელზედაც გასულ საუკუნეში მსროლელთა სავარჯიშო ადგილი იყო, დღეისათვის კი შენობები სრულიად დანგრეულია და ნანგრევები გატანილი, ასევე მიმდებარედ ვხვდებით სამშენებლო ტერიტორიის ეკაღბარდიან, დანაგვიანებულ, გაუვალ ადგილებს. მეორე სამშენებლო მიწის ნაკვეთზე დგას გასული საუკუნის სამოციან წლებში აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ექსპლუატაციის ვადაც გასულია და რომლის ვიზუალური მხარე სრულიად შეუსაბამოა იმ თანამედროვე არქიტექტურული ინფრასტრუქტურის ფონზე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე აშენდა მიმდებარედ, ახალი საცხოვრებელი კომპლექსი ჩაანაცვლებს ყველაფერ ამას და გასული საუკუნის ინფრასტრუქტურის, დანგრეული შენობების და გაუვალი-დანაგვიანებული ტერიტორიების ნაცვლად მივიღებთ თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარებით აშენებულ, მიმზიდველ შენობას, რაც რადიკალურად შეცვლის უბნის ვიზუალურ მხარეს და უბანი გახდება ბევრად უფრო პრესტიჟული და მიმზიდველი.

შეადგინა:



სოციოლოგი

ლაშა მიქელაძე

ანკეტა N1

ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N 10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.24.05.126; N05.24.05.132;N 05.24.05.234; N05.24.05.017) დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მაცხოვრებელთა ინტერეს ჯგუფის მოსაზრებების დაზუსტებისათვის გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა სოციოლოგიურ გამოკითხვაში.

ზოგადი ნაწილი

სახელი:

გვარი:

მისამართი:

სქესი:

1. მდედრობითი
2. მამრობითი

თქვენი ასაკი:

- ა) 18-25
- ბ) 26-35
- გ) 36-45
- დ) 46-64
- ე) 64 და მაღლა

განათლება:

- ა) უმაღლესი
- ბ) სტუდენტი
- გ) საშუალო

სამუშაო ადგილი:

- ა) დასაქმებული
- ბ) თვითდასაქმებული
- გ) დროებით უმუშევარი
- დ) პენსიონერი

კითხვარი

G1.1

მოგწონთ თუ არა ეს უბანი:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.2

რამდენად კომფორტული გარემოა თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის ეს უბანი:

- ა) კომფორტულია
- ბ) არ არის კომფორტული

გ) არ მიფიქრია ამაზე

G1.3

თქვენი აზრით არსებული უბნის იერსახე ბოლო 10 წლის განმავლობაში:

- ა) გაუმჯობესდა
- ბ) გაუარესდა
- გ) იგივე დარჩა

G1.4

გსმენიათ თუ არა თქვენს უბანში დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.5

დაასახელეთ წყარო საიდანაც გაიგეთ არსებული მშენებლობის დაწყების შესახებ:

- ა) პრესა
- ბ) ტელევიზია
- გ) ინტერნეტი
- დ) ნაცნობ-მეგობრები
- ე) საინფორმაციო დაფა
- ვ) ინვესტორი
- ზ) არ მსმენია

G1.6

როგორ აფასებთ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას:

- ა) დადებითად
- ბ) უფრო დადებითად
- გ) უარყოფითად
- დ) უფრო უარყოფითად
- ე) მიჭირს პასუხის გაცემა

G1.7

მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.8

საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას ვემხრობი რადგან:

- ა) ის ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას
- ბ) ის გახდება ქალაქის სავიზიტო ბარათი
- გ) შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები
- დ) ტერიტორია მჭიდროდ დასახლდება და გახდება მაღალი სტანდარტების
- ე) ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას
- ვ) ხელს შეუწყობს საბინაო ფონდის გაზრდას
- ზ) ტერიტორია უფრო მიზიდველი გახდება სამომავლო ინვესტიციებისათვის

G1.9

ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას არ ვემხრობი რადგან:

- ა) დაამახინჯებს გარემოს იერსახეს

- ბ) არ იქნება ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისათვის
- გ) გაუარესდება ტერიტორიაზე საცხოვრებელი პირობები

G1.10

თქვენი აზრით რა უნდა გაითვალისწინონ არქიტექტორებმა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისას:

- ა) დასასვენებელი ზონების მოწყობა
- ბ) საბავშვო ზონა
- გ) მწვანე ზონა
- დ) საპარკინგე ადგილები
- ე) საერთო საზოგადოებრივი ტერიტორიები
- ვ) სხვა

G1.11

ახალი მრავალბინიანი კომპლექსის აშენებით, ხედავთ თუ არა სამომავლოდ დადებით დინამიკას თქვენი ქალაქის განვითარებაში:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.12

თქვენი აზრით აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი მშენებლობა:

- ა) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე
- ბ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე
- გ) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას სოციალურ ინფრასტრუქტურაზე
- დ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას სოციალურ ინფრასტრუქტურაზე
- ე) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას საგზაო მოძრაობაზე
- ვ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას საგზაო მოძრაობაზე
- ზ) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიებზე
- თ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიებზე

G1.13

თქვენი აზრით ახალი მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობა მოახდენს თუ არა გავლენას სამომავლო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით:

- ა) აუცილებლად მოახდენს
- ბ) შეიძლება მოახდინოს
- გ) ნაკლებად მოახდენს
- დ) არ მოახდენს
- ე) მიჭირს პასუხის გაცემა

G1.14

თქვენი აზრით ახალი მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობა გაზრდის თუ არა საბინაო ფონდს კონკრეტულ უბანში?

- ა) აუცილებლად გაზრდის
- ბ) შეიძლება გაზარდოს
- გ) ნაკლებად გაზრდის
- დ) არ გაზრდის

G1.15

თქვენი აზრით ახალი მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობა მოახდენს თუ არა დადებით გავლენას კონკრეტულ უბანში მაცხოვრებელთა სოციალურ მდგომარეობაზე:

- ა) მოახდენს, რადგან შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა
- ბ) მოახდენს, რადგან გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო
- გ) მოახდენს, რადგან გაიზრდება საბინაო ფონდი
- დ) არ მოახდენს არავითარ შემთხვევაში

G1.16

თქვენი აზრით ქალაქში უნდა აშენდეს თუ არა მსგავსი ტიპის პროექტები:

- ა) დიახ, რადგან ეს ქალაქს დაეხმარება განვითარებაში
- ბ) დიახ, რადგან ქალაქში გაიზრდება საბინაო ფონდი
- გ) დიახ, რადგან ეს ხელს შეუწყობს ქალაქის და რეგიონის ეკონომიკას
- დ) არა, რადგან ეს ქალაქს არ დაეხმარება განვითარებაში
- ე) არა, რადგან საბინაო ფონდის გაზრდა გამოიწვევს ქალაქის გადატვირთვას
- ვ) არა, რადგან ქალაქის და რეგიონის ეკონომიკა არ არის დამოკიდებული მშენებლობაზე

ინტერვიუერი -

ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N 10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.24.05.126; N05.24.05.132;N 05.24.05.234; N05.24.05.017) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ამ მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ პირთა საჯარო შეხვედრის - განხილვის

ოქმი N1

ჩატარების თარიღი: 10.05. 2013 წ.

ჩატარების დრო: 14:00 სთ.

ჩატარების ადგილი: ქალაქი ბათუმი.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების პროცესში მოხდა ინვესტორის, გდგ-ს კონცეფციის შემდგენელი ჯგუფის, დაინტერესებული მხარეების - საზოგადოების და სოციოლოგის საჯარო შეხვედრა და დისკუსია, რაზედაც შედგა წინამდებარე ოქმი.

განსახილველი თემა: ქალაქ ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.24.05.126; N05.24.05.132;N 05.24.05.234; N05.24.05.017) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ამ მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება

საფუძველი: „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N113, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები - N05.24.05.126; N05.24.05.132; N05.24.05.234; N05.24.05.017 წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 06 აპრილის N ბ14.142309613 ბრძანება.

შეხვედრას ესწრებოდა 9 მოქალაქე:

ინვესტორი/კომპანიის წარმომადგენელი შპს „ბლექ სი თაუერ“-ის დირექტორი ზურა ხიმშიაშვილი
ინვესტორი/კომპანიის წარმომადგენელი შპს „ცენტრალ სითი ლაინი“-ს დირექტორი ზურაბ ბერიძე
განაშენიანების დეტალური გეგმის შემდგენელი სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი გიორგი გაბაშვილი

საპროექტო ჯგუფის წარმომადგენელი გიორგი შავაძე

შეხვედრას თავმჯდომარეობდა სოციოლოგი ლაშა მიქელაძე.

სოციოლოგმა შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა და შეხვედრის დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ასევე განაცხადა, რომ შეხვედრასთან დაკავშირებით შედეგობადა ოქმი, სადაც შეტანილი იქნებოდა დამსწრე მოქალაქეების რეკომენდაციები და შენიშვნები. დამსწრე პირებს შენიშვნები არ ქონიათ და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

სოციოლოგმა დამწრეებს გააცნო შეხვედრის მიზანი და განუმარტა, რომ საჯარო შეხვედრა და ჯგუფური დისკუსია და ამ მეთოდით გამოკითხვა სოციოლოგიაში ანალიზის, შეწოვა-შეჯერების საუკეთესო მეთოდათ მიიჩნევა, რადგან ღია დისკუსიის საშუალებით მიზნობრივი ჯგუფის საკითხისადმი დამოკიდებულების განსაზღვრის საუკეთესო საშუალებაა და საკითხის უფრო ღრმა ანალიზის საფუძველს იძლევა.

შემდეგ სიტყვა მიეცა შპს „ბლექ სი თაუერ“-ის წარმომადგენელს, რომელსაც შეხვედრაზე წარმოდგენილი ქონდა პროექტის ესკიზი, მისი განმარტებით ასე უფრო მარტივი იქნებოდა მოქალაქეებისათვის აღქმა თუ კონკრეტულად რისი მშენებლობა იგეგმება აღნიშნულ ტერიტორიაზე. ინვესტორმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, სამშენებლო ტერიტორიაზე არ არსებობს არანაირი ინფრასტრუქტურა, არის ცარიელი უსწორმასწორო ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრულია სამშენებლო ღობე-ჯებირით, მიწის ნაკვეთზე გასულ საუკუნეში განთავსებული იყო სასროლეთი, რომელიც დღეისათვის დანგრეულია, მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში ჩანს ფუნდამენტის ნანგრევები, ტერიტორიაზე ამოსულია დიდი რაოდენობით სარეველა და ეკალ ბარდი, ტერიტორია ნაწილობრივ დანაგვიანებულია და საერთოდ არ ჯდება იმ უბნის ზოგად ფონში, რომელშიც მდებარეობს და სადაც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მეტი ინვესტიცია ხორციელდება, ამ ყველაფრის მაგივრად კი აშენდება მრავალფუნქციური შენობა, საუკეთესო არქიტექტურული დაგეგმარებითა და თანამედროვე სტანდარტებით. შენობა იქნება სულ 47 სართულიანი საიდანაც ერთი სართული იქნება მიწისქვეშა და განკუთვნილი იქნება პარკინგისთვის, ხოლო დანარჩენი 46 სართული იქნება მიწისზედა, საიდანაც პირველი სართული დაეთმობა ჰოლსა და კომერციულ ფართებს, მეორე სართული დაეთმობა გასართობ ცენტრებს, მესამე სართული განკუთვნილი იქნება რესტორნებისა და საკონფერენციო დარბაზებისათვის, ხოლო მეოთხე სართულზე იქნება აუზი და სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრი, დანარჩენ სართულებზე განთავსდება 120 ნომრიანი სასტუმრო და 700-მდე საცხოვრებელი ბინა. პარკინგი იქნება 125 ავტომობილზე გათვლილი. შენობა აშენდება თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარებით. მან დამსწრეებს გააცნო ინვესტიციის განხორციელების ვადები, ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე, ყურადღება გაამახვილა იმ სარგებელზე, რომელსაც მოსახლეობა მიიღებს, როგორც მშენებლობის პერიოდში, ასევე მშენებლობის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. ინვესტორმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთის განვითარებას, მოუწესრიგებელი ტერიტორიის ათვისებას და თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებისა და სტანდარტების მქონე შენობის განთავსებას, ასევე საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას (გაიზრდება დასაქმების მაჩვენებელი და უძრავ ქონებაზე ფასი აღნიშნულ უბანში), შესაბამისად სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბებას, სამშენებლო სექტორის უფრო მეტად გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას. განვითარების შედეგად გათვალისწინებული იქნება ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები, გამწვანებული ადგილები, მიწისქვეშა ავტოსადგომი (რაც საპარკინგე პრობლემატიკის მეტნაკლებად მოგვარებას მოემსახურება) და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რომ მიმდინარე პროექტი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის განვითარებას, არამედ უბნის პრესტიჟის ამაღლებას.

სიტყვა მიეცა შპს „ცენტრალ სითი ლაინი“ - ის წარმომადგენელს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოდგენილია, გასული საუკუნის სამოციან წლებში აშენებული საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ლოგიკური ექსპლუატაციის ვადა გასული აქვს, არის პირველადიდან განსხვავებით საკმაოდ სახეშეცვლილი და არ ჯდება უბნის საერთო ვიზუალში, განსაკუთრებით ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციების ფონზე, რომელთა განხორციელების შედეგადაც მიმდებარე ტერიტორიებზე აშენდა თანამედროვე ტიპის თანამედროვე ვიზუალის მქონე მაღლივი შენობები, ხოლო აღნიშნული შენობა სერიოზულად უცვლის სახეს მთლიან უბანს, უბანი კი თავის მხრივ ქალაქის სავიზიტო ბარათად ყალიბდება, წარმოდგენილი პროექტი კი ზუსტად ჩაჯდება უბნის ახალ ვიზუალში, ხოლო თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარება და სტილი უბნის და მიმდებარე ტერიტორიების პრესტიჟს საკმაოდ აამაღლებს. საცხოვრებელი სახლი იქნება 50 სართულიანი, ექნება მიწისქვეშა სართულიც რომელიც დაეთმობა პარკინგს და სულ შენობას ექნება 97 ავტომობილზე გათვლილი საპარკინგე ზონა. საცხოვრისების რაოდენობა იქნება 450 და შენობაში განთავსებული იქნება კომერციული სივრცეები. შენობა აშენდება თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარებით. მან დამსწრეებს გააცნო ინვესტიციის განხორციელების ვადები. ინვესტორმა აღნიშნა რომ, პროექტის განხორციელება ხელს

შეუწყობს მიწის ნაკვეთის განვითარებას, სოციალური ღირებულებისაგან დაცლილი ინფრასტრუქტურის თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებისა და სტანდარტების მქონე შენობით ჩანაცვლებას, ასევე საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას, შესაბამისად სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბებას.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემდგენელი ჯგუფის წამომადგენელმა განმარტა, რომ დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის და მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა საჭიროებს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას და ამ მიზნით რა სამართლებრივი პროცედურებია ჩასატარებელი, ისაუბრა განაშენიანების დეტალური გეგმის შემადგენლობაზე, ასპექტებზე და დაგეგმარების პრინციპებზე. ასევე განმარტა, რომ პროექტის ფარგლებში აშენდება თანამედროვე არქიტექტურული სტანდარტებისა და ღირებულების მქონე შენობა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

არქიტექტორმა პროექტის ესკიზური ვარიანტის მოშველიებით ისაუბრა დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის არსზე, პროექტის სართულიანობაზე, შენობების სიმაღლეზე, სამშენებლო ფართზე, მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებზე, კომერციული ფართების დანიშნულებაზე, მწვანე ზონებზე, მთლიანად პროექტის შინაარსზე და მოცულობაზე. დამსწრეებს ასევე განემარტა აღნიშნულ ინვესტიციასთან დაკავშირებით რა ქალაქდაგეგმარებითი პროცესი მიმდინარეობს და რა პროცედურებია მომავალში დარჩენილი. აქვე ხაზი გაესვა უსაფრთხოების წესების დაცვას და მშენებლობაში გამოყენებული მასალების ხარისხს და კონტროლს.

სოციოლოგმა დამსწრეებს განუმარტა, რომ მოხდებოდა მათი აზრის, პოზიციის ჩანიშვნა სამომავლოდ მათი მხედველობაში მისაღებად.

სულ შეკითხვაზე დაისვა 4 შეკითხვა:

1. მშენებლობის ვადებზე - 2 შეკითხვა.
2. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების თაობაზე - 2 შეკითხვა.
3. უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვაზე - 2 შეკითხვა.

დამსწრე მოქალაქეების მოსაზრებით, მშენებლობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის დანაგვიანებისაგან, სამშენებლო მტკრისაგან, მშენებლობისაგან გამოწვეული ხმაურისაგან მიმდებარე ტერიტორიის დაცვას, მრავალბინიანი კომპლექსი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა დადგენილ წესს და ნორმას, ასევე კომპანიამ სამუშაოებისას უნდა დაიცვას უსაფრთხოების ყველა წესი, ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ისეთი საზოგადოებრივი ობიექტები, რომლების სამომავლოდ არ გამოიწვევენ ხმაურს. პროექტის მიმდინარეობისას ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ქონდეს დასაქმების საშუალება. მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს მწვანე ადგილები, მიწისქვეშა პარკინგი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიას გააკეთილშობილებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის უფრო მიმზიდველს გახდის.

შეხვედრაზე დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი პროექტის განხორციელებისადმი, რადგან ის ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის ურბანულად განვითარებას, ცარიელი და სოციალური ღირებულებისაგან დაცლილი, უსახური ნაგებობის, გავლურებული ეკალ-ბარდიანი ტერიტორიების, ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებების მქონე შენობებით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივებისა და ახალი რეზიდენტებისათვის უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნას, მიმდებარე ტერიტორიებზე ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ტერიტორიის პრესტიჟის მნიშვნელოვნად ამაღლებას, სეზონზე ტურისტების მხრივ მეტი ინტერესის გამოხატვას, რაც ზოგად სოციალურ ფონს დადებითად წაადგება. დამსწრე საზოგადოება დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პროექტი მრავალი სიკეთის მომტანი იქნება ადგილობრივი

მოსახლეობისათვის, უბანი გახდება უფრო თანამედროვე, ხოლო სამომავლოდ უმრავ ქონებაზე მოთხოვნასთან ერთად რეალიზაცია და ფასიც შესაბამისი გახდება, რაც საბოლოო ჯამში ისევე ადგილობრივ მოსახლეობაზე აისახება დადებითად.

პროექტის მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან, რომ მოცემული პროექტი მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული უბნის განვითარებისათვის, უბნის საერთო სურათის აღქმის ნაწილშიც კი მომავალი ნაგებობები ბევრად უფრო შეესაბამება რეალობას ვიდრე ის შენობები, თუ ცარიელი ტერიტორიები, რომელიც ამ კონკრეტული მომენტისთვისაა ადგილზე წარმოდგენილი, ვინაიდან თუ გადავხედავთ ქალაქის განვითარების დინამიკას, შესაძენვია, რომ ქალაქი სწორედ ამ კონკრეტულ უბანში ვითარდება ყველაზე უფრო სწრაფად და თანამედროვე სტანდარტებით. ახალი და თანამედროვე არქიტექტურული დიზაინის შენობები ძირითადად ამ კონკრეტულ და მიმდებარე ტერიტორიებზე აშენდა და შენდება, დამატებით ამ შენობების თანამედროვე არქიტექტურა უბანს უფრო ავსებს და მას თამედროვე დაგეგმარების ქალაქის ცენტრალური ნაწილის ვიზუალს აძლევს.

საკითხების შეჯერებისა და კონსენსუსის მიღწევის შემდეგ სოციოლოგმა ლაშა მიქელამემ საჯარო შეხვედრა და ჯგუფური დისკუსია დახურულად გამოაცხადა.

შეადგინა:



სოციოლოგი

ლაშა მიქელამე



CV

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი: ლევან ბერიძე
დაბადების თარიღი: 26.08.1933
დაბადების ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი
მისამართი: მ.კოსტავას ქ.72ა
ტელეფონი: 599583509 (მოზ.)
ელ.ფოსტა: Leber007@yahoo.com

პროფესიული მოღვაწეობა

სამეც. / აკად. ხარისხი: არქიტექტურის კანდიდატი/არქიტექტურის დოქტორი
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია: სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
დაწესებულების მისამართი: თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77
თანამდებობა: სრული პროფესორი

განათლება

ჩარიცხვის და დამთავრების წლები: 1953-1959.
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა-„არქიტექტურა“, კვალიფიკაცია-„არქიტექტორი“

სამუშაო გამოცდილება

2006 წლიდან-დღემდე
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, სრული პროფესორი, არქიტექტურული ფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.
სტუ. არქიტექტურული განათლების ხელშეწყობის სასწავლო-სამეცნიერო და საპროექტო ცენტრის („არქცენტრი“-ს) ხელმძღვანელი.
საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, თავმჯდომარის მოადგილე; არქიტექტორთა სერტიფიკაციის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

1998 -2006
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, „არქიტექტურული კონსტრუქციების და არქიტექტურული ფიზიკის“ კათედრის გამგე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, თავმჯდომარის მოადგილე.

1997-1998
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, „არქიტექტურული კონსტრუქციების და არქიტექტურული ფიზიკის“ კათედრის პროფესორი.

1995-1997
სტუ. „სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურის“ კათედრის პროფესორი.

1978-1995
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, „არქიტექტურული კონსტრუქციების“ კათედრის დოცენტი.

1973-1978
საქართველოს განათლების სამინისტროს საპროექტო ბიუროს დირექტორის მოადგილე - მთავარი არქიტექტორი.

1971-1973
თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტალური პროექტირების ინსტიტუტი (თბილზნიიეპი). არქიტექტურული შუქტექნიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

1966-1971
თბილზნიიეპი. ექსპერიმენტალური პროექტირების სახელოსნოს უფროსი.

1964-1966
თბილზნიიეპი. უფროსი მეცნიერი მუშაკი

1958-1964
საცხოვრებლის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქ. მოსკოვი). უმცროსი მეცნიერი მუშაკი.

მეცნიერული მიღწევები

მონოგრაფია 3
სახელმძღვანელო 1
სტატიები 32
კონფერენციები 6
გამოგონებები 1
გრანტები 1
პროექტირების ნორმები 3

ენების ცოდნა

რუსული
გერმანული
ინგლისური

თავისუფლად
ლექსიკონით
ლექსიკონით

პედაგოგიური საქმიანობა

სასწავლო კურსის
დასახელება

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა,
დოქტორანტურა.
საგანმანათლებლო პროგრამა: არქიტექტურა.
სასწავლო კურსი - არქიტექტურული ფიზიკა.

არქიტექტურული საქმიანობა

საცხოვრებელი და
საზოგადოებრივი
შენობების პროექტები;
ქალაქგეგმარებითი პროექტების
ექსპერტიზა;
ინსოლაციის, ბუნებრი-
ვი განათებულობის და
არქიტექტურული აკუსტიკის
პროექტები.

80-ზე მეტი არქიტექტურული პროექტი,
უმრავლესობა განხორციელებულია

საზოგადოებრივი საქმიანობა

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი: თავმჯდომარის მოადგილე; არქიტექტორთა
სერტიფიკაციის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

ინტერესის სფერო

სამეცნიერო სფეროს დასახლება

მდგრადი განვითარების არქიტექტურა.
არქიტექტურული ფიზიკა; შენობების ენერგოეფექტურობა;

დამსახურებები, ჯილდოები, სერტიფიკატი

საქართველოს საინჟინრო
აკადემიის წევრი-აკადემიკოსი
ნამდვილი

სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი;
სერტიფიცირებული არქიტექტორი:
სერტიფიკატის N RA 01-01;


საქართველოს
დამსახურებული
არქიტექტორი

არქიტექტურის რაინდი;
პატრიარქის, ილია II-ს პატივდების სიგელი.

ჰობი

მუსიკა

სპორტი



დამსახურებები, ჯილდოები, სერტიფიკატი



CV

სახელი: ბიძინა
გვარი: ბიბილეიშვილი
დაბადების თარიღი: 02.07.1960
მისამართი: ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №9, ბ. 42
ტელეფონი: 577 16 33 88; 577 00 85 85
ელ-ფოსტა: bidzina.bi@gmail.com
განათლება: უმაღლესი

სპეციალობა/კვალიფიკაცია: ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა;
ინჟინერ-მექანიკოსი;
(დიპლომის რეკვიზიტები: JIP №050025; 26.09. 1983;
სარეგისტრაციო №19963; დიპლომის გამცემი
ორგანიზაცია: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკური ინსტიტუტი)

უცხო ენა: რუსული (თავისუფლად), ინგლისური (საშუალოდ)

კომპიუტერული უნარ-

ჩვევები: Word, Excel, Powerpoint

სამუშაო გამოცდილება: **2021.02 -დან დღემდე** - შპს „ბათუმის
ავტოტრანსპორტი“ - დირექტორის მოადგილე
2020.12 – 2021.02 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
2017.07 – 2020.12 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -

დირექტორის მოადგილე

2017.05 – 2017. 07 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2015.01-2017.05 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -

პროექტებისა და ორგანიზაციული განვითარების

მენეჯერი

2013.03-2013.06 - შპს „ბიოპოლუსი“ - მთავარი

ინჟინერი;

2009.10- 2013.03 - შპს „ბიოპოლუსი“ - სპირტის

საამქროს უფროსი;

2007. 08 – 2009.10 - შპს „ბათფარმა“ - ახალი ტექნიკისა

და ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი;

ანტიბიოტიკების საამქროს უფროსი;

საამპულე საამქროს უფროსი;

1993.13.09 - 2005.18.10 - კერძო სექტორი;

1992.12.09-1993.13.09 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთიანება „ავტოტრანსმომარაგება“ -

მომარაგების ინჟინერი;

1989.05.04-1992.01.06 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთიანება - შრომისა და ხელფასის

განყოფილების პირველი კატეგორიის ინჟინერი;

1986.17.02-1989.05.04 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - შრომისა და ხელფასის

განყოფილების უფროსი ინჟინერი;

1985.01.07-1986.17.02 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - შრომისა და ხელფასის

განყოფილების ინჟინერი;

1983-1985- საბჭოთა არმიის რიგები თადარიგის

ოფიცერი;

1983 (10.10- 31.10) - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - ინჟინერ-კონსტრუქტორი;

1979.25.10-1983.11.10 - ავტოკოლონა 2659 -

ელექტრიკოსის მოსწავლე (მოიპოვა ელექტრიკოსის

პირველი თანრიგი);

1979 (11.09-16.10) - ბათუმის მანქანათმშენებლობის

ქარხნის მექანიკური საამქრო - ხარატის მოსწავლე;

1977. 03.10-1979.18.07 - მშრომელთა დეპუტატების

ბათუმის საქალაქო საბჭოს ტექნიკური

ინვენტარიზაციის ბიურო - ტექნიკური

ინვენტარიზაციის №3 ბრიგადის ტექნიკოსი;

1975 (01.07-01.09) - ბათუმის ავტოტექმომსახურება -

ელექტრიკოსის მოსწავლე;

მიღწევები და ჯილდოები:

2015 წელი - ეროვნული სერტიფიკატი „წლის სპეციალისტი 2015“; მოპოვებულია სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის, პირადი წვლილისთვის შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, ამოცანების გადაჭრის დროს რაციონალური მიდგომისა და პროფესიონალიზმისთვის;

2008 წელი - სიგელი „ბათუმის გამომგონებელი“
მოპოვებულია ნომინაციაში გამარჯვებისთვის;

2007 წელი - შპს „ბათუმას“ სიგელი: „2007 წლის საუკეთესო გამომგონებელი“, მოპოვებულია რამოდენიმე გამოგონების ავტორობის საფუძველზე;
მოწმობა „რაციონალიზატორული წინადადების ავტორი“ (მოწმობა №32; 01.06.1987); დაინერგა ქალაქ ბათუმის საქალაქო ავტობუსებში;

დამატებითი ცნობები:

ავტორი ავტობუსების საწარმოში თვითდაფინანსებაზე მომუშავე საიჯარო ბრიგადის შესახებ პროექტისა, რომელიც წარმატებულად დაინერგა ბათუმის საქალაქო ტრანსპორტში (1987).

ოჯახური მდგომარეობა:

დაოჯახებული.

მეუღლე - მარინე გურგენიძე არის ექიმი, განათლების დოქტორი; მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად;

შვილები:

ლია ბიბილეიშვილი - არის პიანისტი -შემსრულებელი;
გივი ბიბილეიშვილი - არის პროგრამისტი; მუშაობს კაშა ბანკში; არის დაოჯახებული.

თარიღი: 27.01.2021

დიპლომი

ЛВ № 050025

ეს დიპლომი მიეცა ბიძინა
იურისძე ბიძინა შვიდას
მასზე, რომ იგი 1977 წელს შევიდა
საქართველოს დიდი ინჟინერების
ბიძინა ინსტიტუტში
და 1983 წელს დაამთავრა ავტომობილის
ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ავტომობილის
და საავტომობილო მეურნეობა

სახელმწიფო საგანმანათლებლო კომისიის 1983 წ.
„ა“ ინჟინერების გალაყვებით
